

K 52750
2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ԽՈՅՑԻ ՅՉԵԼՎՈՅ

ՋԱՎԱՐԻ

ԵԱԶԵՌԵՐ

ကျွန်ုပ်များ



ဗာဇ္ဇာန်တော်မြတ်စွာ မြတ်စွာ



လူမှတ်မြတ်စွာ
„သုတေသနတိုင် ဒုတိယပြည်ပ“
ရုတေသန
1986

နေပါဒ် ၁၃၂
နေပါဒ် ၁၃၃
နေပါဒ် ၁၃၄

805 H.4



Gamma
o 93


රාජ දරුන ගාලීස, ඉනුරු දා ඉනුරු මපෑරදෙකා මාන-
දිලි ඇංග්‍රීස් තියා දා රෝලුනඩාස මැරුිස. ඔව් තුවාල-
සාම්බිසිට, වින්ඩ්‍රෝඩාරු මෙතකරුනදේදේ දාන්තුලි
ඇංග්‍රීස් තියුළුරි සිංහාපිටියේ අඩුවිලුද්‍රාද මේරුවාවෙන
රෝලිස්තූර් මාරුවාල්, මෙන්ද — දරුනේ දාපිලු-
දුල්.

අඟ ව්‍යාර්ථිවාදීනිල මෙතකරුනදාතා පෝර්සොනායුදී
සාව්‍යෙදිත රෝලුරි අදාමිනේදි ඇතින — තියෙන් අර-
සුක්, මාතාප මුළුවාර්ත ඇ සේවාත, තිරාන්තුදින ඇ නා-
රුනදීන, මුළුවාර්ත ඇ මැරුදුවාන, මාරුවාදේදින ඇ
මිතරුවාදේදීන..

(C) ගාමනයුවමුනඩා „සාජ්‍යාන ප්‍රාරා“ — 1985

K 52450

4702170200—015
M 621 (03)—86 14—1985



მპაცრი სამხილი



1.

ხმადაბლა დაიღუდუნა ზუმერმა — ქედანი რომ ღუღუნებს, ისე. ამას ასევე ხმადაბლა წკრიალი მოჰყვა — თითქოს ბოოლის ლარნაჯს ბროლისავე წეირი შემოჰკრესო ფრთხილად. წამით მთელი სალონი აავსო ამ ბგერებმა. მერე ნელნელა იძალა წელანდელმა სიჩუმემ.

— ესეც ასე! — უტა ფაზია სავარძლის საზურგეს გადაიწევა, წელში გაიზნექა, მკლავები ფართოდ ვაშალა და გაიზმორა. — შეგვილია საკუთარი ეზოს ჭიშკარი და ეგაა!

სალონში კოსმოსური ღამე იყურებოდა დიდი ოვალური თვალებით. იმ თვალებში დროდადრო ვარსკვლავები კიაფობდნენ — დიდი თუ პატარა, კაშკაშა თუ ძლივსდასანახი, ლალისფერი თუ ფირუზისფერი. წუთის წინ მომცრო ასტეროდი გაცურდა ლივლივით. გიგანტურ ციცინათელასავით ანათებდა ფოსფორული ცივი შუქით.

„ფარნავაზმა“ ის იყო გადაკვეთა მზის სისტემის მეათე და ყველაზე განაპირა წევრის, სამი საუკუნის წინათ აღმოჩენილი პლანეტა ქარონის ორბიტა, რომელიც მზიდან სამოცდა-

ჩვიდმეტი, ხოლო პლუტონის ორბიტიდან — თითქმის მარტინიული თვრამეტი ასტრონომიული ერთეულითაა¹ დაშორებული. იახტის მარცხენა ილუმინატორებში ჩანდა ცოომილის მქოქალად მოკიაფე სფერო. უტა ფაზიასთვის, მაღლობა ლმერთს, უცხო და უჩვევე არ იყო კოსმოსური მასშტაბები, მაგრამ მასაც ეი გააუროლა, როცა წარმოიდგინა, რამოდენა გზა ედო წინ ამ უკუნეოში გადაყარგულ პლანეტას, რომელსაც ექვსის თხმოცი მიწიერი წელიწადი უნდა ეფრინა, ვიდრე მხეს შემოუვლიდა და ისევ ორბიტის აძვევე წერტილში აღმოჩნდებოდა.

ქართვის კოსმოსური ბილიკის გადაკვეთისას „ფარნავაზი“ წამში ორმოცი ათასი კილომეტრის სიჩქარით მიქეროდა სისტემის ცენტრისაკენ, მზე აქედან სულაც არ ჰგავდა მზეს, იგი სამი ათას ორასხერ უფრო სუსტად ანათებდა, ვიდრე დედამიწაზე. უტას შეეცოდა კიდეც მშობლიური მნათობი და გული შეეკუმშა, თითქოს მის უმწეობაში თავად ყოფილიყოს დამნაშავე.

თუმცა იახტის ფოტონური რეაქტორები გამორთული იყო, „ფარნავაზის“ სიჩქარე, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც განუხრელად იზრდებოდა — შორეული მზეს შინიდულბის ძალა უკვე იგრძნობოდა და ხომალდი ყოველ წამს იძენდა მცირეოდენ აჩქარებას. ცხადია, მზის გრავიტაციული ველი ქართვის ორბიტიდან როდი იშეუძოდა, მისი გავლენის სფეროს რადიუსი 150 ათას ასტრონომიულ ერთეულს ითვლიდა და თვით ზოგიერთი კომეტის აფელიუმამდე² მიღიოდა. ის კი არა, მათემატიკოს ვეორგ ჭილის გამოთვლით, ამ ველის საზღვარი მზიდან 230 ათასი ასტრონომიული ერთეულის დაშორებით გადის. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ასეა თუ ისე, უტა ფაზიამ ორგზის დამუხრუჭა „ფარნავაზი“: ერთხელ — სწორედ ჭილის ხაზე, მეორედ — უშორესი კომეტის აფელიუმის

1. ასტრონომიული ერთეული — 149 600 000 კმ (ცაშუალო მანძილი დედამიწიდან მზეშედე).

2. კომეტის ელიფსური ორბიტის მზიდან უშორესი წერტილი.

წერტილში, და იახტის კოლოსალური სიჩქარე, რომლითაც იგი
თვეების მანძილზე მოარღვევდა სივრცეს, წამში სულ რენტაცია
ორმოცი ათას კილომეტრამდე დაეცა.

ხვალ უტა ფაზიამ მესამედ უნდა ჩართოს სამუხრუჭე რეა-
ქტორები. მერე კიდევ ორი-სამი კორექციაც დასჭირდება და
ათიოდე დღის შემდეგ „ფარნავაზი“ შხუილით შეიქრება
მშობლიური ცისფერი პლანეტის ატმოსფეროში.

ათიოდე დღე, ორას ორმოცამდე საათი...

ნეტა რა ახალი ამბებია დედამიწაზე? მართალია, არცთუ
ისე დიდი ხანია, რაც იქიდან გამოფრინდა, მაგრამ ახლა დრო
ისეა აჩქარებული, ორი-სამი წლის კი არა, ხშირად ერთი დღის
განმავლობაშიც შეიძლება იმგვარი რამ მოხდეს, რომ არა
მარტო პიროვნების, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრე-
ბის გეზი ერთი დაკვრით შეიცვალოს.

დედას ამ ათიოდე დღის წინ ელაპარაკა. დედამიწასთან
მარსის რეტრანსლატორმა დააკავშირა დიდი ვაი-ვაგლახის
შემდეგ. სისხლისფერ პლანეტაზე სილის ქარიშხალი ბობოქ-
რობდა და ეკრანზე გამოსახულება უვარგისი იყო, გამოსახუ-
ლებას კი არა, უფრო მოცლილი მხატვრის მიერ გასართობად
მოხაზულ ესკიზს ჰეგავდა. უტამ მაინც შეიცნო მშობლიური
სახის ნაკვთები და ცრემლი მოერია. კიდევ კარგი, ბევრითი
კავშირი უნაკლო გამოდგა და შვილმა სიამოვნებით შენიშნა—
დედის ხმა ჩვეულებრივად მხნედ და ხალისიანად ულერდა...

ნეტა ხათუნა რას შერება? ხალდედან დაბრუნების შემ-
დეგ აღარ უნახავს, ვითომ დედამიწაზე დახვდება? „იმდენი მა-
გას რა ვუთხრა, — გაიფიქრა უტამ, — დედამიწაზე მაგან არ
მოისცენოს. პირველივე შემთხვევას ხელიდან არ გაუშევდა
და საღმე კოსმოსში გაუტევდა. ვინ იცის, ახლა, ამ წუთში
სად ამყარებს წესრიგსა და სამართლიანობას“..

„ძინ-ძილინ!“

უტა შექრთა, სწრაფად გამოერკვა, ქრონომეტრს ახედა
და უცებ მშეილდივით მოიზიდა — მორიგ ვიდეოსეანსამდე
ჯერ თ საათზე მეტი რჩებოდა. მაშასადამე...

მაშისადამე, რაღაც მოხდა! სად? დედამიწაზე თუ კლიფს-
ში?.. ერთი რაძ ცხადია — სიგნალი დედამიწისაა. უკრძალვა-
და, „ძინ-ძილინ“ ერთხელაც განშეორდებოდა და ჟერე დაზ-
ყებოდა ტექსტის გადაცემა. ნერავი რა მოხდა?
„ძინ-ძილინ!“

ეკრანი აციმციმდა, ზედ ვერტიკალური ტალღების წყებაში გადაირბინა, მერე ის ტალღები გაქრა და ცენტრში ფართო კვარტმალებიანი და ცენტრაპრეზილი მაძავაცის სახე გამოჩინდა. უტაშ მაშინვე იცნო იგი. წინ ისე გადაიწია, თითქოს გაშოსანულებას პაჭუა ცხვირშე თითო უნდა გავკრასო.

— ყურადღება, ლაპარაკობს დედამიწა! — ოდნავ ჩახლე-
ჩილი ბარიტონით, ხმადაბლა, მაგრამ მკვეთრად და გარკვევით
თქვა დიქტორმა, — ისმინოს ყველამ! ეს ეხება მზის სისტემის
ყოველ ხომალდს. ლაპარაკობს დედამიწა! მზის სისტემის პი-
რველი კლასის ყოველ ხომალდს ბრძანება ეძლევა, კავშირი
დამყაროს მიერთასოციაციის შორეული ნაოსნობის მართ-
ვის ცენტრთან! ეიმეორება...

უტა ფაზია ინტერესით ათვალიერებდა დიქტორის ულა-
მახო სახეს და თან სიამოვნებით ფიქრობდა იმაზე, თუ რა დი-
დებული რამ იყო გალეას ველი. ჩვეულებრივი ელექტრო-
მაგნიტური ტალღებით დედამიწიდან ქართვის ორბიტაზე გა-
მოსახულების გადაცემას დაახლოებით ათი საათი დასჭირდე-
ბოდა (ერთი ასტრონომიული ერთულის გავლის ხომ სინათ-
ლე რვა წუთა და ოც წამს ანდომებს), გალეას ველი კი მთელ
ამ დროს უმნიშვნელო სიღიღემდე კუმშავს და როგორც გა-
მოსახულების გადაცემა-მიღება, ასევე საუბარიც რაიმე
საჯრძნობი ინტერვალის გარეშე მიმდინარეობს.

უტა ფაზიაშ ერთ-ერთ ღილაკს თითო დააჭირა, დედამიწელი და დიქტორის პაუზით ისარგებლა და გერმანულ ენაზე, წმინდა ბერლინური ქუცენტრით ხმადაბლა, თქვა:

— ჰერ ერის ფონ კელერ. დილა მშვიდობისა, გეთაყვა! რა მოხდა, ოდნავ უფრო გარკვევით ხომ ვერ ამისხნი?



ფრთხოებისას წამაყაცს წვრილი თვალები მოუდგრავა
დნელი გაუცართვედა, ცხვირი კიდევ უფრო აეპრიხვისულია
უფერული წაბეგბი შებლებე აუცოცდა. სახეზე ნეტარება
დაფინა, გაიღიმა და თითქოს უხებლიერ აღმოხდა:

— უტა ფაზია...

ხოლო მერე თავი მიაბრუნა და, იერიქონის საყვირივით,
რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიღრიალა:

— მეფე! ფრაუ ლიუდმილა! ხაზხე „ფარნავაზია“! უტა
ფაზია, ფრაუ ლიუდა!

— რა გაყვირებს, საქსონის ტყეებში ხომ არა გვონია
თავი! — ხუშოობანაუცეი წყრომით შეუძიხა ნაცნობმა ხმამ.
მაშინვე ერიქ ეილერის გამოსახულებამ მარცხნივ მიიწია, და-
პატარავდა და ეკრანის მარჯვენა ნახევარი ჭაღარაშერეულ სა-
ნდომიან ბანოვანს დაუთმო. ქალმა დიდრონი, ოდნავ სევდია-
ნი ცისფერი თვალები შეანათა უტა ფაზიას: — გამარჯობა,
ჭაბუკო! ძმენდობა შენს მობრძანებას! ახლა სადა ხარ?

უტა ფაზიას მუდამ მომნუსხველად ძოქმედებდა ლიუდ-
მილა ივერინას მარერა. შეხედავდა და თვალს ვეღაო აშორებდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ივერინა!

— სადა ხარ?

— ქარონსა და პლუტონს შორის.

— უფრო ზუსტად?

„ფარნავაზია“ შეთაურმა ქრონომეტრს ახედა და წამით
ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია:

— დაახლოებით ერთი ასტრონომიული ერთეულით გავც-
დი ქარონის ორბიტას.

ივერინამ ტუჩები მოკუმა და ზედ მაგრად მომუჭული ხე-
ლი მიიღო.

— ცოტაა, — ხმადაბლა თქვა. — სიჩქარე?

— წამში ორმოცი ათვისი კილომეტრი.

— მაშასადამე. სატურნის ობიტაზე მხოლოდ სამი დღის
შემდეგ იქნები, ხომ?

— არა, უფრო გვიან, თითქმის ხუთ დღეში.

— რატომ?

— ხვალ სამუხრუჭე რეეიმზე გადავდივარ.

ივერინამ ოდნავ შოჭუტა თავისი დიდრონი ცისფერი თვა-
ლები და უტა ფაზიას ისევ მომნუსხავი მშერა მიაპყრო.

— პირიქით?

— რა „პირიქით“?

— აჩქარება არ შეგიძლია?

„ფარნავაზის“ მეთაური ბეჭებში გაიმართა და ღირსეუ-
ლი, საკუთარ ძალაში დარწმუნებული კაცის ღიმილით გაიღი-
მა:

— რას ბრძანებთ, შემძლია კი არა, თუ საჭირო იქნა,
ერთ საათში ას ორმოც თასამდე ივიყვანი!.. მაგრამ... რა მოხ-
და, ღიუდმილა? — უტა ფაზიამ პირველად მიმართა სახელით
ივერინას. მაშინვე უხერხულობა იგრძნო, მაგრამ ნათქვამისთ-
ვის აღარაფერი დაუმატებია.

ჭალარაშერეულ ბანოვანს იმისთვის იოტისოდენა ყურად-
ღებაც არ მიუქცევია, მაგრად მოკუმული ტუჩები ისევ მჯილით
შოისრისა და თავი გვერდით გადახარა:

— პიდალგო გაგიგონია?

უტამ შერები აიჩენა და გამოცდაზე გასულ მოწაფესავით
უპასუხა:

— ასტეროიდი ნომერი ცხრას ორმოცდაოთხი; აღმოაჩი-
ნა ვალტერ ბაადემ 1920 წელს; ღიამეტრი — ორმოცდაოთორ-
მეტი კილომეტრი; მასა — საში მთელი ოცდათხუთმეტი მეტასედი
კრამი გამრავლებული ათის ოცდამეშვიდე ხარისხზე; ჰიდა-
ლგოს ორბიტის სიბრტყე ეკლიპტიკის სიბრტყესთან ორმოც-
დასამგრადუსიან კუთხეს ადგენს...

— ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორბიტა სხვა
ასტეროიდებთან შედარებით ძალზე გაწელილია, — შეაწყვე-
ტინა ივერინამ, — და ყველაზე მეტად უახლოვდება სატურნს,
აფელიუმი ამ პლანეტისავან. სულ შეიირე, ხუთნახევარი ასტ-
რონმიული ერთეულითაა დაცილებული...

— კი მაგრამ...



ივერინამ მარჯვენა ხელის იდაყვი მაგიდას დააყრდნო /
ხელისგული გაშალა — იყუჩეო.

— სატურნი ახლა მზის მიღმა იმყოფება, — განაგრძო
შან, — ჰიდალგო კი აფელიუმს უახლოვდება და სატურნის
ორბიტიდან ხელის გაწვდენაზეა. შენ ახლა ყველაზე აზლოს
ხარ ას ასტეროიდის აფელიუმთან და, ცხადია, შენ მოგიხდება
მისი სტუმრობა, თუკი, რა თქმა უნდა...

უტა ფაზიამ მოუთმენლად გააჭნია თავი:

— „თუკი“ არ არსებობს... ოღონდ, ბოლოსდაბოლოს, თუ
ღრეულთი გწამთ, ამისხენით, რაშია საქმე? აგერ უკვე რამდენი
ხანია, ვლაპარაკობთ და გარდევულად ჭერაც არაფერი ვიცი....
ან ეს კელერი რაღას იღიმება? — უტას გაღიზიანება შეეტყო
და კელერი მყისვე დასერიოზულდა. — უბედურება მოხდა
რამე?

ივერინამ მზერა აარიდა და მავიდაზე თითები აათამაშა.
ვრცელი, თლილი, ლამაზი თითები ჰქონდა, ისეთი ლამაზი, სამ-
კაულად ბეჭედი რომ არ სჭირდება, უსამჟაულოდაც რომ მოვ-
ტაცებს თვალს.

— უამბე, ერის, — ხმადაბლა თქვა ლიუდმილამ, — სულ
თავიდან მოუყევი, ოღონდ მოკლედ.

ხელა წინა ბლანზე ისევ კელერის გამოსახულებამ წამო-
იწია. ივერინამ ოდნავ სილრძეში გადაინაცვლა. უტა ფაზიამ
თვალი გააყოლა და კელერს ყურადღება მხოლოდ მაშინ მიაქ-
ცია, როცა ერიპძე გაულიმა და თეთრიად ჩაწილებული კბი-
ლები გამოაჩინა.

— ჰე!.. — მოუთმენლად შეაგება „ფარნავაზის“ მეთაურ-
მა. — გისმებ!

— მაშ ასე, — კელერმა რატომლაც მხრები აიჩეჩა და ისე-
დაც სველი ტუჩები რამდენჯერმე გაილოკა. — მაშ ასე. ამ ცო-
ტა ხნის წინათ ჰიდალგოზე გაიგზავნა კოსმოგონიური ექსპე-
დიცია. ეს ექსპედიცია ბოლოდროინდელი კომპლექსური
კვლევის ერთერთი როლია. მეცნიერებბა გადაწყვიტეს, ბო-
ლოს და ბოლოს ამოიცნონ მზის სისტემის სტეროიდთა წარ-

მოშობის საიდუმლო, ნახელდობრ მარსსა და იუპიტერს გაფანტული ურიცხვი ასტეროიდი მართლა პლაზეტა. უკანასკნელი სასტერივებია თუ, პირიქით, მიმდინარეობს იქრეციის პროცესი და მაღვე, იქნებ ერთი-ორი მილიონი წლის შემდეგაც, შესაძლოა ამ ასტეროიდისაგან კარგა მოზრდილი პლანეტა ჩამოყალიბდეს, რომელიც ზუსტად მოერგება და შეავსებს ბოლეროუსის ცნობილი წესის² ხარვეზს...

— მერე, ჰიდალგო რა შეუაშია? — მარჯვენა ხელისგული შეატრიალ-შემოატრიალია უწამ.

— ერთი შეხედვით, ეს ასტეროიდი მართლაც განშე დგას და დანარჩენებთან თითქოს არაფერი ესაჭმება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი ანომალიური და განსაკუთრებულია. ვინ იცის, იქნებ სახელდობრ ჰიდალგოზე ომოჩნდეს ის ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია შოთლ პრობლემას მოჰყონოს ნათელი.

უტამ ჰიდალგოს გაწელილი ტრაექტორია შარმოილვინა და ტუჩები უნდობლად ამობურცა, მაგრამ არაფერი უთქვას.

— ჰოდა, სწორედ პიდალგოზე გაიგზავნა ერთერთი ექსპედიცია, — განაგრძო კელერმა. — „ათინამ“, ორმელმაც იგი პიდალგოზე გადასხა, გზა განაგრძო და ახლა სადღაც ბარნარდის ვარსკვლავის რაიონშია. ასტეროიდზე ერთი პირობა ყველაფერი კარგად მიღიოდა, ექსპედიციის წევრები ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდნენ პიდალგოს და მდიდარი მასალაც მოიპოვეს, მაგ-

2. ბოდემ და ტაციუსში მარტივი არითმეტიკული მუჯრივით ერთმანეთთან დაკავშირებს მზის სისტემის პლანეტების ორბიტათშორისი მანძილები. მათი წესის თანახმად, მარსია და იუპიტერის შორის (მარსდან 1,4 ასტრონომიული ერთეულის, ხოლო იუპიტერიდან — 2,4 ასტრონომიული ერთეულის დაშორებით) უნდა არსებობდეს კიბევ ერთი პლანეტა.

რამ ერთ დღეს უბედურება მოხდა
წამში დაიღუპა ოთხი კოსმონავტი...

— როგორ? რა მიზეზით?!

— ეს ჯერ არავინ იცის და აი, სწორედ ამის გამოკვლევა
უნდა იყისრო შენ. მზის სისტემაში ახლა, შენი „ფარნავაზის“
გარდა, არცერთი პირველი კლასის ხომალდი არ არის. ასე
რომ, მხოლოდ შენ შეგიძლია მოკლე დროში ჰიდალგოზე გა-
დაჭდობა და ექსპედიციის კატასტროფის მიზეზების გამოძიე-
ბა...

— ყველა დაიღუპა?

— არა, ყველა არა.

— სულ რამდენი შევრი იყო?

— ხუთი. ოთხი დაიღუპა, აკი გითხარი.

— ვინ და ვინ იყვნენ?

— ივ რადიმიჩი, ექსპედიციის მეთაური. არ შეიძლება არ
გახსოვდეს — ვარსკვლავთა ოპტიკას გვასწავლიდა სადარის-
ში.

უტას გული შეიკუმშა:

— მახსოვს... კიდევ?

— კიდევ ნოელ ორიოლი, ბენტი იენსენი და სელიმ ში-
რაზი. სელიმმა, თუ გახსოვს, სადარისი ჩვენზე ერთი წლით
აღრე დაამთავრა.

უტამ შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ შირაზი ვერ გაიხსენა.

— მეტუთე ვინდაა, ვინ გადარჩა?

— სტაუიორია ერთი, ქალიშვილი. დიანა სტაშკოვა. სწო-
რედ ის დაგვიკავშირდა...

ჰიდალგოს ოპერაციის (უტა ფაზიას ტერმინია) ამბავი
კმემ-ის 53-ე ტომშია შეტანილი. „ფარნავაზი“ მაშინ თავისი
მეორე დამოუკიდებელი რეისიდან ბრუნდებოდა. რეისმა სავ-
სებით ნორმალურად, ის კი არა, მეტისმეტად მშვიდადაც კი

ჩაითარი და ჰიდალგოზე ის ამბავი რომ არ მომხდარიყო, რადა სის ანოტაცია სულ რაღაც ხუთიოდე სტრიქონში ჩატარდა და მაგრამ ჰიდალგოს ისტორიაში ირშის ნახტომის NR მიკო-ასოციაციაში არნახული აუკიოტავი გამოიწვია და ამიტომაც 53-ე ტომის სარედაქციო კოლეგიას ამ ამბის აღსაწერად აღ-გილი არ დაუშურებია, ხოლო სტატიის ავტორს — უტა ფა-ზიას ქება-დიდება, რაც, როგორც მოგეხსენებათ, „ფარნავა-ზის“ შეთაურს იოტისოდენადაც არ სიაშოვნებდა.

...დედამიწასთან საუბარი დაამთავრა თუ არა, უტა ფა-ზიამ კომპიუტერის საშუალებით ასტეროიდთან შეხვედრის მარშრუტი გამოთვალა, ორაქტორები მთელი სიმძლავრით ჩარ-თო და ოცდათექვსმეტი საათიც არ იყო გასული, რომ აფე-ლიუმილან დაქანებულ ჰიდალგოს თავგადადებულ მონადირე-სავით კვალში ჩაუდგა. უხიფათო მანძილზე მიასლოებას კი-დევ ეჭვსიოდე საათი მოუნდა და როცა ასტეროიდისა და „ფა-რნავაზის“ სიჩქარეები გათანაბრდა, უტაშ საესებით გამორთო მცირე სიმძლავრით მომუშავე სამანევრო რეაქტორი. ჰიდალ-გო — გიგანტური კლდის ოვალური ნატეხი — იახტის თა-ვზე ეკიდა და საკმაოდ სწრაფად ბრუნავდა საკუთარი ლე-ობის გარშემო. „ოპო. — გაიფიქრა „ფარნავაზის“ შეთაურმა. — ეს მზეთუნახავი ისე ციბრუტივით ტრიალებს, უთუოდ სა-გრძნობი გრავიტაციული ველი ექნება“.

უტა ფაზიამ მრავალნაცადი ბიოკომბინეზონისკენ გაიწო-და ხელი.

ეს იყო დედამიწის დროით 2418 წლის 29 ოქტომბერს, დილის ათსა და თერთმეტ საათს შორის

3

მას შემდეგ, რაც დედამიწას მოშხდარი უბედურების ამბა-ვი შეატყობინა, დიანა სტაშკოვას თვალებს რული არ მიჰყა-რებია. სტაჟიორს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უპატრონოდ არ მიაგდებდნენ, მაგრამ მაშველის მოსვლამდე ამ ჰიტალ

ასტერიოდზე ბატონდმარტო გაძლება არ გინდოდა? კონტაქტებით
საიდან მოელის ახალი საფრთხე! აյი გუშინაც ბეჭვზე გადარ-
ჩა: დილით იმ საბედისწერო პლატოს შიაკითხა. ის იყო, კო-
ნუსისებურ კლდეს წვეროზე მოქმედი, რომ ნიადაგის რყევა შეი-
ცნო; მიიხედა და საფრთხლები გაუცილდა — ბაზის თალღაქს
მეტეორიტი დასცემოდა. დაჯახების დაგილას ვერა შადრევა-
ნიერთ ამოსკდა დიდ-პატარა კლდის ნამსხვრევები და იგავრმიუ-
წვდომელი სიჩქარით აიჭრა შავ, გაყინული ვარსკვლავებით
მოჭედილ სივრცეში, რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყო
უკან, ასტერიოდის ზედაპირზე. ჰიდალგოს გრავიტაცია ამ მა-
სის მქონე სხეულისათვის საქმაოდ მნიშვნელოვანი იყო, მა-
გრამ დედამიწაზე არსებულ სიძძიმის ძალის აჩქარებას ბევრად
ჩამორჩებოდა. ამიტომ. თუმცა დიანას სპეციალური გრავი-
ფეხსაცმელები ეცვა, მხოლოდ ათიოდე ნახტომი დასჭირდა.
რათა ორმოცდაათმეტრიანი მანძილი გადაელახა და განადგუ-
რებულ ბაზასთან გაჩენილიყო. საშინელი სურათი გადაეშალა
თვალშინ სტაუიორს: კომპაქტური ტელედანადგარის დაგილას
დაგრეხილი ნიკელის და ვანალიუმის ხროვა ეყარა, ნამსხვრე-
ვებს დაელერა ოქსიგნერატორის¹ კორპუსი. იქვე მიმოფან-
ტულიყო საკვების ტუბები, ზოგი — დაგლეჭილი, ზოგიც —
დაუზიანებელი. კიდევ კარგი, ყველგანმავალი მოშორებით იდ-
გა და არ დაზიანებული (ყველგანმავალი ერქვა, მაგრამ ამ
ფასტასტიკურ ხერგებში ყველგანმავალი კი არა, თავვი ვერ
მოიქნევდა კუდს). გულშემოყრილმა დიანამ ყველაფერი, რაც
კი გადარჩა, უმაჯნის მანქანაში გადაზიდა რომელსაც ახლა
ბინას მავივრობა უნდა გაეწია

დალანგროს ეშმაკმა! ვინ იცის. ჰიდალგოს ას წელიწადში ერთი მეტეორიტი თუ ეწვევა ხოლმე და ბედი არ ვინდა? —

1. ጥናስጋኝነሮአტოሪዎ — ሪኅድာቃዎስ (Oxygenium) በተዚካሪዎች ፍል ፍል የ
ጊዜ የጊዜ የጊዜ

სწორედ ახლა მოვარდა და მაინცდამაინც ბაზის შენჯრაში იყვანებულ
ედა თავს! თითქოს საგანგებოდ დაუმიზნესო!

დიანა ყველგანმავლიდან გამოძერა და ისევ იმ გადასახედ
კონცესურ კლდეზე ავიდა.

აქედან ხელისგულივით ჩანდა მომცრო პლატო. მის ზედა-
პირს, გარშემო შემოჭარულ კლდეებთან შედარებით, უფრო
ღია ფერი ჰქონდა, თითქმის ნაცრისფერი დაპქრავდა, ალაგ-
ალავ მკრთალ ლიმონისფრადაც ციალებდა. შორეული მზე
სუსტად ანათებდა, მაგრამ მას სატურნი და მისი თანამგზავრე-
ბი ეშველებოდნენ და პლატოს შუაგულში მკაფიოდ მოჩანდა
ოთხი თეთრკომბინეზონიანი კოსმონავტის უძრავი სხეული.
სამი — თითქმის ერთად, ერთმანეთისაგან ხელის გაწვდენის
მანძილზე, მეოთხე — ცოტა მოშორებით... უკვე მეხუთე დღეა.
ასე წვანან...

დიანამ თვალები დახუჭა და ის ავი დილა მოიგონა...

ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკაველ-მტკაველ იკვლევდნენ ასტეროიდს.
ექსპედიციის უკანასკნელი ბანაკი სათვალავით მეცამეტე იყო
მოდი თა ნუ ირწმუნებ რიცხვ ცამეტის ეშმაკეულობას!). პლა-
ტო იმავე სალამოს (აქ „დილაც“ და „სალამოც“ პირობითად
იხმარებოდა — დედამიწის დროის მიხედვით) დაზვერებს კო-
ნცესური კლდის წვეროდან და პირველად სელიმ შირაზიმ თქვა
— ამ მშენიერ მოედანზე მგონი ჰომო საპიენსს წაუმუშავ-
ნიაო. იგ რადიმიჩისა და დიანას გარდა ყველას გაეცინა. იგმა
ხმადაბლა ჩაახველა, ძალზე ხმადაბლა, მაგრამ რადიოთონებმა
ეს ხმადაბალი ჩახველებაც მიიტანეს კოსმონავტთა სმენამდე
და ბიჭები გაჩუმდნენ. „ხვალ ნახავთო“, — წყნარად თქვა
იქმნებილის უფროსმა და მსუბუქიდ ჩამოხტა კლდიდან.

ხვალეც დადგა.

ბაზაში სამორიგეოდ ღიანა დატოვეს — მისი ჯერი იყო.
შორის იგდა ტელეექრანთან და უყურებდა, როგორ გა-
თადიოდნენ კოსმონავტები ახორცილი კლდეების ერთი ქი-
მადან მეორეზე. ჯერ ერთი ამოეფარებოდა იყუდებულ ტინს..



მერე სხვა გაქტებოდა თვალსაწიერიდან. პლატოზე რომ უკრუცლებელი მისამართია და დაბლა დაიხედეს, ფეხები დააბაკუნეს და ხელების ქნევა დაიწყეს — აშეარად ჩანდა, ცხარე კამათი გაიმართა. ყველაზე მეტს, აქედანვე ეტყობოდა, სელიმი დაობდა. ტანმორჩილი შირაზი ქვევიდან ზევით შეჰყურებდა ამხანაგებს და რაღაცას გამწარებით უმტკიცებდა. მერე უცებ დაწყნარდნენ და წავიდნენ. წინ ნოელ ობილოში მიღიოდა, მეორე ბენტ იენსენი იყო, მას სელიმ შირაზი მიჰყებოდა, ხოლ ყველაზე უკან ივ რაღიმიჩი მიაბიჯებდა.

Յօրը յեղու տհառողու դաշըս. ջունամ նատլագ դասնածի, հռ-
ցոր ցայցլվա հալացամ թու ծցից ծնյա դա մի ացցոլոս յոմին-
եցոննշա ցարսկցլացու ծնյա եցըլո ցահնճա. նոյլմա եցլա-
ծո այնու դա ձորքց հայմեռ. նելա, ցպըմուա. յլացը հռմ
Շյեկո. սեցլմա սկսյէլցուոտ ուցը չեցուոտ անցու դա մերց սածո-
լուու ցայցրա գոն. ոմաց թամս ոցնեցմա մյուրդնի ութաց
եցլո դա ուսու նելու-նցլ հայցըս. մորածո թոն մոաթից դա —
ալծատ եցլու մեշցըլցի տու սենուու դա ցունամ ուցը տցալո-
նատլուու ցանածի, թյունուու լուուոտ հռցոր ցայցլվա հալացամ
սցլոմիս յրտաստան դա թու մշտահալշնու մպուց ցահնճա ցարս-
կցլացու ծնյա եցըլո. մորածո հռցորդուու ցըրդուու թա-
յիցըս. հագումոիմա, հռմելուու ուցը ուցնաց համորհիցնուու ամ-
եսնացցին, տելա նածուու սկան ցալմուուց դա մաժոնցի հագուցո-
նու մուսո մլուց ցարցիսացան մոցցուու կմա ցունմա:

— სტაშკოვა, აცნობე დედამიწას! ბაზა არ მიატოვო,
პლატოზე ფეხის შემოდგმა არ...

ალბათ „არ გაძედოო“, უნდა ეთქვა, მავრამ სწორედ ამ დროს ზურგი იმასაც შეუნცრია იმავე გაელვებამ. არაბუნებრივად შექანდა, ერთხანს იდგა და ირჩეოდა. მერე ისევე, გამართული, მუხლისაუბრელი, მოჭრილ ხესავით წიოქცა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფიდ მოხდა, რომ დიანამ გაკვერ-
ვება და შეშფოთებაც უკრ მოასწრო. ის კი არა, როცა ყვე-

ლაფერი დამთავრდა, შემდეგაც კარგა ხანს იჯდა იჯული თვალგაშტერებული, მხრებჩამოყრილი, გაშეშებული...

სტაშქოვამ თვალი გაახილა. არა, სასწაული არ მოზრდარა. ოთხივე კოსმონავტი ისევ ისე უმოძრაოდ იწვა მოყვითალონაცრისფერ პლატოზე.

დიანა ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გაემართა ყველგან-მავლისაკენ.

რა ჰქნას?

დედამიწას უკვე შეატყობინა;

სამი სამარქაფო უანგბადის ავზი აქვს, თუ მოზომილად ხარჯა, თითო თორმეტ საათს იქმარებს. ასე რომ, ორმოციოდე საათის სამყოფი უანგბადის პატრონია.

საკვები — რამდენიც გინძა.

მაშასადამე, უმდა ელოდოს. ამ ორმოციოდე საათში ალბათ მოუსწრებს მაშველი. თუ არა და... ამბობენ, უეანგბადობით გამოშვეული სიკვდილი საშინელებააო, მომაკვდავი თურმე არაადამიანურ ტანჯვას განიცდის, ამიტომ... ამიტომ, როცა უკანასკნელი ავზი დაცლაზე შიღგება, კომბინეზონის საკინძეს გაიხნის და...

და ჰიდალგოს კიდევ ერთი ყინულის ლოდი მიემატება.

4

— თანამედროვე იარაღის ნახელავი არ უნდა იყოს, — უტა ფაზია დიანას კი უყურებდა. მაგრამ, ეტყობოდა. ხმამალლა ფიქრობდა. მან ის იყო დამთავრა ბაზის კატასტროფისას სასწაულებრივად გადარჩენილი ტელეფირის შესწავლა და ჯერაც თვალშინ ედგა იმ ტრაგედიის სურათი, რომელიც ერთი კვირის წინათ ჰიდალგოზე გათამაშდა. — უცნაური ჭრილობებია. მსკდომი ტყვიისას ჰვევს...

— როგორი ტყვიის? — დიანა ყველგანმავლის იატაკზე იჯდა, მიტკუპებულ წვივებზე ხელები შემოეხვია და ზურგით მანქანის კედილს მიყრდნობოდა.

— მსჯდომი ტყვიისას. ოთხასითდე წლის წინათ ჩვეულებული დედამიწაზე ხმარობდნენ ასეთ ტყვიებს. ეს ტყვია სხეულში შეჭრისთანავე ფეთქდება, ქსოვილს ფლეთს და მის მიერ ძირებულ ჭრილობას მოშუშება აღარ უწერია.

— რამდენადაც ვიცი, ოთხასი წლის წინათ დედამიწელები ჰიდალგოზე არ დაფრინავდნენ. არც სამასი წლის წინათ, ხომ?

უტამ თავის დაქნევით დაუდასტურა:

— არც ორასი, არც ასი წლის წინათ. საერთოდ, თქვენ პირველები ხართ, თქვენამდე აქ არც ერთ ადამიანს არ დაუდგამს ფეხი. ყოველ შემთხვევაში, ოფეციალურად ისეთი არავინაა ცნობილი, რომელსაც შეუძლია პრიორიტეტში შეგიცილოთ.

— არაოფიციალურად?

უტამ არაფერი უპასუხა. ფიქრიანი თვალები მიაპყრო ორასითდე მეტრის დაშორებით აღმართულ უნაგირა კლდეს, რომელიც საოცრად ჰგავდა იალბუზს. ამ ილუზის ისიც აძლიერებდა, რომ შავჩრდილდაფენილი ტინის უნაგირი სატურნის რგოლების შუქით იყო მკრთალად განათებული და თოვლით დაფარული გეგონებოდა. მძაფრად შოენატრა მთები — ნამდვილი, გოროზი მთები და არა ეს უფორმო ქლდის ნატეხები. ჩავა თუ არა დედამიწაზე, ზურგჩანთას აიკიდებს, ხელში ძალაყინს დაიჭერს და კავკასიონზე სახეტიალოდ გასწევს. თვითონ, საკუთარი ფეხით ავა უძნელეს მწვერვალებზე — თორემ საბაგირო გზით უშბასა და გამარჯვების პიკზე ახლა თითისტოლა ბალდებიც კი ადიან.

უცებ დიანამ გაიცინა. სიზმარში ზანზალაკის ხმას რომ გაიგონებ, ისეთი იყო მისი სიცილი:

— სულ სხვანაირი მეგონე...

— ა?

— სულ სხვანაირი მეგონე-მეთქი.

უტამ ახლაღა ინტერესით შეათვალიერა დიანა. „მთლად



ბავშვი ყოფილა; — გაიფიქრა. — ლამაზი ბავშვი ჯრურა ტქია
მაღლა კი:

— უანგბადის მარაგი გაქვს? — ჰეთხა და კაბინას მზერა
მოატარა.

— დაახლოებით სამ საათს კიდევ მეყოფა. უკანასკნელ
ავზშიღა დარჩა.

— საქმარისია.

— რას აპირებ?

უტამ ღრმად ამოისუნოქა:

— პლატოზე უნდა გავიდე.

დიანამ წვივებზე შემოსალტული ხელები გაასავსავა, მე-
რე ისევ მომუჭა და მუხლებზე დაილაგა:

— ნუ იზამ. ივი ტყუილად არ ამიკრძალავდა პლატოზე
გასვლას. ალბათ სახიფათოა. შეიძლება, ჭერაც ჩასაფრებუ-
ლი არიან...

— ვინ?

— ვინც ჩვენებს ესროლა.

— მერე, შენი აზრით, ვინ უნდა იყვნენ ისინი?

— რა ვიცი... იქნებ მაინც სხვებმა, უცხოპლანეტელებმა
დაგვასწრეს აქ მოსვლა? ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რო-
მელიდაც ძვირფას ლითონს მიაკვლიეს და ჩვენი გამოჩენა არ
ეჭაშნიკათ?

— დავუშვათ... მაგრამ რაღა პლატოზე გასვლას დაუცა-
დეს? მანამდე არ შეეძლოთ თქვენი ამოჟლეტა?

დიანამ ხელები გაშალა:

— ალბათ ძალზე მივუახლოვდით მათ საიდუმლოს.

უტა ფაზია წამით ჩაფიქრდა. მერე მკეეთრად წამოდგა,
ბიოჟომბინებულნის საკინძე შეიკრა და მუზარადს შისწვდა.

— მგონი, ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოს ხარ. მაგრამ
ზოგი რამ აუცილებლად უნდა დაზუსტდეს. ერთი მოსაზრება
გამიჩნდა.

— უტა, იქ გასვლა სახიფათოა!

უტა ფაზიამ ხელი გაუწოდა. დიანამ თავისი პატია ხელი



მიაგება და აპყვა. ვაუმა გულლიად გაულიძა შეშინებული უწყვეტობების შორის:

— ნუ გეშინია, ჩემი კომინიზონი სასწაულებრივი მასალისგანაა გაკეთებული. მარტო კოსმოსური სიჩქარით მოვარდნილ მეტეორიტს თუ შეუძლია მისი დაზიანება, ჩვეულებრივი მსკლომი ტყვია რა ბედენა! მეტეორიტი კი... აკი თვითონაც თქვი, ას წელიწადში თურმე ერთი მეტეორიტი ეცემა ჰიდალოგზე, და ამას წინათ ისიც ჩამოვარდნილა, ასე რომ, არავითარი საფრთხე არ მელის და ტყუილად გეშინია... ნახევარ საათში აქა ვარ.

პლატოზე ფეხი შედგა თუ არა, უტა ფაზია მაშინვე დარწმუნდა, რომ სელიმ შირაზი მართალი იყო და აქაურობას მართლაც გონიერ არსებათა ხელი აჩნდა. ფრთხილად, კუს ნაბიჯით მიღიოდა, თან დაკვირვებით ათვალიერებდა გარშემო ახორხლილ ვეება ლოდებს. პლატო მართკუთხი იყო, სიგრძე ასი-ასოცი მეტრი იქნებოდა, სიგანე — ოციოდე მეტრით ნაკლები. მისი კლდოვანი იატაკი თითქმის იდეალურად გლუვი იყო და კლდეს კი არა, მართლა ლითონს ჰგავდა. „ნერიავი რა უნდა იყოს? — გაიფიქრა უტამ. — აქ ვინ ყარაულობს აქაურობას ასე გულმოდგინედ, როგორც ცერბერი — ჰადესის კარებს?“ დახოცილ კოსმონავტებამდე ათიოდე ნაბიჯი რომ დარჩა, შედგა და მიმოიხედა.

პლატოს შუაში კვეთდა ორივე მხარეს კლდეებში გაჭრილი სევე მართკუთხი კვეთის მქონე საკმაოდ ფართო ღარი („გზატკეცილი!“) — პირველად ეს გაიფიქრა „ფარნავაზის“ მეთაურმა, რომელმაც ეს უცნაური სარტყელი. ჰიდალგოს გარშემო შემოვლებული, „ფარნავაზიდანვე“ (შენიშნა). მხარემარცხნივ იმ ადგილის, სადაც ეს ღარი პლატოზე შემოღიოდა, უტა ფაზიამ ორი მოგრძო შავი ლოდი შენიშნა. მხარმარჯვნივ, მოპირდაპირე მხარეს, სამიოდე ასეთივე ლოდი ეყარა.

უტას არ უყოყმანია, შებრუნდა და მარცხნივ წავიდა, „გზატკეცილის“ კიდური ნაზის ჰარალელურად, მისგან ასე ათიოდე ნაბიჯის დაშორებით. არც კლდეებზე, არც ტინის

ღარში არავითარი მოძრაობა არ შეუნიშნავს. — ყველგვიშმურავ ლისაკენ მიიხედა. „იალბუზზე“ დიანა იდგა უმოძრაოდ, თითქოს კლდეს შეზრდოდა. ხელის დაქნევა დააპირა, მაგრამ რატომლაც გადაიფიქრა, უცებ გაუელვა — ვაითუ გაუმართლებელ რისკზე მივდივარ, მეც დავიღუპო და სტაშკოვასაც ვერაფერი ვუშველოო. მაგრამ ცნობის წადილი იძღვნად ძლიერი აღმოჩნდა, რომ რისკზე ფიქრი მაშინვე მოისხიპა და გზა განაგრძო.

თითქმის კლდეს აკრული მიუახლოვდა „გზატკეცილისა“ და პლატოს გადაკვეთის წერტილს, იმ ორ შავ ჩრდილს დააცემერდა და შუბლი ციფი თფლით დაეცვარა:

პლატოს ნაცრისფერ იატაკზე ორი სკაფანდრიანი ადამიანი იწვა. თითოეული მათგანის გვერდით ხელის მძიმე ტყვია-მფრქვევი ეგდო და უამრავი ცარიელი მასრა ეყარა...

5

კმემ-ის მე-3 ტომის 502-ე გვერდზე წერია:

„1993 წლის 5 სექტემბერს კუნძულ მაუას (ჰავაის არქიპელაგი) კოსმოსურ ბაზაში შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფმა ხელთ იგდო სასტარტოდ გამზადებული საექსპედიციო ექსპრესი „კალაგენი“ და გაფრინდა გაურკვეველი მიმართულებით. ხომალდი დედამიწაზე არ დაბრუნებულა.“

ამ უპრეცენდენტო შემთხვევის შესახებ ოფიციალურ პრესაში სხვა, უფრო ზუსტ ან სავსე ცნობას არ გაუუნავს. მაგრამ საკვალიფიკაციო აქადემიაში მოსმენილი ლექციებიდან ურა ფაზიამ იძაზე გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე კმემ-ის მესამე ტომში იყო მოთხრობილი. ამ აქადემიაში „კონსოლიგიის შესწავლას“ ფანტასტიკურად ერუდირებული და კრიმინალისტის თანდაყოლილი უნარით დაჭილდოებული ბრიტანელი პროფესორი ჯეიმს ჯონსი კითხულობდა. ჯონსის ერთ-ერთი შეგობარი ამერიკული მონოპოლიის — „ვანადიუმ-კომპანის“ მრჩეველი იყო და ხელი მიუწვდებოდა ბევრ საიდუმლომდე,

რომელთა გამოცნობაზე არაერთი იმდროინდელი გაზეთი აუ/ გამომცემლობა ოცნებობდა.

იმ „ბანდიტთა ჯგუფში“ ორიოდე თავზეხელაღებულ ცნობილ განგსტერთან ერთად რამდენიმე ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი და ინეინერიც შედიოდა, რომლებიც ხელფასს „ვანადიუმ-კომპანის“ სალაროებში დებულობდნენ. დედამიწის ვანადიუმის საბადოები თითზე ჩამოსათვლელი იყო, არადა ამ ლითონზე აჩსებული მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდებოდა. სწორედ იმ პერიოდში კომპანიას ფინანსური სიძნელეები დაწყო და მისმა მესვეურებმა გადაწყვიტეს დედამიწის მიღმა ეძებნათ პლატინაზე უფრო ძვირფასი ვანადიუმი. უბედურება ის იყო, რომ მარსსა და ვენერაზე კერძო კომპანიის წარმომადგენელს ცხვირსაც არ შეაკოფინებდნენ, მერკური, იუპიტერი და იუპიტერისიქითა პლანეტები კი ჯერ კიდევ თეთრ ლაქებად ითვლებოდნენ; მაშასადამე, რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ ასტეროიდები. საექსპედიციო ხომალდის ასაგებად „ვანადიუმ-კომპანის“ არც დრო ჰქონდა და არც სახსრები, ამიტომ მზამზარეული ტრანსპორტის გამოყენება გადაწყვიტა, რისკზე წავიდა და „კალაგენი“ გაიტაცა.

„კალაგენია“ ასტეროიდების სარტყელისაკენ გაუტია. ვიდრე მარსის ორბიტას მიაღწევდა, ექსპრესი რეგულარულად გადმოსცემდა ცნობებს კომპანიის საიდუმლო კოსმოსური კავშირგაბმულობის სამსახურს, მაგრამ ასობით მცირე პლანეტების ქაოსში ჩაყურყუმალავდა თუ არა, დამუნჯდა, პირში წყალი ჩაიგუბდა. არავინ იცოდა, რომელ ასტეროიდზე „ჩამოჯდა“ ხომალდი — ცერერაზე თუ სუნონაზე, ვიქტორიაზე თუ აკვიტანიაზე, ფლორაზე თუ მელპომენაზე, იქნებ სულაც რომელიმე უსახელო კლდის ნატეხის მსხვერპლი გახდა...

იმედგადაწურულმა „ვანადიუმ-კომპანიმ“ კიდევ ათიოდე წელს იბარბაცა, კიდევ ბევრი ხრიყი იხმარა თავის გადასარჩენად, მაგრამ წელში ვერა და ველარ გაიმართა და წაიქცა.

...და იმ „კალაგენის“ სენსაციური გატაცებიდან ოთხას



ოცდახუთი წლის შემდეგ ექსპრესის გაქტობის ბურუმიზუმიშვილი
აულ ისტორიას ნათელი მოეფინა.

უტა ფაზიამ ბაგეზე იქმინა და თვალშინ ნათლად წარმო-
უდგა ჰიდალგოზე დატრიალებული ტრაგედიის პირველი აქტი:

კალაგენელები, რა თქმა უნდა, პირველად გამოუკვლევე-
ლი ასტეროიდების შესწავლის შეუდგნენ. რამდენიმე მცირე
პლანეტა უბრალო ქლდის ან ყინულის უფორმო ნატეხი იღმო.
ჩნდა, სხვებზე ვანადიუმის ნასახიც არ მოიპოვებოდა. მაგრამ
განგსტერ-მეცნიერებს მალე ბედმა გაეღმიმა: სწორედ იმ
დროს ასტეროიდთა სარტყელში ჭაპანშვერტით მიიკვლევდა
გზას ჰიდალგო, რომელიც, ის იყო, თავისი პერიპელიუმიდან
გადიოდა. პირველმავე ანალიზშა კალაგენელებს სუნთქვა შე-
უკრა: ეს ნესვისებური ფორმის მქონე ასტეროიდი თითქმის
მთლიანად წმინდა ლითონური ვანადიუმის, მოლიბდენისა და
კიდევ ჩამდენიმე სხვა იშვიათი ლითონისაგან იყო შედგენილი.

„კალაგენის“ ეკიპაჟს დრო არ დაუკარგავს და მაშინვე
შეუდგა ვანადიუმის საბადოს ლია დამუშავებას. როგორც ჩანს,
მას საქმაოდ მძლავრი ლაზერული ტექნიკა ჰქონია — სხვა-
ნაირად შეუძლებელი იქნებოდა პლატოს და მასში შემდინარე
ორი „გზატექილის“ ამგვარი სახით დამუშავება.

როცა ხომალდის სათავსები ხალასი ვანადიუმის ზოდებით
გაიჭედა და სტარტის დრომაც მოაწია, უცებ გამომუღავნდა,
რომ ორ თავზეხელალებულ განგსტერს ეკიპაჟის ამოულეტა
და „კალაგენის“ ხელში ჩაგდება გადაეწყვიტა. ანგარიში ზუ-
სტი იყო: თუ ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდებოდა,
„ვანადიუმ-კომპანია“ პრემიას ოცზე კი არა, ორ კაცზე გაანა-
წილებდა და თვალის დახამხამებაში გამდიდრებული განგს-
ტერები ხელობას მიატოვებდნენ, დანას დაკეცავდნენ, ლასოს
დაახვევდნენ. სადმე კალიფორნიაში ან ახალ ზელანდიაზე და-
სახლდებოდნენ და უდრტვინველად გალევდნენ წუთისოფელს.

მაგრამ ინჯინირებმა და მეცნიერებმა როგორლაც შეიტყვეს
შეთქმულების ამბავი და წამიც არ დაუყოვნებიათ, მაშინვე
მოქმედებას შეუდგნენ. როცა სტარტისთვის უკვე ყველაფერი



მზად ჰქონდათ, განგსტერები შორც გაიტყუეს, სამი მკვლელორეალი მიუჩინეს — ახალგაზრდა ინჟინრები, რომლებიც უკვე აღმართავთ ფერში სჭირდებოდათ — და ისე, რომ შათი შეტაკების შედეგისთვის არ დაუცდიათ, აუდელვებლად დააჭირეს თითი სასტარტო ლილაკს.

„კალაგენი“ პიდალგოს კი გასცდა, მაგრამ დედამიწის-თვის არ მიუღწევია — ვინ იცის, იქნებ რომელიმე ასტეროიდს შეასკდა, ან მართვა მოეშალა და სადღაც უსასრულეთში ჩაიკარგა, ან იქნებ რეაქტორი აუფეთქდა და ამოდენა ხომალდი თვალის დახამხამებაში იქცა ფერფლად და ნაცრად.

პიდალგოზე დარჩენილმა ხუთმა დედამიწელმა კი, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ „კალაგენის“ ეკიპაჟმა ისინი სასიკვდილოდ გასწირა, საქმის ცოდნით, მეთოდურად დაცხრილა ერთმანეთი.

ამით დამთავრდა ტრაგედიის პირველი აქტი.

მაგრამ ბოროტების თესლი ზოგჯერ ჭანჭა ბალახივით სიცოცხლისუნარიანია და ისეთ აღგოლას ან ისეთ ღროს ამოყოფს თავს, სადაც და როდესაც არ ელოდები.

ოთხას ოცდახუთი წლის შემდეგ ამ ღვთისაგან მივიწყებულ ასტეროიდზე ტრაგედიის მეორე აქტი გათამაშდა:

უტა ფაზიამ იცოდა, რომ თუ პიდალგოს მასის მქონე სხეულის ზედაპირიდან პორიზონტალურად გავისვრით საგანს (ამ შემთხვევაში — ტყვიას) ისეთი საწყისი სიჩქარით, რომელიც მეტია წრიულ ორბიტულ სიჩქარეზე¹ და ნაკლებია პარაბოლურ სიჩქარეზე,² ეს საგანი (ამ შემთხვევაში — ტყვია)

1. წრიული ორბიტული სიჩქარე — სიჩქარე, რომლითაც სხეული ორბიტაზე მოძრაობს.

2. პარაბოლური სიჩქარე — დისიკაციის სიჩქარე (იგივეა, რაც შეორე კოსმოსური სიჩქარე), ანუ სიჩქარე, რომელიც უნდა შეიძინოს სხეულმა, რათა გათავისუფლდეს ვარსკვლავის, პლანეტის თუ ასტეროიდის მიზიდულობისაგან.

სამუდამოდ მთავარი, მიშჩიდველი სხეულის ორბიტაზე დაწება, როგორც ჩანს, კალაგენელთა შეერ გასროლი უძველესი ების სიჩქარე („დაახლოებით 800-850 კილომეტრი წამში“, — გაიხსენა უტამ) სწორედ ამ შუალედში თავსდებოდა. მაშასა-დამე, ეს ტყვიები აგერ უკვე მეხუთე საუკუნეა დაპერიან ჰი-დალგოს გარშემო, ადამიანთა ხელით გაჭრილი ლარის გასწვრივ, და მშეერი მგლების ხროვის მაღით ელოდებიან მორიგ მსხვერპლს...

ტყვიები ზედაპირიდან დაახლოებით ერთ დონეზე იყო გისროლილი, თანაც ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. სწორედ ამიტომ დიანას ამხანაგთაგან ზოგი მეტრდში დაიჭრა სასიკვდილოდ, ზოგიც ბეჭებში, ხოლო ტანკორჩილ შირაზის ტყვია თავში მოხვდა...

„ფარნავაზის“ მეთაურმა თვალები მოჭუტა.

უტა ფაზია და დიანა სტაშკოვა მშობლიურ პლანეტაზე ჩიიტანენ ამ მწუხარე ამბავს.

მართალია, დედამიწაზე „ვანაღიუმ-კომპანის“ ქვალიც აღარ დარჩა, მაგრამ უტა ფაზია და დიანა სტაშკოვა მაინც აღძრავენ საჩივარს მის წინააღმდეგ, რაკი ხელში ასეთი მკაცრი სამნილი ჩაუვარდათ.

მერე რა, რომ ამდენი დრო გავიდა, მერე რა, რომ დედამიწაზე უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს ამგვარ ბოროტებათა საფუძველი

ვალაქტიკაში ხომ, თუნდაც მხოლოდ NR მიკროასოციაციაში, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი პლანეტა, სადაც უამრავი რამ არის მოსაგვარებელი, სადაც ზოგჯერ ბოროტი ჯერ კიდევ სძლევს ხოლმე კეთილს. აი, სწორედ მათთვის მაგალითად უნდა იქცეს ეს ნალვლიანი ისტორია...

უტა ფაზიამ თავი ასწია.

„იალბუზზე“ ქანდაკებასავით იდგა თეთრკომბინეზონიანი დიანა.

„ფარნავაზი“ ნელა, სულ ნელა დაეშვა პლატოზე, რომელმაც მშვენივრად გასწია კოსმოდრომის მოვალეობა. კორპუსი ოდნავ შესამჩნევმა ბიძგმა შეაქანა.

უტამ რეაქტორები გამორთო და დააყურა.. დიანაც, რომელიც მეთაურის უქან იდგა და მის მხარზე ნელი ედო, სმენად გადაიქცა; მაგრამ, რა თქმა უნდა, ოთხსა ოცდასხუთი წლის წინათ გასროლილი ტყვიების კორპუსზე მიჯახების ხმაც არც ერთს არ გაუგონია.


მიუხედავად ამისა, უტა ფაზიამ იცოდა — ოცი წამის შემდეგ ჰიდალგოს ორბიტაზე ერთი ტყვიაც აღარ დარჩებოდა. ამიტომ ორიოდე წუთი რომ გავიდა, ლიუკი გააღო, პლატოზე ჩავიდა და ოთხი კოსმონავტის გაშეშებული სხეულები იახტის სალონში დაასვენა.

უტა და დიანა მცირე ხანს მდუმარედ დაჰყურებდნენ დაღუპულ დედამიწელებს.

მერე „ფარნავაზის“ რეაქტორებმა ერთხელ კიდევ შეაჩყია ამიერიდან უკვე უხთფათო ასტეროიდის სხეული. იახტამ მძლავრად გაიწია, ჰიდალგო ნელ-ნელა ჩამორჩა, დაპატარავდა და შავეთში ჩაიძირა.

„ფარნავაზი“ მზისკენ მიიჩქაროდა.

მეორედ მოსვლა



გიგამ ნაბიჯით დაასწრო მიქელ-გაბრიელს და ღილაკს ელვის სისწრაფით დააჭირა თითი. ლიფტის ორმაგი კარი ჯანით დაიხურა და კაბინა რწევითა და რახრახით წავიდა ზემოთ, მეათე სართულისაკენ.

— ეგეც შენ, გიტირე თუ არა დედა! — აიძნის მოგებით ჩაიცინა გიგამ. — იწანწალე ახლა ქუჩაში და ეძებე საკბილო! მათხეხოვარი! ქრრრეტინი... — შეამკო მისებურად.

მიქელ-გაბრიელი გიგამ რვა წლის ასაკში გაიცნო, როცა „მგელობიას“ თამაშის შერე გასაგრილებლად წყალმცინარას მორევში ჩაყვინთა და იქიდან ფილტვების ენთება ამოიტანა. იმ ღამეს, ასე თუ ისე, არა უშავდა, მეორე დღეს სიცხემ ნელა აუწია, მესამე ღამეს კი ორმოცდაერთზე აუვარდა. ე, სწორედ მაშინ აიტუზა მის სასთუმალთან თვალებჩალამებული და კბილებდახრჭენილი ლანდი. გიგილომ (ბავშვობაში მას ეს სახელი ერქვა). ხელად იცნო ვინც იყო, თუმცა მერე, მოგვიანებით, კი უკვირდა, ნეტა რანაირად უნდა მეცნო, თუ კი იმ დროს, როცა დედაჩემმა მუცლა და, ამრიგად,



ჩემი მოქველა მოინდომა (ეპ, ქრისტიანი მიატოვა საბრალი) ეს უფრო გამოდებული ხილები თვის ჩანასახი ვიყავი, სხვა არაფერი მახსოვეს და უძრავი ეს უფრო დამამახსოვრდათ. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სას-თუმალთან წამოყუდებული მიქელ-გაბრიელი, როგორც მო-გახსენეთ, შეხედვისთანავე იცნო და არიქა, თავს ვუშველოთ, წამოხტა და ღელელურდას შეენთო გორა-არამეულის წვერო-ნაკენ (აბა ამ გაცხარებული ომის დროს მამასისხლად ნაშოვნი ორი აბი სულფიდინის იმედით ხომ არ იქნებოდა!)... სინამდ-ვილეში არსადაც არ გაქცეულა, სად ჰქონდა ამის თავი, სა-წოლში ბორგავდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ხან ცივსა და ხან ცხელ ოფლში ცურავდა, მაგრამ მიქელ-გაბრიელს მაინც აჯობა, გაასწრო, კარგა მანძილზე ჩამოიტოვა და ბოლოს ენაც კი გამოუყო. მერე, მართალია, ციცაბო ფერდობზე ფეხი აუ-ცდა და ბნელ, უფსექერო ხევში ლიწინ-ლიწინით ჩაიჩეხა, მაგ-რამ თვალი რომ გაახილა, სასთუმალთან დაბალ სკამზე საცო-დავად მოკუნტული, მოლად დალეული დედა დაინახა და „წყალიო“, — მიახვედრა როგორდაც...



მეათე სართულის კიბის მოედანი, როგორც ყოველთვის (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა), ახლაც უკაცრიელი იყო — ალბათ მოგეხსენებათ, რაოდენ იშვიათად ხვდებიან ერთ-მანეთს თანამედროვე რკინა-ბეტონის მრავალუჯრედიან კო-ლოფთა მობინადრენი. რასაკვირველია, ვერც ის მიხრწილი მიქელ-გაბრიელი ამოასწრებდა ლიფტს. ამ სიმაღლეზე ამოს-ვლას, მაგრამ გიგამ მაინც სიფრთხილე არჩია: გასაღები რომ გადაატრიალა და საკეტის ენის ნაცნობი ჩხაკუნი გაიგონა, უკან მოიხედა, მერე უცებ შეაღო კარი, ტაღანში კი არ შევი-და, შეხტა და კარი ისე მოაჭახუნა, მიქელ-გაბრიელი სადარბა-ზოდან გასული თუ არ იყო, უთუოდ გაიგონებდა.

— კრრრეტინი! — და ეგმოვნებით გაიმეორა გიგამ საქ-მაოდ ხმამაღლა. იცოდა, რომ ბინა კარიელი იქნებოდა, მისი

მეუღლე, ქალბატონი თამარი (ქმრისთვის — თამრიკო, თამთა, თამუნია; ერთხელ „ტომაც“ კი დაუძახა: ახალდაბრუნებული გახლდათ ივანოვო-ვოზნესენსკიდან) ათი საათის მატარებელს ჩამოჰყებოდა და შინ თერთმეტამდე ვერ მოვიდოდა. გუშინ გაემგზავრა კახეთში თამარი, იქაურმა მიქელ-გაბრიელმა ერთი შორეული ნათესავი წარსტაცა გიგას ცოლოურებს და თამარის გარეშე ხომ ვერ დაკრძალავდნენ...

გიგამ ფეხები ფლოსტებში წაჰყო და სიამოვნებისაგან
მსუბუქებ ამინიკვნესა.

1

ცხრამეტი წლის გოგა (არმიაში სამსახურისას შინაურულად, ესე იგი ქალებში, ეს სახელი ერქვა) სოკოთი მოიწამლა. გერაფტით ვერ წარმოიდგენდა, ის ძისი ნაცნობი მიქელ-გაბრიელი ყაზანშიაც თუ ჩააკითხავდა და ახალგაზრდა მარტოხელა ქვრივის, მაღინა ილიასოვას მყუდრო ბინაშიც მიაგნებდა. კიდევ კარგი, თავად მაღინას სოკო არ უჭიამია (ცოტა იყო და ულუფაში არ ჩაეზიარა მოშეიბულ ჯარისკაცს), თან ფხიზელიც გახლდათ და დროზე მოისაზრა, რომ სამხედრო ნაწილის ექიმისათვის მიეწვდინა ხმა, თორემ გოგასა და მიქელ-გაბრიელის ჰიდილში უთუოდ ამ უკანასკნელს დარჩებოთა გამარჯვება.

სხვათა შორის, ეტყობა, ნაწილობრივ იმ ავტედითი მოწამელის შედეგიც იყო, მოვკიანებით კუჭის წყლული, ქოლეცისტიტი და მარჯვენა თირკმლის კენჭოვანი დაავადება რომ შეიძინა, რომლებიც ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე, მორიგეობით ახსენებდნენ ხოლმე თავს. ნაწილობრივ-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ზემოჩამოთვლილ სნეულებათა განვითარებას, ავადმყოფობის ისტორიის ენით თუ ვიტყვით, არარეგულარულმა კვებამ და უძილობამაც შეუწყო ხელი — ბატონ გიორგის ხომ (სამსახურში მას ეს სახელი — პასპორტით დაკანონებული სახელი — ერქვა) ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა... თუ ამას თამაზეოს თავგამოდებული წევის ოცწლიან სტაუს და, მართალია, ზომიერად, მაგრამ მაინც საკმა

სიხშირით (როგორც ქართველ კაცს შეეფერება) მიღებულ და მისამართი კომისია და გამოიყენება. აღარც ის გაგავირვებთ, ბოლო ხანს ჩვენს გიგას არითმია და ჰიპერტონიაც რომ შემოეჩვია.

— მაგის დედაც ვატირე, — იტყოდა ხოლმე გიგა მეზობლების სადაბადებისდღეო, საქელეხო ან საორმოცე თავყრილობაზე (ამ დროს, რა თქმა უნდა, ხმას დაუწევდა, რომ მისი მოუწმაწურო სიტყვები ქალებს არ გაეგონათ), — ხომ ამდენი რამე მაწუხებს, მაგრამ თქვენ გონიათ, მიქელ-გაბრიელს კუთროთხი? წვალების მეშინია, მეგობრებო, წვალების! თვარა მე, — ამ დროს მისი თამთა-ქალი ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო, ეშმაკურად თვალებმოწყურული მიიხედ-მოიხედავდა და კიდევ უფრო დაუწევდა ხმას, თითქმის ჩურჩულზე გადადიოდა, — ჩემი წილი წუთისოფელი ჩემს გემოზე გავლიყ, კაი დრო მიტარებია, კაი მისვამს, კაი მიჭიამია და კაი ქალებშიაც მიხვანხვალია. აბა, ასეა ეს! ხნიერი არ მქვია, ორ-მოცდაათისაც არ ვარ ჯერ, მაგრამ წინ წვალება და გაჭიანურებული სულთაბრძოლა თუ მელოდება, მიჩრევნია, ამაღამვე გავიპარო ძილში, წყნარად, მშვიდად, დაუკვნესებლად...



გიგამ საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა, სამზარეულოში შეფრუტუნდა და მაციგარი გამოალო.

შიოდა კაცს...



ამ ათიოდე წლის წინ ექიმებმა ურჩიეს, კუჭის ოპერაცია უნდა გაიკეთო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს გაგეხვრიტება და გაგათავებსო. გაცინა. თითოდან სისხლის აღებისას და შპრიცის დანახვისას გული მისდიოდა ხოლმე და ასეთი კაცი კუჭის ოპერაციის გამკეთებელი იყო? ტომას გამჩენი აცოცხლა



ღმერთმა (ეს ის ტომაა, შეცდომით თამუნიას რომელიც გამოიყენა ერთხელ მისი სახელი), ისეთი უებარი სამკურნალო გალაზე—^{შესაბამისადან} ბი გამოუგზავნა, თვენახევარში მოუშეშა ის წყლული და თვალებამოლამებული მიქელ-გაბრიელი კიდევ ერთხელ კუდამოძუებული გააბრუნა უკან.

— ნიძლავის გულისთვის ქვას დავლეჭავ, თუ გინდათ, — შუა პურ-მარილში დაიქადნა ერთხელ გიგამ. — არადა, ექი-მებისთვის რომ დამეჯერებინა, ახლა ჩემი ძვალიც არ იქნებოდა მიწაში. პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე, გამარმარებული დანის ქვეშ გამდვრებოდა სული. აბა, ასეა ეს!..

მინანქრიან ცისფერ ქვაბში მწვანე ლობიოს შეჭამადი აღმოაჩინა. მაცივარს თვალი ჩაუკრა, ტუჩები გაიღოკა და გაზეურა აათო. კარადაში, ცხარე ტყემლისწვენიც ეგულებოდა.



სამი... არა, თითქმის ოთხი წლის წინათ საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა. მაშინაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მიქელ-გაბრიელი; შოფერი ავარიის აღვილსავე გარდაიცვალა, ხოლო ორმა მგზავრმა მთელი ქვირა იწვალა საავადმყოფოში და ჭოჭოხეთური ტკივილებით დალია სული... გიგას კი... გიგას განაკაწრიც არ დასჩენია, მხარი დაებეჭა მომსუბუქოდ, ეს იყო და ეს.

— საწყლები, რამდენი იწვალეს, — იტყოდა ხოლმე და ფრთხილად წაუქცევდა თავს სავსე ჭიქან. — ღმერთმა ნათელში ამყოფოთ... ეჭ, არა, ძმაო, ბედნიერია სანდრიკა, მშვიდად, წყნარად წავიდა, არაფერი სტკენია, არაფერი გაუგია... სანდრიკა შოფერს ერქვა.



ქვაბს სახურავი ახადა და აშიშხნებულ კერძს კოვზით ამოურია. სამზარეულოში საამო სუნი დატრიალდა. ისევ გამოალო მაცივრის კარი იღუმალი მოლოდინით. გაუმართლა—

ოდნავ ნაკლული ერთი ბოთლი წითელი „შუშხუნა“ არ აჩინა?

— გვიქეიფია აბა! — თვალი ჩაუკრა ბოთლს.



დღეს დილიდანვე აედევნა თვალებჩაღამებული ლანდი. სამსახურში მისვლისთანავე იგრძნო საზიზღარი თავბრუსხვევა, საფეხქლები აუბათქუნდა, მარცხნა ხელის თითები გაუცივდა და დაუბუშდა. მიხვდა, წნევამ ამიწიაო. დაახლოებით ას ოთხმოცი ას ითხე ექნებოდა. უჯრა გამოაღო, წამალი მოძებნა, ენაზე ფხვნილი დაიყარა და წყალი მიაყოლა. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა. წნევამ მაღვ დაუწია. შესვენებამდე ბარაქიანად იმუშავა. ნასაღილევს მაგიდიდან საშლელმა ისკუპა, იატაკზე დავარდა, კალიასავით ახტა თვალსა და ხელს შეა გაუჩინარდა. გიგამ ჩაიმუხლა, ჯერ მაგიდის, მერე — კარადის ქვეშ გვერდულად შეიჭყიტა და უცებ იგრძნო, როგორ გადაეხლართა ნაწლავები. ცივმა ოფლმა დაასხა. სადღაც, კუჭის მიღამოში, მძაფრმა ტკივილმა გაპკრა და ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი დაეფინა. მაშინვე საოპერაციო მაგიდა, თეთრნიღბიანი ქირურგები და ცივად მოლაპლაპე სკალპელი დაუდგა თვალწინ. შუხლებს ძალა დაატანა, თდნავ წამოიმართა და, მაღლობა ღმერთს, ნელ-ნელა ჩაუყუჩდა ტკივილი.

— როგორაა შენი წნევის საქმე? — ჰყითხა განყოფილების გამგემ დღის ბოლოს.

— არ ვეპუები, ბატონო ტრიფონ! — ცოტა არ იყოს, ამაყად უჰასუხა გიგამ. — ამ დილასაც მქონდა, ერთი-ორჯერ შემაქანა, მაგრამ დავაგდე. მაგას თუ ავყევი...

ტრიფონმა ხელები გაასავსავა:

— აჲ, არა ხარ მართალი, ჩემო გიორგი. მაგას დროულად უნდა მიხედვა, თორემ წნევას ხუმრობა არ უყვარს, იცოდე. ბოლოს არ განანოს!

— იჲ, წნევა რა ბედენაა, ბატონო ტრიფონ, მაგის სულაც არ მეშინია. თქვენ სხვა თქვეით, თორემ წნევამ უცბად იცის — „რახ“ ერთი და გათავდა!

— მაგას არ გეუბნები მეეც?

— ჰოდა, წყნარად და უწვალებლად თუ დავლევ სულს, ამას რა ჭობია, ამაზე უოცნებობ მეც.

— მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი შენ იცი, ჩემო გიო-
რგი...



გიგამ ჩაიხითხითა და ღვინო დაისხა. ჭიქამ გარედან ნის-
ლის ჰაეროვანი ქსოვილი გადაიკრა, შიგნიდან კი პაწია ვერც-
ხლისფერი ბურთულებით დაიწინწელა. ენას ისე საამოდ მო-
ეფხაჭუნა, ისე, რომ... იფ!..

ცერას ოცი წუთი აქლდა, როცა ტელევიზორი ჩართო და
მის წინ სავარძელში მოეწყო მოხერხებულად. რაღაც უღიძ-
ლამო, უფერულ ფილმს უჩვენებდნენ. ვითომ მხატვრული იყო,
სინამდევილეში კი უხეირო და „აბა ჰე, აბა ჰოს“ ტიპის კოლ-
მეურნეობაზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს ჰგავდა.
ამიტომ მალე თვლემა მოერია და, დიდი-დიდი, ათი წუთი იქ-
ნებოდა გასული, გემრიელად ჩაეძინა კიდეც...



ვიღაც ფრთხილად შეეხო მხარზე. თავი არ აუწევია, ის-
ედაც მიხვდა, ვინც იქნებოდა, და ტანში უსიამოდ გააერუო-
ლა. „ნაიდან შემოვიდა ეს ოხერი!“ — გაიფიქრა და ერთია-
ნად დაიძაგრა, უცაბედი წამოხტომისთვის შეემზადა, იქნებ
წელიდან დავუსხლტეო, მაგრამ გვიანდა იყო, მუხლები უძვე
მოქვეთოდა. თვალები ოდნავ გაახილა და მოპირდაპირე კე-
დელზე აკრულ დიდ, ოქროსფერჩარჩოიან სარკეში ცოტათი
გადღაბნილი ნახატი დაინახა — სავარძელში საცოლევად ჩა-
კეცილი, მუხლებთან ფეხებწაკვეთილი პატარა კაცი (კი მაგ-
რამ, სისხლი რომ არ სდიოდა?) და მის უკან — თვალებში
წყვდიადჩამდგარი და დაცინვით კბილებდახრჭენილი მიქელ-



გაბრიელის ლანდი. „თუ არ ვცდები, რუბენსის ნახატე მწერლა და იყოს“, — მწარედ გაიფიქო და იმ დროს მიქელ-გმარის კონკრეტული ელმა მეორე ხელით ლაპლაბა სკალპელი დაუსვა შიშველ მუცელზე (კი მაგრამ, როდის მოასწრო კვართის გახდა?), მესამე ხელი კი ღია ჭრილობაში შეუყო და დაკლული ქათამივით აფართხალებულ გულს ბასრი ფრჩხილებით ჩაეჭიდა. ვიგამ დაიგმინა და გაიბრძოლა. რომ არაფერი გამოუვიდა, „მიშველეთო!“ — იყვირა მთელი ხძიო, მაგრამ რად გინდა, ამ ტრიალ მინდოოში ვინ იყო მშველელი! მიქელ-გაბრიელმა მეორე ხელი თმაში წაატანა, მოქაჩა და კინალამ თავის ქალა ახადა, მეხუთე კი ყელში წაუჭირა და ხრიალი დააწყებინა. ამ დროს უცებ აცივდა, ქარბორბალა დატრიალდა, დაიგრგვინა, მიწა შეიხდა და ატორტმანდა. გიგა უკვე წყალცინარას — თავისი ბავშვობის ქალაში — მირბოდა. ლამდებოდა. კიდევ ცოტაც და, საცაა, მიაღწევდა გორა-არამეულის წვეროს, მაგრამ უცებ მთის მწვერვალი მოირლვა, გადმოიქცა და ფერდობზე დაგორდა. ვეებერთელა კუპრისფერმა ლოდმა ცის ნახევარი დაფარა, გუგუნით წამოვიდა, თანდათან უმატა სიჩქარეს, მოზანზარებდა. მოდგანდგარებდა და მოქვეონდა ხე და მიწა. იქაურობა ჭოჭოხეთურმა გრიალმა და ხათქახუთქმა გააყრუა. „ალბათ ესაა მეორედ მოსვლა!“ — გაუელვა გიგას. ზვავი ელვის სისწრაფით მოახლოვდა. მერე აიყალყა, ერთიანად ჩამოაბნელა ცა; წამით თავზე წამოადგა შიშით გულგაყინულსა და გარდუვეალ ხეედრთან თითქმის უკვე შერიგებულს, გამანადგურებელი, ყოვლისდამთრგუნავი ძალით დაეჭია, თან დაიტანა, აითრია, ხერხემალი დაუჩეჩქვა, თავის ქალა ჩაუნგრია და ფილტვები დაუფლითა. გიგას თვალშინ უცებ უზარმაზარი ბნელი ოფსკრული გადაიხსნა, არააღამიანური ტკივილებით გულგახეთქილმა ერთი კი დაიღრიალა და როცა ტვინდანთხეულ თავზე ხელებშემოჭრილი იმ ჩაშავებულ უფსკრულეთში გადაფრინდა, მოულოდნელად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა... დიდხანს, უსასრულოდ დიდხანს მიფრინავდა თვალშეუდგამ ცივ სიბნელეში...

- საწყალი, სულ წყნარ სიკვდილზე ოცნებობდა და —
აპა...
- მაშა, ქა, დღენიადაგ წვალებისა ეშინოდა, უბედურს...
- ბედნიერი ყოფილა: რასაც ნატრობდა, აუხდა კიდეც...
- ხედავ? ტელევიზორის ყურებაში გაპარულა!...
- რა მშვიდად წასულა, კაცო, ა?



...ეჭ, რა იცოდნენ თამარის ხაფ კივილზე შემოცვენილმა მეზობლებმა. როგორი ჯოჯონეთური, საუკუნის სიგრძე წამება გაიარა სიკვდილისწინა ზმანებაში საბრალო გიორგიმ... გიგილომ... გიგამ...



„აღვერიენით ერსა, უცხოსა შეულითა...
რომელთაგან ვიზუავენით საქმენი მათნა“.
იოვანე საბანისძე.

„ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს.
სერ!

ჩემი მორიგეობისას, მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს,
გრინვიჩის დროით 01 საათსა და 33 წუთზე მფრინავი სამეუ-
ლის თანავარსკვლავედში იფეთქა R3 ვარსკვლავმა (ტიპი
M1C-22 ახალი კლასიფიკაციით); 18,5 წამის შემდეგ მისმა სი-
კაშკაშემ მაქსიმუმს მიაღწია, მერე კი თანაბარშენელებული
სიჩქარით იწყო კლება და გრინვიჩის დროით 05 საათსა და
41 წუთზე თავდაპირველ ნორმას დაუბრუნდა.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ იფეთქება ლოკალური წასია-

Ab irato — მრისხანების ფამს (ლათ.)



თისა იყო: არც მყარი მასა და არც აირის ტალღა ქართული ლავის გრავიტაციულ ველს არ გასცილებია.

თომას აუსტერლიცი.

დალამბერის ობსერვატორია, კილიმანჯარი".

„კოსმოსურ ცივილიზაციათა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს.

ბატონ ჩემო.

მე ვისარგებლე თქვენი თავაზიანი ნებართვით, დაუყოვნებლივ გავემგზავრე კილიმანჯაროზე და გულდასმით გავეცანი მფრინავი სამეულის R₃ ვარსკვლავის რაიონში ამას წინათ მომხდარი აფეთქების მასალებს. არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ ობსერვატორიის თანამშრომლებს ფრიად ნაყოფიერად და კეთილსინდისიერად უმუშავნიათ.

ჩემი ლრმა რწმენით, საკუთრივ ვარსკვლავზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: კატასტროფა განიცადა ამ შნათობის ერთ-ერთმა (ან, შესაძლოა, ერთადერთმა) პლანეტაზ. სწორედ ამან განაპირობა მოვლენის ლოკალური ხასიათი. (თუ ინებებთ, უახლოეს ხანში გაახლებთ ფოტოპირებსაც და ჩემს დასაბუთებულ მოსაზრებებსაც).

ურმო ესლანდერი.

მიროანის ობსერვატორია,
კუნძ. ნააჩემაა".

„არამიწიერ ცივილიზაციებთან ურთიერთობის დედამიწის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ბატონო თავმჯდომარევ!

ხელი მომემართა და თქვენი თხოვნა, რომელიც ამ ორიოდე თვის წინ მივიღე, მფრინავი სამეულის თანავარსკვლავებში მიუსვლელად შევასრულე. R₃ ვარსკვლავიდან ერთნახევარი პარსკის დაშორებით კოსმოსში შევხვდი ხომალის, რომელიც დაინადან, ამ ვარსკვლავის ცოორმილთა სინტერმის



აწ უკვე არარსებული მესამე პლანეტიდან მოფრინავდა ურთისაშორის ტრონსავტმა, მოხუცმა სნეულმა შეცნიერმა, შეხვედრიდან შედენიშე საათის შემდეგ ჩემს ხელში დალია სული.

მისმა ნაამბობმა, საესებით დაადასტურა დოქტორ ურჰო ესლანდერის ჩემთვის ცნობილი მოსაზრებანი...

უტა ფაზია,

ასტრონავტი. იახტა „ფარნავზი“.

უტა ფაზიას გამოუქვეყნებელი ჩანაწერებიდან.

...დედას უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი. რაც თავი მახსოვს, ჩემს ქირურგობაზე ოცნებობდა. კეთილშობილი პროცესიააო, შვილო, ყოველთვის დასჭირდები აღამიანებს, ყოველთვის გამოადგებიო, — მეუბნებოდა. მე კი — ჰმ! — მე სისხლის დანახვისას ელეოთმელეთი მომდინდა, თავბრუ მეხვეოდა. გზაზე დაგდებული მოქლული ბეღურა რომ დამენახა, იმ დღეს საჭმელს პირს ვერ დავიკარებდი, აღამიანი ხომ — მით უმეტეს... თერთ სიტყვა „სიკვდილი“ მზარავდა.

...როცა მოხუცი მეცნიერი გონს მოვიდა და თვალებში ჩავხედე, მივხვდი — საამქვეყნო აღარ იყო. მივხვდი ამას და შევკრთი. ერთბაშად თითის წვერები გამიცივდა და გული შემიქანდა. უცნაური და თითქმის მყისიერი მეტამორფოზა ვიხილე და ამან უფრო დამცა ზარი: მოახლოებული სიკვდილის შხამიანმა სუნთქვამ სულ რაღაც ერთ საათში საცორად შეცვალა ეს კაცი! ამ ასკეტივით გამხდარი, მაგრამ წელგამართული და თავაწეული ენერგიული მოხუცისაგან, რომელიც მის პაწია ხომალდში შესულმა პირველად დავინახე, საცოდავი აჩრდილიღა დარჩა — ახლა ჩემს წინაშე იყო გატეხილი, სავარძელში უიღავოდ მისვენებული, ქუთუთოებდა მძიმებულ, სხივჩამქრალთვალებიანი ჩია ბერიკაცი. მაშინ — ვერა, მაგრამ მოვვიანებით კი მივხვდი, რაც მომხდარიყო: როგორც ჩანს, დიდი ნინის განმავლობაში ზღვრამდე დაჭიმული, გარკვეული მიზნისაეუნ მიმართული და ერთ გამოსხივებად კონცენტრირებული ნებისყოფა ზომაზე მეტად დაძაბულ ზამბარასა-



ვით გაწყდა და მოდუნებულ-დეპრესირებულ ნამსხვავების შესახებ დაიშალა, რომლებსაც ნელ-ნელა. თანამიმდევრობით, თანდა-თანობით ანადგურებდა კვდომის შეუქცევადი პროცესი.

მაგრამ ამ დარღვეული სულისა და სხეულის პატრონმა მაინც მოძებნა საკუთარ თავში ძალა, რომ ჩემთვის ეამბნა თა-ვისი მშობლიური პლანეტის ნაღვლიანი ისტორია.

მე მაგნიტოფირზე ჩავიწერე მოხუცის ნაამბობი და კმა-ყოფილი ვარ, ასე რომ მოვიქეცი: პლანეტა დაინას ტრაგი-კული თავგადასავალი შესაძლოა ჭყუის სასწავლებელ მაგა-ლითად გამოდგეს მეტისმეტად მიმნდობი და ალალი ცივი-ლიზაციებისათვის, რომელთაც ვერაგი მტრის ცალყბა გაღი-მება ერთგული მეგობრის კეთილი გულის გამონათება ჰვონი-ათ, ხოლო შხამგარეული შარბათი — სიცოცხლის ელექტირი...

ჰოდა, აი, ისიც, ეს თავგადასავალი...

•

პლანეტა დაინა პირველი იყო მფრინავი სამეულის მრა-ვალრიცხოვან პლანეტათა შორის, სადაც სიცოცხლემ იფეთქა, იფეთქა, ისე, როგორც მას სჩევევია ხოლმე — მთელი ძალით.

სიცოცხლე — მოდგმათა მრავალფეროვნებაა. მრავალფე-როვნება, ანუ სხვადასხვაობა. აუცილებლად წარმოშობს წინა-აღმდევობათა სტერავლეს. ცხადია, არც პლანეტა დაინას ცხო-ვრება წასულა ხელისგულივით სწორი გზით: იმ დღიდანვე, რაც გონიერი არსება გაჩნდა, მთა ბარს ეომებოდა, ბარი — მთას, აღმოსავლეთი დასავლეთს უგებდა მახეს, დასავლეთი აღმოსავლეთს თხრიდა თვალს, ერთი აღთას მიერშე-ბოდა, მეორეს ბალთას ეჭირა გეზი... მაგრამ ბოლოს, რო-გორც იქნა, ყველაფერმა ერთ პოლუსში მოიყარა თავი — მერიდიანებივით და დაინელები მიხვდნენ: ოუ დროულად არ მორიგდებოდნენ. ერთ მშენიერ დღეს (ვაი იმ დღის „მშე-ნერებას!“) ან ყველაფერს წყალი წალექავდა, ცეცხლი შთან-



თქავდა და მათი ლაშაზი პლანეტისაგან შტვრისა და უფორმო ლრუბელი დაოჩებოდა, მეტი არაფერი, რამეთუ კუ-
ცობრიობას უკვე გამანადგურებელი იარაღის ისეთი პოტენ-
ციალი ჰქონდა შექმნილი, რომ ამ პატია დაინასი კი არა, სხვა,
გაცილებით უფრო დიდი, გიგანტური პლანეტის აფეთქების-
თვისაც კი იქნებოდა საკმარისი.

©

მე მოხუცისკენ დავიხარე და ხმადაბლა ვკითხე:

— კი მაგრამ, რა ერქვა იმ საშინელ იარაღს, ასეთი გა-
მანადგურებელი ძალა რომ ჰქონია?

მოხუცმა ამომხედა. მცირე ხანს, ეტყობა, ყოყმანობდა.
მერე გადაჭრით მიპასუხა:

— ღმერთმა დაგიფაროთ მისგან, სატანას მიაფურთხეთ,
შვილო... ნეტავი წევენი მეცნიერებაც სულ სხვა ვზით წასუ-
ლიყოთ... თქვენთვისვე ჯობს, თუ ამ ეშმაკეულ ძალას ვერასო-
დეს მიაგნებთ... დამიჭერეთ. ასეა ეს... დაიწყევლოს მისი სა-
ხელი და აღმომჩენი...

თურმე რაღაც ფანტასტიკური — შიგაპოზიტრონული
ენერგია აღმოუჩენიათ. ასიოდე კუბური სანტიმეტრის მოცუ-
ლობის მასაში ისეთი კოლოსალური ძალის დამანგრეველი
ენერგია თავისუფლდებოდა, რომ მასთან შედარებით წევენი
დედამიწის მთელი ისტორიის მანძილზე წარმოებული წყალ-
ბადის თუ ნეიტრონის ბომბების ერთდროულ აფეთქებას ასა-
ნთის კოლოფის აალებას თუ მიამსგავსებდით.

სწორედ ამან, დამოკლეს მახვილივით მოღერებულმა თვი-
თვანადგურების საფრთხემ შეასრულა იმ ჯებირის როლი, რო-
მელმაც ერთხელვე სახითათვად დაძრულ მდინარებას გეზი
შეუცვალა და სულ სხვა, მშევიდობიან კალაპოტში გადააგდო.

დაინელები თითქოს ლრმა ძილისაგან გამოფხიზლდნენ:
ორიოდე თვეში პლანეტა მთლიანად განიარაღდა. ყველა საწის



ლითონი, რისი სახნისებად და დაუგებად გადადნოშვილი მეტად და დაუყოვნებლივ გადაადხეს. ჯარისკაცებმა ფარაგები გაიხადეს და შევიღობიან ტახსაცმელში გაძოებულენ. გათავისუფლდა კოლოსალური სახსრები, გაუმაძლარი საძხედრო მახქანა უფრო და უფრო მეტი რაოდენობით რომ ნოქავდა აქამდე. იმ სამახსოვრო წლის ბოლოს ორივე ნახევარს ფეროში, ულრემესი შახტების ფსკერზე, აიგო პოზიტრონიუმით მომუშავე ზემტლავრი ელექტროსადგურები. ამ საწვავის ენერგია ხომ უიაფესი და პრაქტიკულად აძოუწურავი იყო: დეცნიერთა გამოთვლით, იგი მიღიოხნახევარი წლის განმავლობაში ეყოფოდა მთელ პლანეტას.

საუკუნეში ორჯერ დაინაზე უბედური წელი დგებოდა — ამ წლებში მხოლოდ ერთი მნათობი ენთო მის მუქ ლაუვარდისფერ ცაზე (დანარჩენები მას ეფარებოდნენ). სამაგიეროდ, იყო, ორი უბედნიერესი წელიც — როცა დაინას შეფერმქრთალებული ცის კაბადონზე მფრინავი სამეულის ყველა ვარსკვლავი კაშკაშებდა. და იმ დღიდან, როდესაც პოზიტრონული ელექტროსადგურები ამუშავდა, დაინაზე ოქროსფრად გასხიმოსნებული უბედნიერესი საუკუნეები გადაება ერთიძეორეს.

მაგრამ (ცხადია, მოგეხსენებათ) უსასრულო სამყაროს შიგნით, ადრე თუ ვგიან, ყველაფერს აქვს დასასრული. და ეს ოქროს ხანაც დასრულდა. ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ დაინას ცივილიზაცია. სამწუხაროდ, ცალფა იყო...



— ცალფა? — ვისარგებლე მონუცის წამიერი პაუზით. — მაპატიეთ და, ცალფა ცივილიზაცია პირველად მესმის.

— ახლავე... ახლავე აგიხსნით, — მოხუცმა ღრმად ამოისუნთქა. იგი, ჩანს, დაიღალა, შესამჩნევად დასუსტდა კდა ერთეურთ ასეთ ამოსუნთქვას, შესაძლოა, სულიც ამოჰყოლოდა.

ვინანე კიდეც, რატომ შევაწყვეტინე-მეტე თხრობა.

დიახ, ეს იყო ეგრეთწოდებული ცალფა ანუ ჩაკეტილი ცივილიზაცია. დაინელთა ყოველგვარი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ პლანეტას უტრიალებდა გარშემო და მხოლოდ კაცობრიობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. დაინელებს აზრადაც არ მოსვლიათ კოსმოსურ ხომალდთა აგება და პლანეტათშორისი თუ ვარსკვლავთშორისი სიცრცეების კვლევა. თუმცა რა, კაცმა რომ თქვას, მათ ეს არც სჭირდებოდათ — ენერგია ხომ ულევი და უანგარიშმ ჰქონდათ, სარჩო — საქმარისზე მეტიც, მოსახლეობის ბალანსი — დეალურად მოწესრიგებული, ასტრონომიისა და ციური მექანიკის ცოდნის დონე კი სავსებით ჰყოფნიდათ საამისოდ, რომ უბედური და ბედნიერი წლების დაგვომა ან ამა თუ იმ ეპიდემის აფეთქების საშიშროება ეწინასწარმეტყველებინათ.

ამასობაში კი ვარსკვლავის მეოთხე პლანეტაზე, რომელიც დაინასთან შედარებით სამჯერ დიდი იყო და მის ღამეულ ცაზე ვეება მშვენიერ მთვარედ ამოკაშვაშდებოდა ხოლმე, მართლა კოსმოსური სისწრაფით ვითარდებოდა ახალგაზრდა ცივილიზაცია... ხოლო დაინამ ამის შესახებ ეჭვადაც არაფერი იცოდა, სიზმარ-ცხადშიაც კი არ იყო.

სწორედ იმ ისტორიულ პერიოდში, როგორც დაინაზე მაღალგანვითარებული მძლავრი სახელმწიფოები ერთმანეთს მოჩხუბარი მამლებივით ეძიძგილავებოდნენ და ყოველი საზღვრისპირა ასი გოჭი მიწისათვის ასიათასობით ადამიანის უღანაშაულო სისხლი იღვრებოდა, მეოთხე პლანეტის, ურინის აბორიგენები, ის იყო, ხიდან ჩამოცოცლნენ, წელში გამართული სიარული ისწავლეს და სამუდამოდ მიატოვეს ტოტებში ჩაწნული პრიმიტიული ბუდეები. მიწაზე სულ ახლანან ჩამოქვეთებული ურიბელები საოცრად ენერგიულები გამოდგნენ და ჭეშმარიტად მგლური სიხარბით ნოქავდნენ და ითვისებდნენ ყველაფერს. რასაც ბუნება უმოწყალებდათ ან მათი გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი მეთაურები უკარნახებ-

დნენ. ისინი ერთ საუკუნეში გადიოდნენ იმოდენა გზას, რომლის გალევასაც სხვები თჯერ მეტ დროს შოანდურებული ჰქონდა ვინ იცის, გარდა თანდაყოლილი, ძვალსა და რბილში გამჯდარი საოცრად გამახვილებული ცოდნისწადილისა, იქნებ ეს იმის ბრალიც იყო, რომ ურიბზე იშთავითვე „ზედისციპლინის“ კულტი ბატონობდა და იქ თვალის დახამხამების უმაღლ, სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა ყველაფერი, რასაც კი შეუფე გრძანებდა. დისციპლინისა და მორჩილების სიყვარულს ურიბელები აკვინიდანვე ისისხლორცებდხენ და მეუფის არაეგითარი ძალდატანება არ სჭირდებოდათ — მიხი სურვილი ბრბოს სურვილიც იყო — მით უმეტეს, თუ ბრბოს ჭია არაყსაც გადააკვრევინებდნენ. სწორედ ამიტომ მეუფის ყოვლისმძლეველი ნებისყოფით ერთ მუშტად შეკრული ურიბელების დაუშრეტელი ენერგია ათასტონიან უროსავით შიანგრევდა და ჭადოსნურ გორდასავით მიჰკაფავდა ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობებოდა.

ამასთან ერთად, ურიბი როდი გახლდათ ცალფა პლანეტა. როცა წანი გამოხდა და ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსები განახევრდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულ რიცხვს მიუახლოვდა. მეოთხე პლანეტის მესვეურები სერიოზულად ჩაფიქრდნენ. მიიხედ-მოიხედეს, ბევრი იძიეს, იდავეს და ბოლოს კოსმოსს მიაპყრეს მზერა.

მერე ის იყო, ერთ დილით დაინას უმთავრესი ქალაქის შორიახლო გრუსუნით დაეშვა ურიბელთა პირველი კოსმოსური ხომალდი. მთელი დაინა ძირისძირობამდე შესძრა და შეაზანზარა იმ გრუსუნმა...



— წყეულიმც იყოს ის დღე! ნეტავი სულაც არ გათენებულიყო! — ამოიხრიალა მოხუცმა. სუნთქვა გაუხშირდა, ლოყები წითლად და ლურჯად აუფორეჭდა და მყისვე ისევ გაუფერმკრთალდა. — სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩვენი დი-



და ლამე, ჩვენი შხამიანი უბედურების საუკუნე. — განმარტებული
ტა მან შემდეგ, როცა თავს მოერია და ოდნავ დამშვიდებული წყეულიმც იყოს! —

წყალი ძივაწოდე. ერთი ყლუპი მოსვა მხოლოდ.



ურიბელები საუკუნო და ურდვევი ძმობა-მეგობრობის
ფიცი-მტკიცით მოვიდნენ, სახეზე მზიახი ღიმილი ეფინათ და
ენაზე თაფლი ესვათ, თუმცა თვალები ყინულივით ცივი ჰქო-
ხდათ და იმ ყინულების სიღრძეში ავი სხივი უკიაფებდათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არავის შეუნიშნავს.

ან, იქნებ, შენიშნეს და ყურადღება არ მიუქცევიათ.

საოცარი თრობა სცოდნია ხანგრძლივ კეთილდღეობას...

ურიბელებმა საგანგაშო ამბავი მოიტანეს — ახლომდე-
ბარე კოსმოსში (მფრინავი სამეულის მრავალრიცხოვან პლა-
ნეტებზე) სოკოებივით მომრავლდნენო აგრესიული ცივილი-
ზაციები, ავ თვალს აკვესებენ, ხმალს ლესავენ და ბეგთარს
ეყლაოუნებენო, ერთმანეთის სისხლსა სვამენ, კაციჭამიობა
ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ. საკუთარი აღარაფერი ჰყოფ-
ნით. მალე ალბათ ჩვენთვისაც მოიცლიანო... და მეტი კი აღარ
უნდოდა დაინას — საკუთარი ნება-სურვილით განიარაღებუ-
ლსა და ხანგრძლივი მშვიდობის სიკეთით განებივრებულ-მო-
დუნებულს ნასათუთვი ხელები აუცაცახდა და მუხლებში
სისუსტე ჩაეღვარა. ამიტომ არც კი დაფიქრებულა, ისე მოა-
წერა ხელი თავის ისტორიაში პირველ კოსმოსურ შეთანხმე-
ბას და ამით პირველი ნაბიჯი გადადგა საბედისწერო უფსკ-
რულისაკენ მიმავალ გზაზე, თვითონვე გაილესა თავისი დასა-
ქლავი დანა.



— რა ეწერა ასეთი იმ შეთანხმებაში? — ვკითხე მო-
ხუცს და ვულში მაშინვე ვუსაყვედურე საკუთარ თავს უად-
გილო სულსწრაფობა.

მავრამ მხცოვანი მეცნიერი ჩქარობდა, ამიტომ უკუმანებულა, ისე განაგრძო ლაპარაკი.



②

ურიბელები კისრულობდნენ დაინას საიმედო დაცვის გარეშე საფრთხისაგან, სამაგიეროდ კი მოითხოვდნენ „სულ მცირეს“, „მხოლოდ“ სამი პირობის შესრულებას: 1. ურიბს უხდა გადასცემოდა მთელი ენერგეტიკული წიაღისეულის ძყარის, თხევადის, აირადის ზეუზღუდავი და უსასყიდლო („სულერთია, დაინას მაინც არ სჭირდება იგი!“ ექსპლუატაციის უფლება (განუსაზღვრელი დროით); 2. დაინას კოსმოდრომები (აეროდრომები გადაკეთდებოდა კოსმოდრომებად) მუდამ ლია უნდა ყოფილიყო ურიბელი ტურისტებისათვის; 3. ნებადართულად უნდა გამოცხადებულიყო ურიბელთა და დაიხელთა ქორწინებანი.

რასაკვირველია, პირველი პირობა ურიბელთა მიერ ნაკისრი ვალდებულების კომპენსაცია იყო, ხოლო შეორე და მესამე პირობაზე დაინელები, რომლებსაც ჰუმანურობა და გადამეტებული სტუმართმოყვარეობა სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჭდარი, ბუნებრივია, უარის თქმას არათუ არ იყადრებდნენ, არამედ გულშიაც კი არ გაივლებდნენ, ფიქრადაც კა არ მოუვიდოდათ.

დიდი ძალა აქვს ტრადიციას...

ქურდს რა უნდა და — ბნელი ღამეო, ნათქვამია. ურიბელებსაც მეტი რა უნდოდათ, ცხადია, არ დააყოვნეს და ის იყო, დაიწყო კიდეც დაინას ოქროს ხანის დასასრული:

ყოველ სატვირთო ხომალდს, რომელსაც სპეციალისტები და მუშახელი ჩამოჰყავდა და დაინაღან ენერგეტიკული ხელოეულის მორიგი პარტია უნდა წაელო, აუცილებლად თან ახლდა ხოლმე ეგზოტიკური მესამე პლანეტის ნახვას ეგზომ მოწყურებული ტურისტებით გაჭედილი თითო ვეებერთელა ლაინერი.

ყოველი ლაიბრერიის ათასი მგზავრიდან ასი მაინც დაშიშული იყო. ცხოვრების უფლებას ითხოვდა და აქვე რჩებოდა კიდევც: მეტისმეტად ლამაზი იყო ეს პაწია პლანეტა, სამოთხისებური გახლდათ მისი კლიმატი და წალკოტს ჰეგვიდა მისი ბუნება; თანაც თუ იქ, ზემოთ, სამშობლოში, საბრალო თანაძემამულენი სივიწროვისაგან სულს ძლივს ითქვამდნენ, აქ, ამ სტუმართმოყვარე მიწაზე, იმდენი თავისუფალი სამოსახლო იყო, იმდენი, რომ მეოთხებლანეტელებს შეეძლოთ ნება-ნება ამოკრინიათ — საღაც გინდა, სულო და გულო, როგორიც გინდა, რამდენიც გინდა... ვინ იყო დამშლელი ან შემზღვდველი!

ჩამოსახლებული ასი ურიბელის ნახევარი მაინც, თუ მეტი არა, ცხოვრების თანამგზავრად ნუშისთვალება დაინელ ასულს ან ტანაშოლტილ დაინელ ვაჟკაცს ირჩევდა და, — ჰო, საკვირველებავ, და ვაი, უბედურებავ! — ორივე შემთხვევაში მათი სიყვარულის ნაყოფი მაინცდამაინც ურიბულად იწყებდა ტიკტიკს („ადგილად სასწავლი ენააო ურიბული, — ამტკიცებდნენ მზრუნველი მშობლები, — ჩვენებური ცოტა მძიმეაო: გარდა ამისა, ურიბული ყველგან და ყოველთვის საჭიროა, გამოსადევია, უიმისოდ შორს ვერ წახვალო; თანაც უხერხულია, — უცხოელებმა ხომ ჩვენი ენა არ ციიანო...“).

ოდითგან ცნობილია: ენაა ყველაფრის თავი და ბოლო, სათავე და შესართავი, ანი და ჰოე.

თანდათან შომრავლდნენ ურიბულ ენაზე მოლაპარაკენი და ნელ-ნელა შეირყა მდიდარი, კეთილხმოვანი, მრავალსაუკუნოვანი დაინური ენის საძირკველი.

შეირყა და, აქედან მოკიდებული. ურიბული ცხოვრების წესი თანდათან ავიწროებდა და აძევებდა დაინურ ტრადიციებს.

გაიხსნა ურიბული სკოლები. კოლეჯები, აკადემიები.

დაინური სკოლების რიცხვმა კი იყლო...

გაჩნდა ურიბული კვარტლები და ურიბული ქალაქები.

დაინური ქალაქები კი შეთხელდა და დაჩიავდა...



მალე ურიბული მეორე სახელმწიფო ენად გამოიწვია ბერძნების ხოლო ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მან რეინის იელით გვერდზე მისწია დაინური და სულაც პირველ ადგილზე გადმოიხატვლა.

ყოველივე ეს მაღალი მთის ციცაბო ფერდობიდან დაქანებული ლვარცოფის სისწრაფით მოხდა, ისე სწრაფად, რომ დაინერებმა გრჩს მოსვლა ვერ მოასწრეს, ისინი იმ ჩვილი, უსუსური ბავშვივით შეჩეკვიფდნენ და დაიბნენ, რომელმაც არ იცის, როგორ გადადგას პირველი ნაბიჯი...



— განილეოდნენ და ირყეოდნენ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა! — აღმომხნდა უნებლიერ.

მოხუცმა ამომხედა.

— რა თქვით?

— არა, არაფერთა, ისე წამომცდა... — შევაგებე პასუხად. — განაგრძეთ, გეთაყვა, განაგრძეთ.

მოხუცმა ოდნავ შესამჩნევად დაქნია თავი.



მალე დაინაზე იმდენივე ურიბელი ჩამოსახლდა, რამდენიც დაინელი ცხოვრობდა. და ი. თითქოს ამ კრიტიკული შერტილის გავლას ელოდაო, პლანეტა შეიშმუშნა და მხრები შეიბერტყა.

ვაგლახ, რომ გვიანდა იყო: გუშინდელი სტუმრები უკვე სრულუფლებიან მასპინძლებად გრძნობდნენ თავს, წრეს გადავიდნენ, ყოველ ნაბიჯზე მშვიდობასა და უშიშროებას აყველრიდნენ დაინელებს (მოგვიანებით გამოირკვა). რომ თურმე საერთოდ არ არსებულა კოსმოსური აგრესიის საფრთხე — იგი ურიბელ პოლიტიკოსთა შონაჭორი გამოდგა), ყოველ ნაბიჯზე ჰქონას არიგებდნენ. უწვრთნელი ბავშვივით ტუქსავდ-



ნენ, არაფრად მიაჩნდათ მათი ოდინდელი მონაპოვარი უშესაბამის ხიერებაში, ტექნიკაში, სელოვნებაში, სასაცილოდ იგდებოდნება დაინელთა ისტორიულ წარსულს...

თვალახელილი დაინელები ჯერ აქა-იქ აბუტბუტლნენ უკამაყოფილოდ, მერე ხმასაც უწინეს. ქუჩებში, კლუბებში, დიდი დიდი ფორუმებზეც ალაპარაკდნენ, ბოლოს კანტიკუნტად შემორჩენილ საკუთარ ბეჭდვით ორგანოებშიც გააპარეს სათქმელი, მავრამ...

ურიბელებმა ხმლის ძალით აღკვეთეს „უწესრიგობა“ და ოფიციალურად განაცხადეს: პლანეტა ურიბს პლანეტა დაინა სასიცოცხლო სივრცის გაფართოებისათვის სჭირდება და ამიტომ დაინელები R3 ვარსკვლავის სისტემის მეორე ცოორისლზე — ხახევრად უდაბურ ეტისზე უნდა გადასახლდნენო.

ამ განცხადებას დაინას ყველა ბეჭდვითი ორგანოს იქრძალვა, კრებების, დემონსტრაციების, სიტყვის თავისუფლების გაუქმება და უმკაცრესი რებორესიების მოჰყვა.

მერე, დაინა ხომ ისედაც არ იყო აუღებელი ციხე, ახლა სულმოკლებმა და შინაითგამცემებმა მთლიან წელში გატეხეს და ლამის საბოლოოდ მოუთავეს ხელი:

დაინელთა ერთმა ნაწილმა (ზოგი ამათგანი ურიბელებმა დააშინეს, სხვები კიდევ — დაქრთაშეს) ნებაყოფლობით ვანაცხადა თანხმობა — არაფერი გვაქვს ეტისზე გადასახლების საწინააღმდეგო, პირიქით, სიამოვნებითაც წავალთო.

პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტი დაინელები ვერაფერს გახდნენ — მათ პროტესტს ურიბის მეუფემ ყურიც არ ათხვევა. რესაცირველია, მეულის დაინელ მოადგილესაც, მით უმეტეს. არ გაქცევია თვალი მრავალრიცხოვანი პროტესტის წასაკითხავად.

უმდიყოფილების ტალღა კი თანდათან მოედო მოელ დაინას. ხან აქ, ხან იქ, გავარდებოდა ურიბელი პოლიციელისათვის წართმეოლი დამბაჩა. ირთხელ იატაკქვეშა ორგანიზაციებმა არსენალების ხელში ჩაგდებაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ შეთქმულება ისევ ღალატმა დაამსხვრია.



ამასობაში დაინაზე ადგილობრივი მოსახლეობა უწყვეტისადაც
მიიღია — ურიბელები უკვე არას დაგიდევდნენ, დაუკითხავად.
უსინდისო და უსაფუძვლო პროვოკაციებით, უხეში ძალით
ასახლებდნენ დაინელებს მშობლიური პლანეტიდან. ასიმილა-
ციაც წარმატებით უწყობდა ხელს მოყვრად მოსულთა მზაქვ-
რული ჩანაფიქრის განხორციელებას.

აი, წწ. არედ მაშინ მოიფიქრა ერთმა დაინელმა მეცნიერ-
მა სასტიკი შურისძიების გაბეჭული გეგმა.

●

— მადლობა ღმერთს! — ისევ აღმომხდა უნებლიერ.

— ის მეცნიერი ჩემი მეგობარი იყო, — მცირე პაუზის
შემდეგ ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მოხუცმა. — დიდი
გულისა და ფაქიზი სულის პატრონი გახლდათ, ნაღდი პატრი-
ოტი, კეთილშობილი მეცნიერი და სამაგალითო ჰუმანისტი.
თვის სიცოცხლეში ჭიანჭველისათვის არ დაუდგაშს ფეხი.
ჰეშმარიტად უცხაური პარადოქსია, რომ სწორედ მას მოუ-
ვიდა თავში ის ჯოჯონეთური იდეა.

მოხუცმა ისევ იყუჩა მცირე ხნით. მერე კი განავრძო:

●

ამრიგად, ყველა გზა ჩაიკეტა:

ჩვ ვარსკვლავის სისტემაში მხოლოდ ურიბი და დაინა
იყო დასახლებული პლანეტები, სამყაროს სხვა სისტემებთან
კი დაინელებს. როგორც ვიცით, არავითარი ურთიერთობა არ
ჰქონიათ და, მაშინადამე, კოსმოსიდან ვერავინ გამოუწვდიდა
მეგობრულ ხელს.

დაინელებს კიდევაც რომ ემარჯვათ, ურიბელთა რომელი-
მე კოსმოსური ხომალდი ხელთ რომ ევლოთ და მეუფემდეც
მიეღწიათ, მაინც არაფერი გამოვიდოდა: აკი მეუფის მითითე-
ბითა და ლოცვა-კურთხევით ხდებოდა ყველაფერი!



მაშასადამე, გარეშეთაგან არავინ იყო გამკითხავი.

ვაი, რომ არც გაბოძოლების იმედი უნდა პქონოდა არა დურ დაინას — თავიდ მშვილდ-ისარიც კი არ გააჩნდა საკუ-
თარი, ხოლო ურიბელებს ჭრილებამდე იარაღში ჩამჯდარი
მრავალრიცხოვანი გარხიზონები ეყენათ ყველა დიდ ქალაქში.

ეტისიდან კი ამასობაში მოდიოდა და მოდიოდა ერთი-
მეორეზე უფრო პირქუში ცნობები: ამ პლანეტის აუტანლად
მეური ბუნება („ქარნი ხორშაქნი და წყალში მავნებელნი“,
— გამოიანდა გონებაში) და გადასახლებულთა ცხოვრების
ჯოგონეთური პირობები კომფორტს შეჩვეულ დაინელების
ულმობლად ავლებდა მუსრს, ყინვადაკრულ შეერებსავით ხო-
ცავდა კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას.

ბოლოს ვიღაც ჰეკუანაღრძობი ურიბელი ცრუმეცნიერი
იმის მტკიცებასაც კი შოჰყვა, დაინა ურიბელთა წინაპრების
პირველი საცხოვრისია და ამიტომ, საცა მართალია, ისტორი-
ულადაც ჩვენ გვეკუთვნისო. თავისი „თეორია“ ამ ვაი-მეცნი-
ერმა სამიოდე დაინური ტოპონიმის ურიბულ სიტყვებთან შე-
მთხვევით მსგავსებაზე ააგო. ეს მტკარი წყლის სისულელე
თვით ოკუპანტებსაც კი არა სჯეროდათ, მაგრამ „თეორიას“
მაშინვე მხარი დაუჭირეს და ლინგვისტური მეცნიერების მი-
ლწევად გამოაცხადეს. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გააცხო-
ველა გადასახლების პროცესი.

მაგრამ თურმე მთლად როდი ჩამქრალიყო დაინური საღი
აზრი!...

და ერთ სავსებით ჩვეულებრივ საღამოს ჩემს ბინაში შე-
იკრიბნენ ჩემი თანამემამულე მეცნიერები — ვინც რეპრესი-
ებს გადაურჩა — სულ ათიოდე კაცი.

დიდხანს არ გვისაუბრია. საკითხი მკაფიოდ დაისვა და
სწრაფად გადაიჭრა. რაკი დრო ცოტა იყო და მდგომარეობა
გამოუვალი ჩანდა, ჩემი მეცნიერის წინადადება ერთადერთი
აღმოჩნდა და ერთხმად მოვიწონეთ კიდეც.

ამ დროისათვის პლანეტაზე სულ ათასიოდე დაინელიღა
თუ დარჩა, ძირითადად ენერგოსისტემის მომსახურე პერსო-

ნალი — იმ ქალაქებში, სადაც ელექტროსადგურთა შახტების
ამოსავალი იყო. მაღლობა უფალს — ათასივე ჰუნდრედზე,
გულიანი პატრიოტი გამოდგა და უკლებლივ ყველამ დაუჭირა
მხარი ჩაფიქრებულ დივერსიის.

დივერსიის მომენტი შეგნებულად დავუკავშირეთ იმ
დღეს, როცა მე ჩემს ახალგაზრდა ასისტენტთან და სამ ური-
ბელთან ერთად ღია კოსმოსში ახალი კონსტრუქციის ხომალ-
დის მანევრირების უნარი უნდა შემემოწმებინა (ადრე ასეთი
სახის ექსპერიმენტში ჩვენს მონაწილეობას ვინ დაუშვებდა,
მაგრამ ახლა ცოტანი ვიყავით და ურიბელებს აღარ ეშინო-
დათ ჩვენი).

მერე დადგა გადამწყვეტი ჟამი: კოსმოსში მე და ჩემი
ასისტენტი შიშველი ხელებით ვეძგერეთ ურიბელთა სამეულს.
პრძოლა სასტიკი და ნამოკლე იყო და მან ოთხი სიცოცხლე
შეიწირა. გვამები კოსმოსში მივატოვე, მაშინვე ხომალდი შე-
მოვაბრუნე, გვზი, შეთანხმებისამებრ, გალაქტიკის ცენტრისა-
კენ მივმართე. „და, სხვებს მაგალითად გამოადგეთ ჩვენი
მწუხარე თავგადასავალი-მეთქი!“ — ჩავითქვი გულში და მთე-
ლი სიმძლავრით ჩავრთე რეაქტორები.

მე ვიცოდი, რომ სწორედ იმ დროს ჩემს მშობლიურ პლა-
ნეტაზე ერთი მუჭა დაინელები ასევე თითქმის შიშველი ხე-
ლებით სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ურიბელებს,
რომლებიც ენერგეტიკული შახტების ჩასასვლელს იცავდნენ.
ვიცოდი, რომ ბრძოლა იქაც ხანმოკლე, სისხლისმღვრელი და
დაუნდობელი იქნებოდა. რაღაც უნდა დამჯდარიყო, თუნდაც
ერთ დაინელს უნდა ჩაეღწია შახტის ძირამდე და ელექტრო-
სადგურის გულისათვის — პოზიტრონიუმის ბირთვისათვის —
დაემატებოდა პოზიტრონიუმის მუჭისოდენა ბურთულა. მაშინ
მთელი მასა კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებდა და...

და როცა ილუმინატორში სევდიანად მოკიაფე ცისფერმა
ვარსკვლავმა — მშობლიურმა პლანეტამ — უცებ იფეთქა და

შუთის შემდეგ ბრძლვიალა მნათობად გადაიქცა, მე შემომზეული
რუნდი და მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მარჯვენა ფრენა
პირველად ავტირდი...

•

მოხუცი მეცნიერი დადუმდა. გაფითრებული, თვალდახუ-
კული, თითქმის უსიცოცხლოდ მისწოლოდა სავარძლის საზუ-
რგეს. საფეხქლებზე ოდნავ, სულ უფრო და უფრო სუსტად
უცემდა ლურჯად ამობურცული ძარღვი. ხელები ულონოდ
ესვენა სავარძლის სამკლაურებზე.

გული ყელში მომებჲინა.

ხმა ვერ ამოვიდე.

· ან კი რა უნდა მეთქვა?

ნუგეში მეცა მომაკვდავისათვის?

როგორ? რატომ? ან რისთვის?

დმერთმანი, მე, ჩემდათავად, არ ვამტყუნებ დაინელებს!
ჩემთვის გასაგებია ის, რაც ჩაიდონეს ab irato.

ის სხვა ამბავია, უნდა მისულიყო თუ არა საქმე აქამდე!



ნაშუაღამევს ტელეფონის ზარმა დაიწერიალა. თვალდა-
ხუჭულმა მაგიდაზე ხელი მოვაფათურე და ყურმილი ავიღე.
— ალო! — ჩავძახე იმ უკამაყოფილო ადამიანის ხმით,
რომელიც ვერ იტანს ტელეფონით წარამარა და უცერემონიო
ლიაყბობას.

— გამარჯობა შენი, ძამიკო! — მომესმა ნაცნობი ხმა და
ჩემი ძილბურანი უკვალოდ გაქრა. — გირვირს ალბათ ჩემი
ხმის გაგონება.

— ზევახი ხარ, კაცო?! — აღმომხდა თითქმის ყვირილით.

— მაგრამ სამყაროში არაფერია საკვირველი, — განაგრძო
ხმამ. — ვერ წარმოიდგენ, როგორ მენატრება შენთან საუბა-
რი, ჭიქის ჭიქაზე მიჭანუნება...

— სადა ხარ, საიდან მელაპარაკები?! — ჩავძახე ისევ.

— მაგრამ ჩენს შორის ახლა იმოდენა მანძილი დევს,
რომ გითხრა, დაჯერებაც გაგიძნელდება. ჭობს ცოტა მოით-
მინო და მალე ყველაფერს ჩემი ბოლო მოთხრობა აგიხსნის.
მიდი ხვალ რკინიგზის სადგურის ავტომატურ შემნახველ სა-
კანში და მონახე 96-ე სათავსი. კოდის ნომერია ა-2525. ვიმე-



ორებ: ა-2525. მაგნიტოფონი, საიდანაც ახლა ჩემი ხმა განვითარება
შენთვის მიჩუქნია.

— მოიცა, ბიჭო, მომისმინე! — ხმაჩახლეჩილმა ჩავძახე
ყურმილს, მაგრამ ზევახის ხმა უდრტვინველად განაგრძობდა:

— ყველაფერს ჩემს ახალ დინელ ნაცნობს ვატან. გზაში
შევხვდით ერთმანეთს და შემთხვევით ვისარგებლე, თორემ
მანდედან ისე მოულოდნელად წავედი, დარეკვაც ვერ მოვას-
წარი. აბა, მშვიდობით იყავი, ავად ნუ მომიგონებ. გეხვევი.

და ყურმილში წყვეტილი სიგნალები მოისმა.

ერთხანს გაოგნებული ვიწექი გულაღმა და ამ უცნაურ
საუბარზე ვფიქრობდი. ცხადია, ზევახის ხმა მართლაც ფირზე
რყო ჩაწერილი, რადგან შეუჩერებლად ლაპარაკობდა და ჩემი
რეპლიკებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ნუთუ გამათამა-
შა ვინმემ? იქნებ თვითონ ზევახმა? მაგრამ როგორ, საიდან?
თანაც ამდენი წლის დუმილის შემდეგ?.. დინელ ნაცნობსო...
არც ქალაქი გამიგონია ამის მსგავსი და არც ქვეყანა... არა,
ნამდვილად გამათამაშა ვიღაცამ!

ჩემი ყოფილი თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იმედის მომცემი მეცნიე-
რი და მშვენიერი ფანტასტიკური მოთხრობების ავტორი —
ჩემი ძმაკაცი ზევახი ამ თხუთმეტიოდე წლის — არა, ზუსტად
17 წლის — წინათ, ათას ცხრაას სამოცდაოთხის ზაფხულში*,
მოულოდნელად გაქრა თვალსაწიერიდან. იმ ზაფხულს იგი
გურიაში წავიდა, ნათესავის ქორწილში, და აი, სწორედ იმ
ქორწილის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მოვკიანებით
შისმა ერთმა ბიძაშვილმა უცნაური რალაც შიამბო ზევახზე,
მაგრამ ეს ნაამბობი იმდენად დაუჭერებელი, იმდენად ფან-
ტასტიკური მეჩვენება, რომ ძიების საბუთებში არც შემიტანია.

* ტელეფონის დამეული ზარი ავტორის ბინაში გაისმა 1981 წლის ივ-
ნისის ბოლოს (ავტორის შენიშვნა).

და უცებ, მთელი ჩვილმეტი წლის შემდეგ — ნის ღამეული ზარი და მაგნიტურ ფირზე ჩაწერილი ხმა...

— სისულელეა რაღაც. მისტიკაა... — ვუთხარი საკუთარ თავს და კედლისკენ ვიბრუნე პირი.

მეორე დილით მაინც წავედი რკინიგზის სადგურში. სკეპტიკური ღიმილით მოვძებნე 96-ე სათავსი („შიურებს და ალბათ სიცილით იჭავება!“), ავტრიცე ა-2525 კოდი, კარი გამოვალე და... ბიჭოს! მართლა არ დამხვდა შიგ მინიატურული მაგნიტოფონი და ზევანის უკანასკნელი მოთხრობა?!

დილის ნისლივით გაქრა ჩემი სკეპტიციზმი...

მოთხრობა რამდენჯერმე წავიკითხე და გადავწყვიტეთქვენთვისაც გამეცნო იგი. ვიცი, რომ ჩემი მეგობრის სურვილიც ეს იყო.

მენდეთ: ზევანის ნაამბობში არათუ არაფერი ჩამირთავს, სიტყვა რა არის ერთი სიტყვაც კი არ შემიცვლია...

1.

დარწმუნებული ვარ, თქვენც დამეთანხმებით: ბავშვობის-დროინდელი შთაბეჭდილებები საოცრად გამოილეა, ულმობელ წელთასელას თითქმის არ ემორჩილება და დავიწყების უანგი არ ეკარება. მართალია, შეიძლება ოდნავ ფერი შეეცვალოს და გახუნდეს, ისე, როგორც ეს ძველისძველ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში პატიოსანი და თავისი საქმის მცოდნე ფოტოგრაფების მიერ გადაღებულ სურათებს ემართებათ, მაგრამ იმდენად კი არა, რომ ზედ ყოველი, თვით უმცირესი დეტალის გარჩევა არ შეიძლებოდეს.

ეს შთაბეჭდილებები, ელექტრონის ზომამდე შეკუმშული და დაპატარავებული, ჩვენი ტვინის სილრმეში, მათთვის განკუთვნილ მილიონობით პაწაწყინტელა უკრედებში თვლებენ. ზოგჯერ შემთხვევით ყურმოკრული სიტყვა ან ერთი შეხედვით სავსებით უმნიშვნელო საგანი მიძინებულ შთაბეჭდილებათა რგოლს თითს გამოჰკრავს თან მთელ ჭაჭაპს გა-



მოიყოლიებს ხოლმე, ხან კი სრულიად გაუცნობიერებლაში უმიზეზოდ (ლოტოს კოჭი რომ ამოპყვება ხელს, სწორედ ისე) ჩვენი მეხსიერების სიღრმიდან ზედაპირზე პაერის ბუშტულა-სავით ამოტივტივდება მინიატურული კაფსულა, უხმაუროდ (სიზმარში ნანახივით) გასკდება და მაშინვე თვალშინ საოც-რად ხელშესახები, მკაფიო და ფერადოვანი სურათი გადა-გვეშლება ხოლმე.

მეხსიერება უცნაური ფენომენია (მხედველობაში მაქვს ჩვეულებრივი ადამიანის, დედამიწელის მეხსიერება) და დახა-მდვილებით დოესაც ვერავინ იტყვის, თუ სად, ასაკობრივი იერარქიის რომელ საფეხურზე დევს მისი საწყისი. სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობას ადამიანი თვალის ახელისთანავე იწყებს, მაგრამ თავდაპირველად ყველაფერს თანდაყოლილი ინსტინქტები წარმართავენ (ახალშობილს არავინ ასწავლის ძუძუს წოვას, არც იმას, რომ ჩასველებისას, ან როცა შია, ტირილით უნდა მოუხმოს დედას...). ინსტინქტები დაახლოე-ბით ორი წლის ასაკამდე დომინირებენ. ამ ლროს კი (მეტ-ნაკ-ლები განსხვავებით) ბავშვი ლაპარაკის იწყებს, თანდათან უჩნ-დება კითხვები — „რა?“, „როგორ?“, „რომელი?“, „რა-ტომ?“, „რისთვის?“, „სად?“ — და დაეინიებით მოითხოვს ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემას. როგორც ჩანს, სამ-ყაროს აქტიური შეცნობა სწორედ ამით იწყება (თუ მემკვიდ-რეობით მიღებულ ინფორმაციას არ მივიღებთ მხედველობაში) და უნდა ვიფიქროთ, რომ სადღაც აქვე უნდა გადიოდეს მეხ-სიერების ქვედა საზღვარიც.

2.

ბოლო დრომდე მეგონა, რომ ყველაზე აღრინდელი შთან-ბეჭდილება, რომელიც მეხსიერებამ შემომინახა, 1940 წლით თარიღდებოდა. მაშინ მე უკვე ექვსი ზაფხული მქონდა ნანახი-და ჩემი დიდი პაპა, მამაჩემის ბაბუა ერეკლე სამი წლის გარ-დაცვლილი იყო (ას ცამეტი წლის მოხუცმა დაიკრიფა გულზე;



ხელები). შამაჩემმა გიორგიმ მისი დაქრძალვისთანავეუფლუას ში ჩამოგვიყვანა მე და დედა, თვითონ კი მალე თეთრუნებულებთან ამტყდარ ომში წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. და აი, სამი წლის განშორების შემდეგ დედაჩემმა ნატომ ისევ ჩამიყვანა მშობლიურ სოფელში, რომელსაც ამ ხნის მანძილზე უკვე მოესწრო ჩემთვის სავსებით უცხო ქვეყნად გადაჭცევა.

1940 წლის ივნისი იდგა.

3.

გზა ერთთავად აღმართში მიღიოდა, ხან მარჯვნივ მოიქნევდა კუდს, ხან მარცხნივ. სოფელი რომ გათავდა, გზამ ჯერ შეუმჩხევლად ურმის ღერძის სიგანემდე მოიქლო, მერე ნელნელა კიდევ უფრო დავიწროვდა და ბოლოს ბილიკად გადაიქცა. მის მარცხნივ მთის შიშველი ფერდობი იყო აღმართული, მარჯვნივ კი ტყით დაფარული ღრმა ხეობა გასდევდა. შორს, ქვემოდან, დროდადრო ნაკადულის ყრუ დუღუნი მოისმოდა.

121 შივი წინ მიღიოდა, ისეთი კაცის იერით მიაბიჯებდა, სადღაც, გადაუდებელ საქმეზე ძალიან რომ მიეჩქარება. მისი წითელი სანდლები ჭიამაიას ზურგივით კრთებოდნენ ბალახის ხასნასა სიმწვანეში. ბილიკი ორად რომ გაიტოტებოდა, საქმიანად მიმავალი ბიჭი მხოლოდ მაშინ მოაბრუნებდა თავს და ფთოოდე ნაბიჯით უკან მომავალ ქალს ცისფერ თვალებს მიაპყრობდა:

— საით წავიდე, დედა?

— პირდაპირ, შეილო! — უპასუხებდა დედა, შეილის წარბებშუა ჩამჯდარ პაწია შავ ხალს თვალს შეავლებდა და კალათს ხელს შეუნაცვლებდა. — სულ პირდაპირ იარე.

— მალე მივალთ ბაბუას ყანაში?

— კი, მალე მივალთ.

ბილიკმა აივაკა, მკერდამდე ავარდნილ სიმინდის ყანას



შიადგა და მაშინვე სამად გაიყო: ერთი ტოტი პირდაპირ მუხლის დიოდა და ყანას შუაზე კვეთდა, მეორემ მარცხნით გაიწინა და შაველის ბუჩქებსა და სიმინდებს შორის გაიკლავნა, მესამე ტოტი კი ოდნავ თავქვე დაეშვა და ტყიანი ხევის პირს გაედევნა.

— მოიცა ერთ წუთს, ზევახ! — ხმადაბლა დაუძახა დედამ შვილს, თუმცა ბიჭი ისედაც აპირებდა შეჩერებას და ჩვეულებრივი კითხვის გამეორებას. — დაძიცადე მანდ.

ქალი შეფიქრიანებული ჩანდა. ზევახმაც კი შენიშნა ეს: წარბებს შორის ნაოჭები გასჩენდა, თვალები ჩამუქებოდა, ძარჯვენა, თავისუფალი ხელის თითებით საფეხულს ისრესდა.

— რა იყო, დედა?

— სსუ, ჩუმად ილაპარაკე...

დედამ კალათი მოძალლოდ, თნმელის შემხმარ ტოტზე ჩამოკიდა და ყანა მოათვალიერა. მამამთილის თეთრი პერანგი არსად ჩანდა, მოხუცი, ალბათ, სერის გადაღმა მუშაობდა. არც რამე ჩემი ისმოდა, ნიავი აშარიშურებდა მხოლოდ სიშინდის ფოთლებს. ეს იყო და ეს.

— წამოდი, შვილო. აქეთ წამოდი.

ხევის პირას თავქვე მიძავალ ბილიკს დაჟყვნენ. დედას მაგრად ეჭირა შვილის ხელი და პატარა ზევახს საოცარი ძალით გადაედო მშობლის მღელვარება. ფარულად აიხედა ზევით. დედა ისევ სახემოქუტრული, ჭიუტად ტუჩებმოკუმული მიღიოდა, არც კი შეუნიშნავს ზევახის გამომცდელი მზერა.

ბილიკი უცებ დაშორდა ხევის პირს, მარცხნივ შეუხვია და მომაღლო გორაკის ფერდობს გაჟყვა. ბილიკს კარგა მაგრად მორეოდა ჭანგა, ჩანდა, იშვიათად თუ შემოუხვევდა აქეთ ვინძე. სიჩუმე იდგა. კენტი ჭრიჭინა ჭრიჭინებდა მხოლოდ მოშორებით.

გორაკს შემოუარეს თუ არა, დედა-შვილის თვალშინ უეცრად ხასხასა ბალახით დაფარული მოზრდილი მინდორი გადაიშალა. მის აქეთა განაპირას, ზუსტად გორაკის ძირში, ვეებერთელა, ცამდე აზიდული და ტოტებგადაბარჯლული მა-



რომელა მუხა იდგა, იქითა ნაპირი ხევს ესაზღვრებოდა და მიშენდა
დვრის შუაგულში საქმიად ღრმა, ასე ათ მეტრამდე დიამეტ-
რის მქონე ორმოს დაერთ პირი. მისი კედლები რუნი, ლითო-
ნისებური ელვარებით ბზინავდა და ისეთი გლუვი იყო, ადა-
მიანის ნახელავს ჰგავდა. ჭიუტ ჭანგას მხოლოდ აქა-იქ მოეკი-
და ფეხი და მიხატული უფრო გეგონებოდა, ვიდრე ბუნებრი-
ვი.

— რა არის ეს, დედა? — ჩურჩულით იქითხა ზევახმა და
დედის ფეხს მიეკრა.

— რაა და, ნავარსკვლავებია, შვილო.

— ა? — აიხედა ბიჭმა.

— დიდი ხნის წინათ აქ ვარსკვლავი ჩამოვარდნილა, დე-
დიკო, — დედის ხმას ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ელ-
ფერი დაკრავდა, მაგრამ ზევახმა მხოლოდ ეს განსხვავება შე-
ნიშნა, სხვა ერაფერი. — ხომ გახსოვს, ღამით ცაზე უამრავი
ვარსკვლავი რომ ციმციმებს? ის ვარსკვლავები, იცი, რა დი-
დებია? პატარები იმიტომ გვეჩვენება, რომ ძალიან დაშორე-
ბული არიან ჩვენგან... ჰოდა, დროიდადრო ერთერთი მათგანი
უცებ აფეთქდება, ბევრ, ძალიან ბევრ ნამსხვრევად დაიშლება,
შორს გაიფანტება და რომელიმე მათგანმა შეიძლება დედამი-
წას მოაღწიოს კიდეც. ჩამოვარდება და ა, ასეთ დიდ ორმოს
გააჩენს ხოლმე.

ზევახი ყურადღებით უსმენდა. წამით ზევით აიხედა და
თვალები მაშინვე ნელ-ნელა დაუშვა დაბლა, თითქოს ციდან
მომქროლავ ცეცხლოვან ნამსხვრევს მზერით მიწისკენ მოაცი-
ლებსო.

— ვინმემ ნახა, დედა?

— რა, შვილო?

— ვარსკვლავის ჩამოვარდნა...

ნატომ ეჭვიანად ჩახედა შვილს თვალებში:

— რატომ მეკითხები?

— ისე.

— „ისე“ რას ჰქვია?

— ისე! — ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.
დედა წამით შეყოყმანდა.

— კი, შენს დიდ პაპას უნახავს. შენ არ გემახსოვრება
ერეალე პაპა.

— მახსოვს, — სწრაფად თქვა ბიჭმა. — მახსოვს ერეკლე
პაპა!

ნატო შეკრთა. ზევახმა იგრძნო, როგორ შეთრთოლდა მის
მხარზე დასვენებული ხელისგული.

— კი მაგრამ, ის რომ გარდაიცვალა, შენ სამი წლისაც არ
იყავი და... რანაირად... — ნატომ შვილის მზერა დაიჭირა და
სათქმელი გადაითვიჩრა. — ჰო, კარგი, დავუშვათ, გახსოვს...
იმას გეუბნებოდი, სწორედ ერეკლე პაპას უნახავს ვარსკვლა-
ვის ჩავარდნა. ამ მუხას ამოფარებული უყურებდა თურმე.

ზევახმა პირი გააღო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გა-
ჩუმდა.

— წვიდეთ ახლა, სვიმონ ბაბუა მოშიებული იქნება და
ავუტანოთ სამხარი. წამო.

ხის ტოტიდან კალათი რომ ჩამოხსნა, დედამ უცებ ჩაი-
ჩოქა, შვილს წელზე ხელი მოხვია, მქერდში ჩაიქრა და ჩასჩუ-
რჩულა:

— გახსოვდეს, სვიმონ ბაბუას არ უთხრა, ნავარსკვლავე-
ბი რომ გაჩვენე... ისიც იცოდე, იმ ვარსკვლავის ჩამოვარდნა-
ზე რამე ზღაპარი რომ მოგიყვეს, არ დაუჭერო, ნამდვილი არ
გეგონოს... ხომ იცი, ბაბუამ რანაირი ზღაპრების მოყოლა
იცის... გაიგე შვილო? დაიმახსოვრებ, ხომ?

ზევახმა თავი დაუქნია.

— ასე, ჩემო ჭიკვიანო ბიჭო... აბა, ახლა კი წვიდეთ!
სვიმონ ბაბუას მართლა მგელივით მოშიებოდა.

4.

იმავე საღამოს (იქნებ მეორე ან მესამე საღამოც იყო, მა-
გრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს) ბაბუას ეზოში, უზარმაშარი.



ცაცხვის ძირში ვვა აშმობდით. დაბალ, ვიწრო, უფრო განკუთხული რომელის ფოთლებში გამომცხვარი მჭადი და ერთი კვირის ყველი, კეცხე შემწვარი დედალი და ქოთანში მოლესილი ლობიო, ღომისღომი, ომბალოიანი ნადული და ბრინჯულა, მწვანილი და ანკარი ადესიო სავსე სველი ხელადა. სუფრის თავში თეთრწვერა, თვალებბრიალა, ახოვანი სვიმონ ბაბუა იჯდა, რომელსაც იმ წელს სამოცდათვრამეტი წელი შეუსრულდა. სუფრისთან ბებია, მამაჩემის მომდევნო ძმა ლევანი, ბიცოლა ესმა, დედაჩემი და მე ვისხედით. მე იმის გამო დამდეს პატივი, რომ სტუმარი ვიყავი (ახლა ვხვდები, რომ თურქე მარტო ეს არ იყო მიზეზი), თორემ ჩემი ბიძაშვილები, შვიდი გოგო-ბიჭი, მიწიდან ამოხეთქილ ვეება ფესვებზე ისხდნენ და მუხლებზე დაღგმული ჯამებიდან შეექცეოდნენ ვახშამს.

მე სუფრის ბოლოს ვიჯექი, ბაბუას პირდაპირ.

5.

ზევანს სიტყვასიტყვით დაამახსოვრდა ყველაფერი, რაც იმ სალამოს ვახშამზე ითქვა.

სვიმონი — ჭამე, ბაბუკა, კარგად ჭამე. ჭავიანი და ჯანიანი ბიჭი უნდა გაიზარდო. ყველას უნდა აჭობო, ყველას — ახლობლებსაც და გარეშეებსაც. აბა! შენ სულ სხვა ხის ამნაყარი ხარ, სხვებს კი არ გავხარ!

ნატო (საყვედურით) — მამა!

ბებია — კაი ახლა, სვიმონ, ნუ დაიწყე შენებური!

სვიმონი — მაცალეთ მე თქვენ, თუ შეიძლებოდეს (მოხუცმა დიდი, დაძარღვული ხელი მძიმედ დააყრდნო სუფრას)! თქვენზე ორი პერანგით მეტი გამიცვეთია და კარგად ვიცი, როდის რას ვლაპარაკობ და რას ვაკეთებ! ჯერ არაფერი შემშლია მე! სოფელში ჭიუის საკითხავ კაცად მივაჩნივარ ხალხს!

ბებია — კი მარა, აღარ უნდა მოიშალო ამნაირი ლაპარა-



კი, აღარ უნდა ამოიგდო გულიდან იგი უცმური ფიქრი? ამწერალი რთი, ანგელოზი და ეშმაკი აღარავის სწამს ახლა და შეწინაშე თითის საგრძე ბავშვს გინდა არწმუნებინო?!

სვიმონი — ღმერთი და ანგელოზი არაფერ შუაშია აქ! მამაჩემმა რაც დამიბარა, იგი უნდა აღსრულდეს! შეიგნეთ ეს ყველა!

ლევანი (ხელს ჩაიქნევს) — დაანებეთ თავი, არ იცით, რომ არ გადათქვამს?

ნატო — მამა, ჩემო ბატონო, თქვენ ხომ იცით, როგორ დიდ პატივს გცემთ, როგორ გაფასებთ, მამა არ მახსოვეს და მისი მაგიერი მუდამ თქვენ იყავით ჩემთვის...

სვიმონი (ხელს ასწევს და თვალებს მოწყურავს) — ცრე-მლი არ დამანახო, ჩემო რძალო!

ნატო — მამა, ჩემო ბატონო, თქვენ ხომ იცით, რაც მქონდა, თქვენს უფროს ვაჟს, ამ ჩემი ერთადერთი შვი-ლის მამას გავაყოლე. პოდა, იმის ხათრით დაგვინდეთ, მამა ბატონო, იმის სურვილს ეცით პატივი, ხომ იცით, რა მიზნით გაარიდა ბავშვი აქაურობას...

სვიმონი (ჭიუტად) — ჩემთვის რომ დაეცერებინა, ახლაც აქ იქნებოდა, ჩვენთან, თავის ცოლ-შვილში და ეზო-გარე-მოში!

ლევანი — ხომ ვითხარით, ვერ გადაათქმევინებთ-მეთქი
სვიმონი (თვალები დაბრიალა და ხელისგული დაპერა სუფრას. ჭურჭელი აწერიალდა) — შენ არავინ გყითხავს მა-გას! ჩემი საქმის მე ვიცი, გასავებია თუ არა?! შვილი შვილია, მაგრამ ამ ბავშვს არც დიდ პაპას დავავიწყებ და არც იმის და-ნაბარევს დავუმალავ! ასე იქნება ეს, ყველამ იცოდეთ!..

ზევანი — მე ისედაც მახსოვეს ერეკლე პაპა!

ესმა — ნანაია, ჩეიძ ცოდა!

სვიმონი (მოულოდნელობამ წამით დამუნჯა. სუფრას ხე-ლისგულებით დაეყრდნო, წინ გადაიხარა და ანთებული მზერა მიაპყრო შვილიშვილს) — მართლა, ჩემო ხალიანო ბიჭო?! მა-

რთალს ამბობს?! კი მარა, მაშინ სამი წლისაც რომ არ იყა-
ვი?! ა?

ზევახი — კი, ბაბუა, მახსოვეს. აი, იმ ფესვზე იჯდა, მე კა-
ლთაში ვყავდი ჩასმული და მიყვებოდა...

ნატო (სახე ხელებში ჩამალა) — ვაიმე, შვილო!...

სვიმონი — აცალეთ ბიჭის! რაო, ბაბუ, რას გიყვებოდა
ერეკლე პაპა?

ბებია — კაძახო, ნუ გადარიე აგი ანგელოზი ბავშვი, გეს-
მის შენ თუ არა?! მოდი, ნენა, ჩემთან...

სვიმონი (ხელი აიქნია) — თქვი, ბაბუა, ნუ უყურებ შენ
მაგენს! თქვი, რას მოგიყვა დიდი პაპა!

ზევახი — ციდან ქალი რომ ჩამოტრინდა...

სვიმონი (აღგა, მთელი ტანით იმართა. წვერზე ზეიმუ-
რად ჩამოისვა ხელი და ფართოდ გაიღიმა) — ეჰე! ახლა რა-
ლას იტყვით?! ხომ მართალი ყოფილა ცხონებული მამაჩემი,
ა? ხომ არის ეს ბიჭი სულ სხვა ხის ამონაყარი, ა?! არც ახლა
დაიჭერებთ?! ა?! არც ახლა?!. გამივსეთ ერთი მაგი ჯაში!

6.

1941 წლის მაისი და თითქმის მთელი ივნისი სოფელში
გავატარე.

იმ ზაფხულიდან განსაკუთრებით ერთი საუბარი ჩამრჩა
მეხსიერებაში, რომელიც, როგორც ჩანს, დაახლოებით შუა ივ-
ნისში, გვიან სალამოს მოვისმინე.

ის იყო, დასაძინებლად დამაწვინეს. დედა ჩემს სასოფ-
ტო მალთან იჯდა, დაბალ სკამზე. მე ვთვლემდი, ვთვლემდი კი არა.
თითქმის მეძინა უკვე, ცოტაც და, სულ ჩაგიძირებოდი სიზმა-
რეთში...

7.

— ჩემო რძალო, დაიძინა ბიჭმა? — ჩურჩულით იყითხა
სვიმონ ბაბუას ხმამ. ზევახი ვირასოდეს წარმოიდგენდა, ამ



ომახიან თეთრწვერა გოლიათს ჩურჩულით ლაპარაკიც თუ შეეძლო. ძილმა მაშინვე შეიფრთხიალა და ჩიტივით გაუსულიყოვადა, მაგრამ არ შერხეულა, თვალი არ გაუხელია. იგრძნო, როგორ დაიხარა მისკენ დედა, როგორ დააყურა.

რა ჩუმი სიარული იცის დედამ! აივანზე ისე გავიდა და კარი ისეთი სიფრთხილით გაიხურა, ზევასს ჩქამიც არ გაუგონია. ახლა დედის ჩურჩული მოესმა გარედან:

— სძინავს, ბატონო, ახლახან ჩაეძინა.

ზევასის საწოლის თავთან ფანგარა ღია იყო. წვრილ-თვლებიანი, ყვავილებით მოქარგული გამჭვირვალე ფარდა სულ ოდნავ შეირჩა, როცა ბიჭმა წამოიწია, ბალიშს იდაყვით დაეყრდნო და აივანზე გაიჭვრიტა. დედა და ბაბუა გრძელი ხის სკამზე ისხდნენ და ჩაბნელებულ ეზოს გადაჰყურებდნენ. ლრუბლებით დაფარულ ცის ფონზე მხოლოდ გაწაფული თვალი თუ გაარჩევდა მესრის გასწვრივ ჩამწერივებული ეპიპაროსების სილუეტებს. ცაზე ერთი ვარსკვლავიც კი არ კია ფობდა.

რძალ-მიმამთილი კარგა ხანს დუმდა.

ჩუმი შრიალით გაწვიმდა. ნიავიც კი არ ქროდა და წვიმის წვეთები წყალს მოწყურებულ ცაცხვის ფოთლებზე საოცრად მელოდიურ წყნარ მუსიკას უკრავდნენ. ეს მუსიკა ისეთი ნაზი და პაროვანი იყო, რომ ზევასს თვლემაც კი მოერია, მაგრამ სწორედ ამ დროს ბაბუა შეირჩა და ბიჭს მისი მოგუდული ხმაც მოესმა:

— ჩემო რძალო, მე სათხოვარით ვარ შენთან მოსული.

დედა მკვეთრად შებრუნდა მისკენ.

— ჩემი სიკვდილი! მასე რატომ ამბობთ, მამა, სათხოვარი რას ჰქვია! თქვენ ბრძანეთ და მე მოგისმენთ.

— მაგ სიტყვისთვის დიდი მაღლობა, ჩემო რძალო, მარა მე რომ ვამბობ, ის სათხოვარი სხვანაირია და ამიტომ მოვედი ასე პირისპირ სალაპარაკოდ. შენი ჭკუის და განათლების იმედი მაქვს და ვიცი, რომ თუ მოინდომებ, გამიგებ კიდევაც.

— თუ მოვინდომებ?

— ჰო.

— მე რომ ვეჭვობ, თუ იმაზე აპირებთ ლაპარაკს...

— კი, ნატო ჩემო, იმაზე ვაპირებ.

— შაბა!

— მაცალე, ნატო. მაცალე და მომისმინე. ნუ შემაწყვეტინებ, კარგი? ა?

— კარგი, მამა, — ხანმოკლე დუმილის შემდეგ ამოოხვრას გული ამოატანა ნატომ. — გისმენთ, ბატონო.

— ჰოდა, ასეა, — კძაყოფილი ხმით თქვა მოხუცმა და ბიჭმა წარმოიდგინა, როგორ ჩამოისვა ბაბუამ ხელისგული წვერზე, მერე წვერის ბოლო მუჭჭი მოიქცა და თვალმოკუტული წამით გაირინდა, — არაფერი ახალის თქმას მე არ ვაპირებ, ჩემო ხატო. კი იცი, შენ, ამ ბიჭზე მზე ამომდის და მისი თმის ერთი ღერი სიცოცხლეს მირჩევნია, — ზევახს გული შეუთრთოლდა, — არაფერ ცუდს არ ვისურებ მე მისთვის... ჰოდა, უნდა ვაჩვენო ის, რაც საჩვენებელია, რაც მე ვიცი. რაც არ ვიცი და — თეითონ გაახსენდება. — უცებ მოხუცმა ჩაიკირქილა: — ისე, ჩემზე და შენზე მეტი იცის მაგ ბიქმა, დაშიჭერე მე შენ!

— რა უნდა იცოდეს ან რა უნდა გაახსენდეს, მამა, თითოს სიგრძე ლლაპს? მამათქვენის ნათქვაში ორიოდე სიტყვა?

— არა, ორი სიტყვა რაა! რაც მამაჩემმა ნახა, გაიგონა და გაიგო, ყველაფერი დაუდგება თვალშინ! და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ცხონებულმა იწინასწარშეტყველა! მიხდა მე ვქნა ეს, შვილმა მამის დანაბარები შევასრულო, თორემ აგერ ნახავ: ღრო მოვა და თავისით მოხდება მოსახდენი!

— ღმერთო დიდებულო! მართლა გჯერათ მაგი, მამა ბატონო?

— ნამდვილად იყო ყველაფერი ის, ნატო, ნამდვილად, — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე, შეუგალი ხმით დაბეჭდა მოხუცმა, — ეჭვი არ შეგეპაროს. მამაჩემს არასოდეს არაფერი მოლანდებია, ყოველთვის საღად აზროვნებდა, საღად ლაპარაკობ-

და... შენგან მიკვირს: მაშინ ბნელი დრო იყო და ის ამბავი ხელმა ეშმაკეულს მიაწერა, ახლა კი აღამიანმა ამდენიარეგმა ისწავლა, ამდენს მიაღწია და ვთომ რატომ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი მამაქემის თავს გადამხდარი ამბავი? ა?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ არ უნდა ამას, ნატო. ხომ კი იცი, ჩვენი ბიჭის სახსენებელიც არ იყო ჯერ, ის კი არა, შენც არ იქნებოდი დაბადებული, მამაქემმა რომ მითხრა — სვიმონ ჩემო, შენს გიორგის წარბებშუა ზალდაბეჭდილი ბიჭი თუ გაუჩნდა, იცოდე, ის ჩემი ორეული იქნებაო... ა? მასაც ხომ პატია შავი ხალი ჰქონდა წარბებს შორის? ა?

— ვიცი ეს, მამა, ვიცი, — ამოიოხრა დედამ. — კარგი, ბატონი, ვუთხრათ, მაგრამ გვეცლია ცოტა, ერთი ხუთი-ათი წელი მაინც. ჯერ რისი გამგებია მაგი?

მოხუცმა ჩაიქირქილა:

— მერე ვინ მაძლევს გარანტიას, ხუთ-ათ წელს კიდევ ომ ვიბოგინებ ამ ქვეყანაზე?.. ეჭ, არა, ჩემო ნატო. გამოსავალი სისხლი არ დადგებაო, ხომ გაგიგონია. მაინც უნდა მოხდეს ეს საქმე და რაღა გავაჭიანუროთ... მოკლედ მამაქემის ანდერძს ვერ გადავუვალ მე, ეს უნდა იცოდეთ შენც და ყოველიყაუმაც... ასეა ეს... მივიყვან ხვალვე ამ ჩვენს ბიჭს მუხსიან, მოვაკიდებინებ ხელს მის ტანზე და ის იქნება... არ დაიქცევა ამით ქვეყანა, ა, კი ნახავ შენ!

ზევახს ის მინდორი და მის განაპირას მდგარი დიდი მუხა დაუდგა თვალშინ. მეხსიერებაში წამით რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი სურათი ამოუტივტივდა, რომელიც მყისვე გაქრა.

დედამ ამოიოხრა და ისევ გული ამოატანა:

— ნეტავ მე მოვმკვდარიყავი და გიორგი დარჩენილიყო ცოცხალი, მამა. ასე აჯობებდა ალბათ ყველასთვის...

— ღმერთს ნუ სცოდავ, ნატო, ტუჩებზე მიირტყი ხელი! ნუ სცოდავ ღმერთს...

დაღუმდნენ. წვიმამ იმატა და წვეთების მუსიკაც უფრო

აქმიანდა. დედა და ბაბუა საუბრის გაგრძელებას  თითქოს
აღარ აპირებდნენ და ბიჭმა ნელა დაუშვა თავი ბალიშესაჭირო
დო თუ არა თავი ,მაშინვე დაეძინა.

8.

მეორე დილით (მე ისევ მეძინა) სვიმონ ბაბუას საფქვავი
წაელო წისქვილში, გზაში ვიღაცის ძაღლს ცხენი დაეფრთხო,
ოთხმოცს მიწეულ ბერიკაცს უნაგირზე თავი ვერ შეემაგრები-
ნა, გადმოვარდნილიყო, საფეტქელი წვეტიანი ქვისთვის და-
კრა და იქვე ამოსველოდა სული.

ბებიახემის ხაფუა კივილმა გამაღვიძა. ახლაც თვალშინ
მიღვას იმდილინდელი, მეზობლებით ავსებული ჩვენი ეზო,
ეზოს შუაგულში დასვენებული თეთრწვერა ბაბუა და ქალე-
ბის ამაზრზენი წიოკი.

ბაბუა დავკრძალეთ თუ არა, დედამ მეორე დღესვე ხელი
დამავლო და თბილისში ჩამარბენინა. რამდენიმე დღეში კი,
მოგეხსენებათ, ომი დაიწყო და განსვენებული მოხუცის ახი-
რების შესამოწმებლად, ცხადია, აღარავის სცხელოდა (თუმცა
არც სურვილი ჰქონდა ვინმეს).

ამ მომენტიდან საბოლოოდ გავჭალაქელდი. საშუალო
სკოლა თბილისში დავამთავრე. ერთი წელი ქარხანაში ვიმუშა-
ვე, შემდეგ ჯარში წავედი. არმიაში სამსახურისას თავს შეხი და-
მეცა — დედა გარდამეცვალა. შემძრა ამ მოულოდნელმა უბე-
დურებამ და კარგა ხნით ამომაგდო კალაპოტიდან. მერე, რო-
გორც იქნა, თავს მოვერიე, თანდათან შევეჩვიე მარტოობას.
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევედი, წარმატებით დავამთავ-
რე და მალე დისერტაციაც დავიცავი. ბოლო ხანს ერთ-ერთ
სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თემას ვხელმძღვანელობ-
დი, ბინა კარგი მქონდა, ხელფასი თავს გადამდიოდა, მოთხ-
რობების წერა დავიწყე და პონორარსაც გავუგე გემო, მეგობ-
რები ფარვანასავით მეხვივნენ... ერთი სიტყვით, ბედს არ ვუ-
ჩიოდი.



სოფლად ბიძაშვილებილა დამრჩნენ და, ცოდვა გამხდარი გადასცემით
ლი ჯობს, იქ ერთხელაც არ ჩავსულვარ. სამაგიეროდ, ახჯილობა
ბინის კარი მუდამ ლია იყო მათთვის და, მაღლობა ღმერთს,
ერთმანეთი არ მოგვნატრებია, ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესა-
მე მაკითხავდა, ხშირად დამეცემოდნენ ხოლმე თავს... მაგრამ,
თითქოს შეთქმულები არიანო (იქნებ იყვნენ კიდეც შეთქმუ-
ლები!), ბავშვობისდროინდელ ამბებს არავინ მაგონებდა.

ერთხელ კი (ისევ ზაფხული იდგა) ქორწილში მომიხდა
ჩასელა: ბიძაშვილის შვილი დედ-მამის დაუკითხავდა გაჰყვა
იმავსოდლელ ბიჭს და რალა ექნათ მშობლებს, ზაფხულშივე
დაუნიშნეს ქორწილი.

მოვიქორწილე და ორიოდე დღეც დავრჩი.

სწორედ იმ ხანად ოცდაათი წლისა შევსრულდი.

9.

აი, აქედან გადაჰყურებინენ „ნავარსკვლავების მინ-
დორს“ 1940 წლის ზაფხულში ნატო და ზევახი.

თითქოს გუშინ იყო:

„...— რა არის ეს, დედა?

— რაა და, ნავარსკვლავებია, შვილო...

— ვინმემ ნახა, დედა?

— რა, შვილო?

— ვარსკვლავის ჩამოვარდნა...“

ზევახი ფრთხილი ნაბიჭიო ჩანგამოდებულ ბი-
ლიკს. მუხასთან მისვლამდე ერთხელ კიდევ შეისვენა და მიმო-
იხედა. აქაურობა არ შეცვლილიყო. ღიღი, რუხი ორმოს კედ-
ლები ლითონივით ელვარებდა, ჭანგა ვერა და ვერ მომძლავ-
რებულიყო კედლის მრუდე სიბრტყეზე. მინდორი მუხლამდე
ბალახით იყო დაფარული, ბალახის სიმაღლე ორმოსთან მიახ-
ლოებისას თანდათან კლებულობდა და ორმოს პირთან მარტო
ჩიუტი ჭანგაღა გართხმოდა მიწას. სიჩუმე იდგა, მხოლოდ ფუ-
ტქრები დაბზუოდნენ მინდვრის ყვავილებს შორის, ნექტარს



აგროვებდნენ. სადღაც კენტი ჭრიჭინა ჭრიჭინებდა უძურულა
ზევანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ბილიკიშვილსამან
შეწყდა, თითქოს ნახახით გადაპყვეთესო. ზევანი ზედ მიადგა
ხეს, ორივე ხელი შემოაჭდო და მკერდით მიეყრდნო, ისე,
რომ ორშოსათვის თვალი არ მოუცილებია.

10.

...ერეკლეს ლავიშის ძვალი ჰქონდა გატეხილი. კიდევ
იოლად გადარჩა: ის წიფელი უფრო ტანმსხვილი რომ ყოფი-
ლიყო ან პირდაპირ თავში დასცემოდა, გათავებული იყო მისი
საქმე!.. ვერ ჩაუჭრა სწორად... მაინც, რა უცნაურად გაინა-
რთა ბარდში, თუნდაც ერთი ნაბიჯით რომ გაესწრო...

ახლა კიდევ იმ კორტოხზე ფეხი დაუცდა და კოტრიალით
ჩამოგორდა ფერდობზე. ესლა აქლდა! მუხის მიწისზემოთ ამო-
ხეთქილმა ფესვებმა შეაკავა, თორემ...

რა ღმერთი გაუწყოა, რა მარცნიან ფეხზე ადგა დღეს!

იდგა ახლა გისისხლიანებული, დაუეფილი, მტკივანი მხრით
მუხაზე მიყრდნობილი, მის წინ გადაშლილ მინდორს უაზროდ
დაპყურებდა და ძალას იქრებდა, რომ ისევ დასგვომოდა ში-
ნისკენ მიმავალ ბილიკს. თან თითქოს... თან თითქოს რაღაცას
უცდიდა, რაღაც უნდა მომხდარიყო...

შორიდან თოთვების ყრუ გრიალი ისმოდა. 1841 წლის
აჭანყება სამი წლის ჩამქრალი იყო, მაგრამ დროდადრო აქა-
იქ ისევ ღვივდებოდა ცეცხლი და ზოგჯერ ცას სწვდებოდა ხა-
ლხის რისხვის ალი. ახლაც ეგზეკუცია ჩაეყენებინათ ახლომახ-
ლო სოფლებში. გლეხები დრტვინავდნენ. გუშინ საღამოს ამბა-
ვი მოიტანეს, ყველამ იარაღი უნდა ავისხათ, მტერს პასუხი
უნდა გაცემო. ერეკლეს ხელი ფილთა-თოფისკენ გაექცა.
ვაი, რომ მაინც დამარცხება ჰქონდა გადაწყვეტილი! მაგ-
რამ სახალხო საქმეს არ ეღალატება! თუმცა... თუმცა ახლა

რის შემძლეა, რა უნდა პქნას ფრთამოტეხილი ფრინველი გამოიყენოთ
მხარეს მოგდებულმა...

ცაზე შორეული ყრუ ქუხილი გაისმა. გაუკვირდა, ამ შეუ
ზაფხულში რა დროს ქუხილიაო! ისიც მოწმენდილ ცაზე! ზე-
ვით აიხედა. ბევრი ძებნა არ დაჭირვებია, არწივის თვალი პქო-
ნდა და ლურჯი ცის ფონზე მაშინვე შენიშნა კარგა მოზრდილი
ბრდღვიალა ცეცხლის გორგალი. მოლანდება ეგონა, თვალი
მაგრად დახუჭა და ისევ გაახილა. მაგრამ ის გორგალი თანდა-
თან ახლოვდებოდა და ეტყობოდა, სწორედ მუხისკენ ეჭირა
გეზი. შიშით არ შეშინებია ერეკლეს. უცებ რაღაც გაახსენდა
თითქოს, დიდი ხნის წინათ ნანაზი და ისევ დავიწყებული. ბუნ-
დოვანი, რძისფერ ნისლში გახვეული სურათი აურიალდა თვალ-
წინ... ნახტომის წინ ავაზა რომ შეიკუმშება, ისე დაიძაგრა, გა-
ტეხილი ლავიწიც დავიწყდა და დჟეჟილი ძვალ-ჩბილიც,
მუხის ტანს უფრო მაგრად მიეკრა და თვალად და ყურად გა-
დაექცა.

პვერცხის ფორმის უზარმაზარი ვერცხლისფერი სხეული
სწრაფად ეშვებოდა, თითქმის ვარდებოდა ციდან. მიწას რომ
დაუახლოვდა, სიჩქარე შეანელა. ქვედა მხარეს, საკმაოდ გა-
ნიერი ხვრელიდან, თვალისმომჭრელი ცეცხლის ჩანჩქერი მო-
ჩქეფდა. ეს ჩანჩქერი ბალას შეეხო თუ არა, მიწის ზედაპირი
უცებ გაშავდა, გაიწ-გამოიწია და როცა შავად პირდაღებულ
კონცესურ ორმოში ის პვერცხისებური სხეული სანახევროდ
ჩაიმალა, ყრუ გუგუნი უცებ შეწყდა. შეწყდა და მაშინვე სამა-
რისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

11.

ზევანი შეირხა და გაუკვირდა, ლავიწი რომ არ ეტკინა.
ხელიც კი მოისვა ზედ დასარწმუნებლად. არა, ყველაფერი
რიგზე იყო, არაფერი პქონდა გატეხილი, არც გაჭრილი ან და-
ბეჟილი. მაშ... მაშ, რა ხდებოდა? აკი წამის წინ ყველაფერი
სტკიოდა? აკი სულ ახლახან სოფლიდან თოფის სროლა ისმო-



და, ხოლო ციდან სწრაფად ეშვებოდა კოსმოსური ჩანაბეჭდები... რა? რომელი კოსმოსური ხომალდი?! თუმცა, ჰო, ი ისიც! „აპა, გასაგებია, მე ახლა ას ოცი წლის წინანდელ ამბავს ვხედავ, და ვხედავ ერეკლე პაპას თვალით... — გაუელვა ზევახს. — მაგრამ რატომ აღარ მტკიცა ლავიწის ძვალი? ან... ან როგორ ხდება ყველაფერი ეს?!”

12.

ხომალდს მართლაც კვერცხის, უფრო ზუსტად — წვეთის ფორმა ჰქონდა. არც ისე უსაშველოდ დიდი იყო, სიმაღლე ოციოდე მეტრი ექნებოდა, უდიდესი დიამეტრი — სიმაღლის ნახევარი. ვერცხლისფრად მოლაპლაპე სხეულის ზედა-პირს ერთი ნაეაჭრიც არ აჩნდა, თითქოს ასტეროიდებით სავსე კოსმოსურ სივრცეში კი არ უქროლია, არამედ თავისი დღე და მოსწრება მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, მინის ხუფის ქვეშ გაუტარებიან.

13.

მეცნიერებასთან და ფანტასტიკასთან ახლოს დგომამ (მე-რე მივხედი, რომ მარტო ეს არ იყო მიზეზი), როგორც ჩანს, ფსიქიურად შემამზადა და სრულიადაც არ გამკირვებია, როცა ხომალდის ედლიდან ქალი გამოვიდა. სწორედ კედლიდან და არა რომელიდაც კარიდან ან ლიუკიდან! დიახ, გამოვიდა ეს ქალი, ხელი დამიქნია და ლიმილით გამოეშურა ჩემკენ (რა-ლაც ძალიან ნაცნობი იყო ამ ლიმილში). მე მუხას მოვცილდი და მოხუსხულივით გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი მის შესახვე-დრად. ლამაზი ქალი იყო. შეეთუნახავი-მეთქი, რომ ვთქვა, მა-რთალი არ ვიქნები, ლამაზი კი იყო. შავი (მაგრამ არცთუ ძა-ლიან შავი) თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ძალზე უხდებოდა სწო-რი, უნაკერო, ლია ნაცრისფერი კაბა. თავშიშველას ფეხზე ნა-ცრისფერივე მსუბუქი სანდლები ემოსა. ერთი სიტყვით, სისა-

დავის განსახიერება იყო. მაგრამ, სამაგიეროდ, ერთი გინურული როგორ მოდიოდა! ღმერთო, როგორ მოდიოდა!..

არა, ეს არ იყო ას ოცი წლის წინათ ერეკლე პაპას თვალით დანახული სურათი. ეს ცხადია, იყო ჰეშმარიტება, სინამდვილე — როგორც, აი, ის ჩახახა მზე, როგორც აი, ეს ბებერი მუხა... .

14.

„გამარჯობა შენი, ხალიანო!“

„გამარჯობა!“.

„შენ ერეკლეს შვილიშვილის შვილი ხარ. ხომ არ ვცდები?“

„არ სცდები!“.

„ზევანი გქვია!“.

„დიახ!“.

„მიცანი?“

„რა თქმა უნდა!“.

„როგორ?“

„პაპამ მიამბო შენზე!“.

„იცი, რისთვისაც მოვედი?“

„დაახლოებით... დიახ, ვიცი!“

„მერე?“

„მოვდივარ!“

15.

არადა, არასოდეს მიფიქრია დედამიწის მიტოვება, არასოდეს! და უცებ — კატეგორიული და საბოლოო „მოვდივარ!“

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილების ფესვები შორეულ წარსულსა და მემკვიდრეობაში იდო (ახლა ვიცი, რომ მართლა ასე იყო და არ შევმცდარვარ; მაშინ — ქვეშეცნეულად ვხვდებოდი ამას).

მეხსიერებაში დროდაღრი იღება და ფერფლზე მუშაობა
წარსული.

16.

„...რა გქვია, ხალიანო? ერეკლე, ხომ?“

ერეკლეს გამოეპარა ის წამი, როცა ქალი ხომალდიდან გამოვიდა, ეტყობა, მცირე ხნით გონება დაუბინდა მწვავე ტკი-ვილმა. ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა და საღლაც გულის თუ ტვინის სიღრმეში ჩურჩულით გასცა პასუხი:

„ჰო, ერეკლე მქვია.“

„რა დაგემართა?“

„მგონი ლავიშის ძვალი გავიტეხე. საშინლად მტკივა“.

„აბა მიჩვენე.“

ქალის ხელი შეეხო თუ არა, ერეკლეს ისევ გადაეფარა თვალებზე ბინდი, მაგრამ ეს წამიერი გონის დაკარგვა ტკივილმა ეი არა, ტკივილის მოლოდინმა გამოიწვია. თვალში სინათლე რომ დაუბრუნდა, უცნობი ქალის მოლიმარი სახე დაინახა ახლოს, სულ ახლოს. უცებ ისეთი შვება მოეფინა, ხელახლა დავიბადეო, ეგონა. და სწორედ იმ წამს იგრძნო (თუ გაახსენდა?), რომ ის ქალი ირამიშიერი არსება იყო. აბა, თუ არა არამიშიერს, სხვას კიდევ ვის შეეძლო უხმო, უენო ლაპარაკი?.. ერეკლე შეირხა და ანლა თავისდა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ლავიში აღარ სტკიოდა. ხელი მოისვა. ჰო, უკვალოდ გამქრალიყო ტკივილი...

„მოჩვენება ხარ, თუ..“

„ნუ გეშინია, ჩვეულებრივი, რეალური არსება ვარ. ოლონდ ეგ არის ცოტა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე შენ.“

„ვინა ხარ?“

„ნუთუ არ გახსოვარ?“

„თითქოს მაგონდები... მაგრამ ამ ლავიშის ტკივილმა...“

„სიმართლე რომ გითხრა, დამიჯერებ?“

„სიმართლეს თუ მეტყვი, რატომაც არ დაგიჯერებ?“

„მაშინ ჩამოვსხდეთ აქ, ამ მუხის ძირას“. „ჩამოვსხდეთ...“

17.

ქალს ცია ერქვა. პლანეტა დინის ენაზე ეს სახელი ცოტა სხვანაირად უდერდა, მაგრამ ქართულ ფონეტიკას არ შეეძლო ბისი ზუსტი გადმოცემა. „ცია“ კი მთლად მშობლიურად, ქართულად ხმიანებდა.

პლანეტა დინი კაპტეინის ვარსკვლავის სისტემაშია, დედამიწიდან დაახლოებით ოთხი პარსეკის ანუ ცაშეტი სინათლის წლის დაშორებით (ეს ახლა ვიცი, თორემ ციასთან შეხვედრისას ასეთი ძონერეტული ასტრონომიული ცოდნისაგან საქმაოდ შორს ვიდევი). დინის ცივილიზაცია ფრიად შალალ საფეხურზე დგას, თუმცა ეს გასაკვირიც არ არის, იგი ხომ ასკით დედამიწელებზე სამჯერ უფროსია. დინელებს, სხვა სიკეთესთან ერთად, კოსმოსში შოგზაურობის ახალი საშუალება აღმოუჩენიათ და კარგა ხანია ხელი. მაუწვდებათ შორეულ (ჩვენი მასშტაბით) ვარსკვლავთის სტემებამდეც კი. აი, მაგალითად, დედამიწელთა ხომალდი, რომელიც სინათლის სიჩქარის მესამედით, ესე იგი წამში ასი ათასი კილომეტრის სიჩქარით მიფრისავს, პლანეტა დინს მხოლოდ ორმალცი წლის შემდეგ მიაღწევს; დინელები კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ კოლოსალურ მანძილს ერთ წელიწადში ფარავენ ხოლმე. მე ჯერ არ ვიცი, როგორ ახერხებენ ამას, მაგრამ ოდესმე იქნებ ეს საიდუმლო ცავითავისო. ვნახოთ.

18.

ისინი მუხის ჩრდილში, მიწიდან ამოხეთქილ დაკორძილ ფესვებზე, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. შუადღის მყუდროება ეფინა გარემოს. შაშვი თუ დაიჭახვახებდა ხევში იშვიათად, ან აქვე, მინდორში, ფუტკარი გაიზუზუნებდა ყვავილებს

შორის, ხანაც ზემოთ, სიმინდის ყანაში, თოხისპირი გვიჩვენებული ასაღიობოა

ბდა ქვაზე. ეს იყო და ეს.

ცია: „არ გივირს, უხმოდ რომ ვლაპარაკობთ?“

ზევახი: „არა. . თუმცა ის კი არ ვიცი, როგორ ვახერხებ ამას“. .

ცია: „იმიტომ, რომ დედამიწელი კი არა, დინელი ნარ“. .

ზევახი: „მაგრამ მე ხომ აქ დავიბადე — დედამიწაზე, საკართველოში, გურიაში...“

ცია: „შენ — კი...“

ზევახი: „არა მარტო მე. მამაც აქ დაიბადა, სვიმონ ბაბუაც, ერეკლე პაპაც!...“

ცია: „მართალია... ერეკლე პაპა, ზევახიც, აქ დაიბადა, იმ ზევახის მამაც და ბაბუაც, ოღონდ ამ უკანასკნელის პაპა კი, ესე იგი შენი პაპის პაპის პაპა — აქ არ დაბადებულა“. .

ზევახი: „იმასაც ხომ ერეკლე ერქვა? ერეკლე კი ჩვენებური, ქართული სახელია“. .

ცია: „ჰო, მაგრამ ის პირველი ერეკლე აქ არ დაბადებულა. სწორედ იგი იყო დინელი“. .

ზევახი: „თითქოს რაღაც მაგონდება...“

ცია (მარჯვენა ხელისგული მიუახლოვა ზევახის შუბლს): „ჰო, ახლავე გაიხსენებ...“

19.

„დინი-121“ პირველი კლასის ხომალდი იყო, მაგრამ მოულოდნელობისაგან თურმე არც ამ კლასის ხომალდები ყოფილა დაზღვეული. ერთხელ, ღამით, დედამიწის ატმოსფეროს შუა ფენების კვლევისას, „დინი-121-ს“ კოლოსალური ძალის ელვამ დაპრა, მთელი ავტომატიკა მოშალა და მორიგე შტურმანმა რის ვაი-ვაგლახით დასვა ხომალდი აი, ამ მინდორზე, ზუსტდ იმ ადგილას, სადაც ახლა „ცია-1“ აღმართულა.

ხომალდის დაშვების მომენტში დედამიწაზე ქრისტეს და-

ბადებიდან თექვსმეტი საუკუნე იყო გასული. 1604 წლის მიხედვის მიხედვის მეთაურის თექვსმეტი წლის ვაჟი პერი ახლომახლო შიდაძოებს ათვალიერებდა. „დინი-121“ გარემოსაგან ღამბდა ველით იყო იზოლირებული და უცხო თვალისთვის მარტო ღამით არა, დღისითაც შეუმჩნეველი რჩებოდა. ველის საზღვრის გადალიახვა მხოლოდ ეკიპაჟის წევრებს შეეძლოთ, ვერავითარი სხვა სულიერი ამას ვერ მოახერხებდა. საერთოდ, იძულებითი ღამვების შემთხვევაში კოდექსი გრაციალ კრძალავდა ველიდან გასვლას, მაგრამ ამ პლანეტაზე საშიში არაფერი ჩანდა, დედამიწელთა ტექნოლოგია ჯერჯერობით მეტად დაბალ დონეზე იდგა და ადამიანებს ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ვერც დინელთა ხომალდს და ვერც მისი ეკიპაჟის წევრებს ვერაფერს დააკლებდნენ. ამიტომაც დართო ნება მამამ შვილს, ცოტათი შუხლი გაესეირნა უცხო პლანეტაზე.

არავინ იცოდა, რას საჭმიანობდა მეთაურის ვაჟი ღამბდა ველის მიღმა, მაგრამ არც მამას და არც ეკიპაჟის წევრებს არაფრისა ეფიქრებოდათ — პერი მკვირცხლი და ღონიერი, კვევიანი და საზრიანი ჭაბუკი იყო და ადვილად არავის დაეჩივერინებოდა.

მეორე დღის საოამოს პერიმ გამხდარი, დიდთვალება ნამტირალევი გოგონა მოიყვანა ხომალდთან. გოგონა რვა წლისა თუ იქნებოდა, ვიღაც არამზადას მშობლებისთვის მოეტაცნა და ისმალებისთვის მიეყიდნა. სწორედ ამ ოსმალებს წაართვა თურქე პერიმ საბრალო გოგონა, როცა უნაგირზე საბელით გაშობმულს ტყე-ტყე მიარბენინებდა ყვითელჩალმოსანი იანიჩარი.

მესამე დღეს, დილით, ივტომატიკის შეკეთება დასრულდა. ხომალდს უკვე შეეძლო აფრენა და კვლევის გაგრძელება. „დინი-121“-ის მეთაური, რომელსაც დროის ფლანგვა არ უყდარდა, მაშინვე აპირებდა დედამიწის დატოვებას, მაგრამ პერი



ჯერ არ დაბრუნებულიყო, ჯერაც ისევ ამ ზურმუშქრის გადასახლის ტყე-ღრეში დახეტიალობდა. დაღლილ-დაქანულმა ეკიბაჟშა შემთხვევით ისარგებლა და დასასვენებლად მიწვა. ტყვედყოფილი გოგონა, რომელმაც არამცთუ თავისიანების ადგილსამყოფელი, არამედ საკუთარი სოფლის სახელიც კი არ იცოდა, ყველას შიავიწყდა და მას ავერ უკვე მეოქვემდებრე სა-ათი უდრიტვინველად და უშფოთველად ეძინა მეთაურის დი-ვანზე.

ნაშუადღევს „დინი 121“-მა კოსმოსიდან სტარტის შრძანება მიიღო — პლანეტა დინი ყველა თავისი კოსმოსური ხომა-ლდის დაუყოვნებლივ დაბრუნებას მოითხოვდა. ეს არგავონი-ლი ამბავი იყო, ჩანდა, პლანეტას მოულოდნელი უბედურება დასტყდომოდა თავს, ვინ იცის, იქნებ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაც ედგა წინ. „დინი-121“-ის მეთაურმა ოცდაათწუ-თიანი სასტარტო მზადება გამოაცხადა. ყველა, ვინც სტარტის-წინა გაწამაწისაგან თავისუფალი იყო, ახლომდებარე ტყეს, ყველსა და მთას შეესია, შავრამ ჟერის კვალსაც კი ვერ მიაგ-ნეს, თითქოს მიწამ უყოთ პირი...

20.

აქოჩრილი მთაგრეხილის მიღმა სწრაფად ჩადიოდა ჩახჩა-ხა ნარინჯისფერი შხათობი. ხშიროფოთლოვანი გოლიათი ხე-ების მიღმა უზარმაზარი ხანძარი ენთო. მერე ის ხანძარი ნელ-ნელა ჩაინავლა და როცა მონაცრისფერ-ვარდისფერ დიდ მკრთალ ლაქად გადაიქცა, მეთაური შებრუნდა, ნაბიჯი გადად-გა და ხომალდში შევიდა.

ეკიპაჟს მიჩნეული ადგილი ეჭირა. პულტებზე ენთო მზად-ყოფნის მანიშნებელი ცისფერი ნათურები, მრავალფეროვან სკალებზე ცახცახებდნენ ასევე სხვადასხვა ფერისა და კონფი-გურაციის ისრები, ხმადაბლა ზუზუნებდა სასტარტო მექანიზ-მი, ავტომატი მონოტონურად ითვლიდა: „ასი... ოთხმოცდა-ათი... ორმოცი...“ მეთაური შელგამართული, თავაწეული იჭდა

და ხომალდის კედლის მიღმა გადაშლლი ზურმუხტისფერი გამოიყენებოდა — ჯერ კიდევ იყო მცირეოდენი იმედი, კიდევ შეიძლებოდა გამოჩენილიყო ჰერი... „ოცდათი, ოცი, თხუთმეტი...“ შტურმანმა თვალები დახარა, რათა არ დაენახა მეთაურის სახე იმ წამს, როცა მან სასტარტო ლილაკს თითი დააჭირა...

21.

ზევახი: „მაშასადამე...“

ცია: „ყველა ჰერიზე ფიქრით იყო შეპყრობილი და უპატ-რონო გოგონა მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა ხომალდი მარსის ორბიტას გასცდა“.

ზევახი: „მაშასადამე, ის გოგონა...“

ცია: „ის გოგონა პლანეტა დინზე მიიყვანა „დინი-121“-მა, კოსმოსურმა ხომალდმა“.

ზევახი: „და ის გოგონა“...

ცია: „ის გოგონა მე ვარ“. ზევახი: „კი მაგრამ, ჰერი?“

ცია: „ჰერი? ჰერი შენი პაპის პაპის პაპა იყო“. ზევახი: „როგორ?“

22.

„დინი-121“ ხომალდის ეკიპაჟი ყოველ საღამოს ისმენდა იმდევევანდელი კომპლექსური ორბიტული კვლევის ანგარიშს — მონაცემებს აღამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის, მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ. ჰერის განსაკუთრებით მოსწონდა პლანეტის ფაუნა და იმ წამს, როცა ციცაბო ფერდობის თავში, ვიწრო ბილიქზე მისკენ ბურდოლუნით მომავალი ვეება დათვი დაინახა, ოდნავადაც არ შემქრთალა — რატომ უნდა შეშინებოდა ასეთი თვინიერი, ცოტა სასაცილო, ბაჯბაჯა ცხოველისა, რომელიც ილბათ მის გასაცნობად მოითოდა?.. მაგრამ როცა ამ ბანჯგველიანმა არსებამ უკანა ფეხებზე წამოიწია და მარჯვენა წინა თათი მძიმედ ჩა-



მოპკრა მხარზე, ჰერი მიხვდა, რომ მთლად ისე როდესოფუთმაშ-
მე, თვითონ რომ ეგონა. ამიტომ მეორე ტორის შემსუქრებ
აღარ დაუცადა და მხარი მძლავრად შეაქანა, მაგრამ, თქვენც
არ მომიკვდეთ, ვერ გაითავისუფლა. დათვმა გაბრაზებული კა-
ცივით ჩაიბუზლუნა, თავი გააკანტურა და დრუნები აპერკოტი-
ვით ამოპკრა ნიკაპში. ჰერიმ იგრძნო, რომ ფეხვეშ მიწა
ეცლებოდა, რაღაც სასწაულით ბოლო წამს მოასწრო ჩა-
ხვეოდა დათვს, ორივე წაიქცა და ასე, შეყვარებულებივით
ურთიერთჩაქონებულნი, თავბრუდამხვევი სისწრაფით დაგო-
რდნენ ციცაბო ფერდობზე...

ცია: „...რაღაც ბედად, გზაზე ჩაგორებულან, წყაროსთან.
სწორედ იმ დროს გურიის მთავარს, მამია მეორეს ჩამოუვ-
ლია ამაღით. წაუყვანიათ უგონო ჰერი, ზედ გადაპყოლიან
თურმე. ბოლოს გამოაეთეს და ფეხზე დააყენეს დაჩეჩქვილ-
დაგლეგილი საწყალი ბიჭი... ჰერი მიმხვდარა, არავინ დამიჯე-
რებს, რომ ვთქვა, დედამიწელი არა ვარო, და დროებით სიმუ-
ნჯე მოუგონებია. ეს „დამუნჯება“ სხვა მხრივაც აძლევდა
სელს: ქართული ენა არ იცოდა და მხოლოდ ტელეპათიურად
თუ გააგებინებდა აქაურებს რამეს, აი ასე, ჩენ რომ ვსაუბ-
რობთ, უხმოდ და უენოდ. მაგრამ ესეც ხომ გარქვეულ რისკ-
თან იყო დაკავშირებული, ვაითუ ეშმაკთან წილნაყარი ჰერნე-
ბოდათ.“

ზევახი: „კარგი, ეს მეც ვიცი, მაგრამ თქვენ საიდანლა გა-
იგეთ ჰერი-ერეკლეს თავგადასავალი?“

ცია: „სტარტის წინ „დინი-121“ ხომალდის მეთაურმა ამ
მუხის ძირში (ეს მუხა მაშინ ასიოდე, წლისა იქნებოდა უკვე)
ღრმად ჩაარჭო შორეული კოსმოსური კაგშირის ანტენა. ჰერის
მარჯვენაზე წამოცმულ რკინის სამაჯურში მძლავრი მინიატუ-
რული რაცია იყო ჩამონტაუებული. როცა ბიჭი საბოლოოდ
გამოკეთდა, მან ადვილად იპოვნა ეს მუხა და უკან დაგვადევნა
შეკლე ინფორმაცია, სამაჯური კი ხევში მოისროლა... მისი ინ-
ფორმაცია მაშინ მივიღეთ, როცა მზის სისტემის ფარგლებს
უკვე საკმაოდ ვიყავით გაშორებული“.



ზევახი: „მერე? მოშიუევი, ყველაფერი როდი მახსოვეს არა უნდა გვითავსა...“

ცია: „ცხადია, ყველაფერი არ გემახსოვრება.“

ჰერი-ერეკლემ ერთი წლის შემდეგ „ენა ამოიდგა“ — მას უკვე შეეძლო ქართულად საკმაოდ გამართული ლაპარაკი. მალე დაქორწინდა და ოჯახი შექმნა. ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხელა. სიკვდილის წინ შვილიშვილის შვილს გაანდო თავისი საიდუმლო. ზევახი ერქვა ბავშვს. იმასაც, პაპასავით, შულზე, წარპებშუა, პაწია შავი ხალი ესვა“.

ზევახი: (ხალზე თითო მიიდო): „ჩემსავით“...

ცია: „ჰო, შენსავით“.

ზევახი: „კარგი, მაგრამ როგორ ხდება ეს?“

23.

ჩემი ცოდნა გენეტიკაში (და, საერთოდ, ბიოლოგიაში) ფრიცე ზედაპირული და ზერელეა. ადრე მხოლოდ ყურმოქვრით თუ გამიგონია ის ორითოდე ტერმინი (მათზე იმთავითვე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და, ვაღიარებ, უკეთესად არც ანლა მესმის მათი მნიშვნელობა), რომლებსაც ქვემოთ ციას განმარტების გადმოქართულებისას გამოვიყენებ... ერთი სიტყვით, თუ რამე შევცოდო, მაპატიეთ...

24.

ცია: „შევეცდები აგიხსნა... ჩვენში (ნუ გაგიკვირდება — მე პლანეტა დინს და დინელებს ვეულისხმობ)... დიახ, ჩვენში უკვე მცირეწლოვანმა მოსწავლეებმაც კი იციან, რომ გენოტიპი — ინფორმაცია ორგანიზმის ყველა თავისებურების შესახებ — მეტ-ნაკლები ინტენსივობით მემკვიდრეობით გადაეცება. „ყველა თავისებურებაში“ იგულისხმება მორფოლოგიური, ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური და სხვა ნიშნები, სულ — სამი ათასამდე ნიშანი. ზოგჯერ გენოტიპი განსაკუთრებული ინტენსივობით იჩენს თავს. ადრევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს

„ზოგჯერ“ სულაც არ ნიშნავს რაღაც უაზრო შემთხვევითობას, პირიქით, გენოტიპი მყაცრი წესრიგით, კანონზომიერზე დაგენერაციული დება ხოლმე. მალე დადასტურდა, რომ პლანეტა დინის პიროვებში გენოტიპი აბსოლუტურად (ძალზე მცირე, უმნიშვნელოდ მცირე გადახრებით) ყოველ მეოთხე თაობაში რეპროდუცირდება. ამასთან, მემკვიდრეობით გადადის თითქმის მთელი დაგროვილი ინფორმაცია, ცოდნის მარაგი, რომელიც თანდათან იქსება „ახალი ცხოვრების“ (ამ ტერმინს პირობითად ვხმარობ) სინამდვილეში მიღებული უახლესი ცოდნით, რათა შემდეგ მთელი ეს ინფორმაცია ისევ ჩიგით მეოთხე თაობას გადაეცეს.

ზევახი: „მაშ, მე წარმოშობით დინელი ვარ“.

ცია: „დიახ... ჰერის — პირველი ერეკლეს გენოტიპი თითქმის უცვლელად განმეორდა მის შვილიშვილის შვილში, პირველ ზევახში (ძოსალოდნელზე მეტი გადახრა გენეტიკურ კოდში დედამიწელი ქალის გენოტიპის ჩარევამ გამოიწვია); თითქმის უცვლელად გადაიცა მისი ცოდნაც. პირველი ზევახი მეორე ერეკლეში, შენს დიდ პაპაში რეპროდუცირდა. ბოლო საფეხური კი (უფრო მაღალი საფეხური, ცხადია), თავად მიხედები — შენა ხარ“.

ზევახი: „თითქმის გავიგე... თითქმის.. კარგი, დედამიწელებში როგორლაა საქმე?“

ცია: „ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით. ეჭვს გარეშეა, რომ გენოტიპის მემკვიდრეობითობის კანონი აქაც მოქმედებს; უფრო შეტიც: რაკი ჩვენი — დინელებისა და დედამიწელების — ორ განიზმის აგებულება თითქმის იდენტურია, დედამიწელთა გენეტიკური კოდი, დინელების მსგავსად, ორმაგი სპირალის სახით იქნება გამოხატული და გენის მატერიალურ საფუძველს აქაც ალბათ ქრომოსომები წარმოადგენენ, რომელთა შედგენილობაშიც ცილა და დნმ — დეზოქსირიბონუქლეინის მუვა შედის. შესაძლოა, გენოტიპის რეპროდუციებს შორის აქ თაობათა უფრო მეტი რაოდენობა იდოს, არა სამი, როგორც ეს უინზეა, არამედ, ვთქვათ, ოთხი, ხუთი ან ათიც კი. ამას მომა-



ვალში დავადგენთ, თუკი, რა თქმა უნდა, თავად დედამიწის უძრავი ხელი პრეზიდენტის მიერ დაგვასწრეს.

ახლა შომისმინე, რა იყო შემდეგ:

დინამდე ერთი წელი ვიცერინეთ — ერთი წელი ხომალდის დროით, თორემ აქ, დედამიწაზე, ამასობაში ორმოცდაჩვიდმეტნახევარი წელი გავიდა. განგაში სწორი გამოდგა: პლანეტა დინს ძალზე უჭიოდა — მექობრები დასხმოდნენ თავს და თავისი კოსმოსური ფლოტი რომ არ მიშველებოდა, ცუდად წაუვიდოდა საქმე.

ხუთი წელი დაცუავი იქ. იმ ხუთი წლის მანძილზე დედამიწის სურვილი მქლავდა, სიზმარსა და ცხადში მშობლიურ სოფელს ვხედავდი და თვალში ცრემლი არ მომშორებია. ამიტომ, როცა პლანეტაზე ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და „დინი-121“ მზის სისტემის კვლევის გასაგრძელებლად გამოეშურა, მეც თან წამომიყვანეს.

დედამიწაზე რომ მოვთრინდით, 1724 წელი იდგა — 120 წელი გასულიყო, რაც ასე უცნაურად და მოულოდნელად მივატოვე აქაურობა. ამ მუხისა და დასაჯდომი მოედნის პოვნა არ გაგვჭირვებია — მუნის ძირში ჩაფლულმა ანტენამ გვიჩვენა გზა.

მე მხოლოდ 16 წლას ვიყავი მაშინ.

ზევანს ვესაუბრე — შენი პაპის პაპას. მე გამოვუჩნდი მხოლოდ. მექვიდრეობით გაღმაცემულმა მეხსიერებამ მოიყვანა აქ, ამ ადგილას. შენ რომ იდექი წელან, მუხას მიყრდნობილი, ისიც ზუსტად ასე იდგა. ცოტა შენწე უფროსი იყო, მაგრამ ტყუპისცალივით გგავდა. რა თქმა უნდა, ზალითაც...“

ზევანი: „არ გამოგვათ? თუ...“

ცია: „არა. მე არაფერში გამოგადგებითა, აქ ცოლი და შეიიღო მყავს, თავს ვერ მივანებებო. თანაც შეოქმულებაში იყო ჩართული: გიორგი IV გურიელი, ოდიშის მთავარი ბეჟან დადიანი, იმერელი თავადი ზურაბ აბაშიძე და რაჭის ერისთავი ასმალთა წინააღმდეგ აგანყებას ამზადებდნენ და ზევანს ახლომახლო სოფლებიდან ქუდზე კაცის შეკრება ჰქონდა დავა-

ლებული. ერთი სიტყვით, არ ეცალა. ამიტომ არგველებულა, ძალას კი ვერ დავატანდით, არ შეიძლება.

კიდევ ას ოცი წლის შემდეგ მარტო მოვფრინდი დედამიწაზე აი, ამ პატარა ხომალდით. 1844 წელი იღვა. სამი წლის დამარცხებული იყო გურიის აჯანყება. შენი პაპის, მეორე ერეკლეს დეიდაშვილი აბესა ბოლქვაძე, პაპაშენის სიყრმის მეგობარი, მიწაში იწვა...“

ჭევახი: „არც ერეკლე პაპა გამოგყვათ“.

ცია: „რა თქმა უნდა. ახალ ოდას აშენებდა, ცოლი უნდა შეერთო შემოდგომაზე. აქაც ბევრი საქმე მაჟვს, იქ რა უნდა გავაკეთოო... ტუპისცალივით გგავდა. ცოტა უმცროსი იყო შენზე“.

ჭევახი: „ცოტა კი არა, ათი წლით“.

ცია: „ჰო, მართალია. მე კი მაშინ უკვე 23 წლისა ვიყავი“.

ჭევახი: „წელან საოცარი სიცხადით დამიღვა თვალწინობენი შეხვედრის სურათი. როგორ მოურჩინე გატეხილი ლავიში?“

ცია: „მალე თვითონვე მიხედები, შენც ისწავლი ასეთი „სასწაულების“ ჩადენას“.

ჭევახი: „ერთი ეს მითხარი, რატომ იყავი დარწმუნებული, რომ მე წამოგყვებოდი?“

ცია: „არა, არ ვყოფილვარ დარწმუნებული. უბრალოდ, ვიმელოვნებდი“.

ჭევახი: „რატომ?“

ცია: „დინელმა სოციოლოგებმა ერთმანეთს შეუდარეს კაცობრიობის განვითარების დონეები 1604, 1724, 1844 წლების (120-წლიანი ინტერვალებით) მონაცემებით. ჩვენმა კომპიუტერებმა დაასკვნეს, რომ კაცობრიობის ცოდნა, რაც დრო გადის, მით უფრო სწრაფად იზრდება, გეომეტრიული პროგრესის განვითარების მატულობის. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ახლანდელ დროში, 1964 წელს, აქ, ამ გარემოში ცოდნის ისეთი დონე დაგვიხვდებოდა, როცა სასარგებლო ხდება ორ მაღალგანვითა-



რებულ ცივილიზაციას შორის ინფორმაციათა გაცელდებოდა მარტო ის კი არ არის, რომ შენ მრავალმხრივ ერუდირებული მეცნიერი ხარ — დინელებს ამით ვერ გააკვირვებ. მთავარი ისაა, რომ შენი თავის ტვინი ინახავს უზარმაზარ ინფორმაციას მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე (იმ რაოდენობით, რომ შენთვის წარმოსადგენადაც ძნელია!). ამ ინფორმაციის დამუშავება და შესწავლა მნიშვნელოვანწილად დახმარებას გაუწევს დინელ სოციოლოგებს, რომ დედამიწის მაგალითთან აღადგინონ პლანეტა დინის მოსახლეობის განვითარების აღრინდელი სურათები; ჩვენი პლანეტის წარსულის ისტორიაში (ნუ გაგიკვირდება, ვიმეორებ, რომ დინის „ჩვენს პლანეტას“ ვეძახი) ბევრი კარიერი ადგილია შესავალი... გარდა ამისა, ინფორმაცია, რომლის მიღებაც პლანეტა დინზე შეგიძლია, მომავალში ძალზე გამოადგება დედამიწას. ეს შენც ქარგად მოგეხსენება“.

ზევახი: „ბავშვი არც მე ვარ, მაგრამ მშურს შენი განსწავლულობისა... რამდენი წლისა ხარ ახლა, ცია?“

ცია (იცინის): „მე ხომ 1596 წელს დავიბადე, მაშასადამე, ვამოდის, რომ სამას სამოცდაათი წლის ქალი ვარ. სინამდვილეში კი მხოლოდ ოცდაათი მისრულდება. ჩემი საკუთარი, ჰეშმირიტი დროით, რა თქმა უნდა“.

ზევახი: „მეც თცდაათისა ვარ. ესე იგი, თანატოლები კუოფილვართ, არა?“

ცია: „ასე ვამოდის!“

25.

მზე საშუალეოს მიახლოებოდა.

ოდნავ ჩამოცხა.

ნელმა ნიავმა ელმავლის შორეული კივილი მოიტანა. მატარებლის ბორბლების რიტმული რახრახიც მოსწვდა სმენას. ზემოთ, სიმინდის ყანაში, ისევ გაიჭახუნა ქვაზე თოხის პირმა. ხევში მოკლედ დაიჭახჭახა მარტოხელა შაშვმა.



ცია წამოდგა. ზევანიც აჟყვა. ერთ ხანს თვალებურთაშორისულა
რებლენენ ერთმანეთს, თითქოს პირველად ხედავენო.

— მაშ, მივდივართ, ზევახ? — ხმამალლა თქვა ციამ. მკერ-
დისმიერი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ნელა ლაპარაკობდა, მკვი-
თრად გამოტქვამდა ბგერებს.

ზევახს გაუკვირდა, თვალები გაუფართოვდა. მერე სიხა-
რულის ლიმილი გადაეფინა სახეზე:

— მეგონა, დავიწყებული გქონდა ქართული, არ მარტო
ქართული, ხმამალალი ლაპარაკიც კი. — ხელი ასწია და
ფრთხილად ჩამოუსვა თმებზე. — კარგია, რომ გახსოვს.

— რა დამავიწყებდა, — გაულიმა ციამ, — ეს ხომ ჩემი
დედაენაა! ამასთან, ვითომ რა ისეთი დიდი დრო გავიდა; ჩემი,
საყუთარი დროით მხოლოდ ოცდაორმა წელმა ჩაიარა შეს შემ-
დეგ, რაც შენ ოსმალთა ტყვეობისაგან დაძიხესენი სადღაც აქ,
ამ მიღამოებში... შენ კი, როგორ გგონია, შენ დავავიწყდება?
შენც აქაური ხარ სისხლითა და ხორცით, სულითა და გულით.
არ დაგავიწყდება, აი, ნახავ, დავბრუნდებით ას ოცი წლის შე-
მდეგ და...

— დავბრუნდებით?

— აბა რა!.. ჰოდა, თვალ დარწმუნდები ჩემი სიტყვების
სიმართლეში. აი, ნახავ.

— ეჭვიც არ მეპარება. მით უმეტეს, რომ შენ მეყოლები
გვერდით. ხომ მეყოლები?

— აუცილებლად!

ციამ და ზევახმა ერთმანეთს გაუცინეს, ხელი ხელს ჩაჰ-
იდეს და „ცია-1“ ხომალდისკენ გადადგეს ნაბიჯი.

26.

სტარტის გრუხუნი მინდორს არ გასცილებია. ბებერმა მუ-
ხამ ლინგად შეარხია ტოტები, თითქოს გამოსამშვიდობებლად
დააქნია ხელი. „ცია-1“ ხომალდი თვალს მიეფარა თუ არა, კენ-
ტმა ჭრიჭინამ მყისვე განაგრძო შეწყვეტილი სიმლერა.

ჯაღმასნური წერი

„ნურაფერი გიკვირს!“
ბითაგორა.



ბიჭი უცხო ბინაზი

გიორგი თვალი გაახილა და მზის ალმაცერი სხივებით ალაპ-ლაპებული ფანჯარა დაინახა. რაფაელ სისხლისფრად ჰყვანებით შეგაგრული მახინგი კაქტუსი. გაუკვირდა, კაქტუსი აქ საიდან გაჩნდაო. მაგრამ რომ მიიხედ-მოიხედა, მარტო ის კი არა, ვერც ოთახი იცნო. დაფიცება შეეძლო, რომ პირველად ხედავდა იმ შოკოლადისფერ ტანსაცმლის კარადას, კუთხეში მიღვმულ წენგოსფერ საწურავს კარგი მაგიდას, წიგნებით გაჟედილ თაროებს, მაღალზურგიან შიხდისფერ სავარძელს, ჩალ-მის ფორმის თეთრ ჭალს, მოპირდაპირე კედლის ერთადერთ სამკაულს — იაპონურ პეიზაჟს...

საბანი გადაიძრო და წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ გადა-იფარა ინსტინქტურად — დედიშობილა იწვა ლოგინში. ამან განაცეიფრა და ცოტათი შეაშინა კიდეც: ტიტველი არასოდეს

იძინებდა ხოლმე, გარდა ამისა, კარგად ახსოეს, გუშენ, მეცნიერებული
წინ რომ იბანავა და სუფთა საცვლებიც ჩაიცვა. განაცილენ მისიანი ტრუსი

და ქათქათა მაისური ეწყო. სკამის ზურგზე ფაქიზად გადაეკი-
დათ ახალთახალი სპორტული კოსტუმი. იატაქზე ლურჯი ტყა-
ვის ზოლებით გაწყობილი კრემისფერი ბოტასები ელაგა. პირ-
ველად ხედავდა ასეთ ფეხსაცმელს, არც კი იცოდა, რა ერქვა.

ხელი გადაუსვა კოსტუმს. აშკარად უხმარი იყო, ჯერ ჩაუ-
ცმელი, თანახიანი.

რა მოეჩვენა, ნეტავი, დარო მამიდას? დაბადების დღე
მაისში გადაუხადა მშისწულს, ახლა აგვისტოა. რას უნდა ნიშ-
ნავდეს ეს მოულოდნელი საჩუქარი?

ოთახში მის გარდა არავინ იყო, მაგრამ ტრუსი მაინც სა-
ბანქვეშ ჩაიცვა. ტახტიდან წამოღვა, ფეხები ბოტასებში წაპ-
ყო, ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. გული შეუქანდა
უცებ, ხელისგულით წირთხლს მიეყრდნო, თვალები მაგრად
დახუჭა და ისევ გაახილა. არაფერი შეცვლილა, იგივე ხედი გა-
დაეშალა თვალწინ: რვასართულიანი კორპუსებით შემოსაზღვ-
რული ასფალტის კვადრატი, მაღალი მავთულბადით შემოზ-
ღვდული ფრენბურთის მოედანი, მწვანე გაზონები, ტანმორ-
ჩილი ალვის ხეები... გუშინ საღამოს კი ამ ფანჯრიდან (ამ
ფანჯრიდან?)! ხელისგულისოდენა ქვაფენილიანი ეზო, საერთო
ონები და აგურისფრად შეღებილი ფიცრის ალაყაფი მოჩანდა.
ასეთი ეზო ასობითაა თბილისის ძველ უბნებში.

ფრთხილად იჩქმიტა მქლავზე. ეტკინა...

შემობრუნდა, ისევ მოათვალიერა ოთახი. არცერთი ნაც-
ნობი ნივთი, თუნდაც ისეთი, ბუნდოვანი სიზმრიდან გამოყო-
ლილივით რომ ხსომებოდა!

საწერ მავიდას მიუახლოვდა. რაღაცნაირი შიშით დახედა
მოლისფერ ტელეფონის აბარატს, თითქოს შიგ მხეცი ეგულე-
ბაო ჩაბუდებული, შიშით, თორემ გაკვირვებით აღარ გაკვირ-
ვებია. მარცხენა კუთხეში სუფთა საწერი ქაღალდის დასტა
ეწყო, მარჯვენა კუთხეში რამდენიმე სქელანიანი წიგნი მლა-

გა. შეუაში, კედელთან, მაგიდის კალენდარშა შემოანათა წერ-
ლად: „აგვისტო, 10, კვირა“ კალენდარი არ ტყუოდა — უძრავია გად
ახსოვდა, გუშინ რაც შაბათი დააღამა.

ტელეფონის აპარატის წინ კონვერტი იდო, ზედ ორი სი-
ტყვა ეწერა მხოლოდ: „ნოშრევან მარიხიას“. იქვე, ორად გა-
ჰიცილ ქაღალდის ფურცელზე, დიდრონი მკაფიო ასოებით
იყო გამოყვანილი „გიოს“.

ფურცელი გაშალა და წაიკითხა:
„ჩემო გიო!

მე ათიოდე დღით სოფელში მივემგზავრები გადაუდებელ
საქმეზე.

შენ პატარა აღარა ხარ, მეთექვსმეტეში გადაღექი უკვე.
ამიტომ მჯერა, რომ არ აჩქარდები და ისე მოიქცევი, როგორც
მე და ძია ნოშრევანი გირჩევთ.

უპირველეს ყოვლისა, დაურეცე ძია ნოშრევანს. მისი ტე-
ლეფონის ნომერია 81-13-45. კვირაა და შინ იქნება. უთხარი
შენი სახელი და ისიც, რომ მისთვის წერილი გაქვს გადასაცე-
მი. სთხოვე, დაუყოვნებლივ მოვიდეს.

იცოდე, მის მოსულამდე, უფრო მეტიც — ვიდრე წერილს
არ წაიკითხავს, ოთახიდან ფეხი არ მოიცვალო.

კარიც მის გარდა არავის გაუღო.
აბა, შენ იცი!

„შენი დარო მამიდა“.

ხელნაწერი თან ჰეგავდა დარო მამიდისას, თან არ ჰეგავდა.

ბიჭი დაფიქრდა. კი მაგრამ, რა ასეთი აუცილებელი საქმე
გამოუჩნდა ნეტავი ასე მოულოდნელად? აკი გუშინ საღამოს
შველაფერი ჩვეულებრივად იყო...

კონვერტი აიღო, აწონ-დაწონა, შეატრიალ-შემოატრიალ.
დაბეჭდილი იყო. კიდევ ერთხელ გადაიკითხა ადრესატის სახე-
ლი და გვარი. ნოშრევან მარიხია! პირველად ესმის, ვინ უნდა
იყოს ნეტავი?

კონვერტი ფრთხილად დადო თავის ადგილას. ყურმილი
აირო თა ნომერი აკრიფა.

ნოშრევან მარიხია დილადრიან მიუჯდა თავის საწერ მა-
 გიდას. ჩეეულებრივ საღამოობით და ლამით წერდა ხოლმე, მა-
 გრამ ამეამად მოთხრობა ჰქონდა სასწრაფოდ დასამთავრებე-
 ლი და დადგენილ წესს გადაუხვია, ყოველდღიურად კიდევ სა-
 მიოდე საათს მუშაობდა დამატებით. როცა გაიღვიძა, ცა ახ-
 ლად შემტრედისფერებული იყო. თხუთმეტიოდე წუთს საწო-
 ლში ფიქრობდა მოთხრობის ბოლოსწინა თავზე, მერეც, იმ
 იროს განმავლობაში, რაც შხაპის მიღებასა და ყავის მომზა-
 დებას დასჭირდა, სულ ახალი ეპიზოდის დეტალები უტრიალ-
 ებდა გონებაში. და მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი ასე-
 ბა თითქოს მხოლოდ მოთხრობაზე ფიქრით იყო შეცყრობილი,
 სადღაც, ტვინის რომელიდაც შორეულ უჯრედში მოუსცენრად
 ფუთფუთებდა გაუცნობიერებელი შშფოთვარე მოლოდინი —
 დღეს რაღაც უნდა მომხდარიყო, რაღაც მნიშვნელოვანი და
 უჩვეულო. ცოლ-შვილისა არ ეფიქრებოდა, წუხელ შუალამი-
 სას ელაპარაკა ძეუღლეს ტელეფონით — შესანიშნავად გრძნო-
 ბლენ თავს ზღვისპირა კურორტზე... არა, ის „რაღაც“ აქვე,
 შორიახლო იყო ჩასაფრებული და — გული უგრძნობდა — ჰა-
 და ჰა, სულ მალე იჩენდა თავს... გარდა ამისა, იმავდროულად
 ბუნდოვანი დარდის თუ ვიღაცის წინაშე ჩადენილი უნებლივ
 დანაშაულის ჩუმი ჭია უღრღნიდა გულს — „თითქოს ისეთი
 რა დავაწყებოდეს, რაც აუცილებლად უნდა ხსომებოდა, რი-
 სი დავიწყებაც არასგზით ან შეიძლებოდა. რა მქონდა ჩაფიქ-
 რებული ნეტავი? — ფიქრობდა ნოშრევანი. — ან ცირამ ხომ
 არ მთხოვა რამე წუხელ?.. არა, არა, გამორიცხულია, წუხან-
 დელ ამბავს რა დამავიწყებდა?.. აბა სახვალიოდ მქონდა რამე
 დაგეგმილი? ორშაბათია წვალ... თითქოს ისეთი არაფერი, ამ
 ჩუმი წუხილის მიზეზი რომ იყოს... ეშმაკმა იცის მაგისი თავი
 და ტანი!“ — უმისამართოდ გაბრაზდა ბოლოს, საწერკალამი
 მიავდო, წამოდგა, ფანჯარასთან შივიდა, საკეტს თითი აპერა
 და ორივე ფრთა ფართოდ გამოალო.

ოთახი მაშინვე აივსო დიდი ქალაქის მრავალსახოვანი
ხმაურით. ქუჩაში უწყვეტ ნაკადად მიმოქროდნენ ნაირუცხმის
აეტომანქანები; ტროტუარებიც, თუმცა აგვისტოს დასაწყისი
იდგა — განურებული საკურორტო სეზონი და მისაღები გა-
მოცდების ციებ-ცხელების დრო — სხვადასხვა ჯურის მოსე-
ირნებით იყო სავსე; ყვავილების მაღაზიასთან „შეოდას“ ფი-
რმის ახალთახალი ქრემისფერი წითელზოლიანი ტროლეიბუსი
გაოჩნებულიყო, შოთერი ჭალრის ტოტებში გაჩერილ ბიგელს
ეძიძგილავებოდა და, აქედანაც კა ჩანდა, გააღმასებული იგი-
ნებოდა; ვილაცამ წითელი „უიგულის“ ღია ფანჯრიდან „ქოს-
მოსის“ ლურჯი კოლოფი მოისროლა; კოლოფი შუა ქუჩაში
დავარდა, გადატრიალდა, ზედ მაშინვე კვამლით ახორციელებუ-
ლი ყვითელი „იკარუსის“ ვეება თვალმა გადაუარა და ასფალ-
ტთან გაასწორა.

„რა ბედნიერია ეს ხალხი! — გაიფიქრა ნოშრევანმა. —
რას ერჩი, აქეთ სეირნობის დრო და სეირნობენ... დრო... კაც-
მა რომ თქვას, ეს ერთი კვირადღე მეც რომ ჩემი სიამოვნე-
ბისთვის გამოვიყენო, ვითომ დაინგრევა ქვეყანა? არც ეს მაგი-
და გამექცევა საღმე და, მე მგონია, ერთი-ორი დღის დაგვია-
ნებისათვის არც გამომცემლობა გამიუქმებს ხელშეარულე-
ბას... ისე, მოთავებული საქმე კი ჯობს, — შეაბრუნა ფიქრი,
მაგრამ მაშინვე უკან შეატრიალა: — თუმცა ისიც ხომ ნალ-
დია, რომ ამხელა ქალაქში ამ წუთს ცოტა ვინმე თუ იცხე-
ლებს თავს ნებაყოფლობითი სამუშაოთი. ჰოდა, ვითომ რა მო-
ხდება, ახლა რომ ყურმილი ავილო და ჩამოვურექო სიმონს,
გაიოზს, ზაალს, გიორგის და ერთი ძეელებურად, ჩვენებურად,
მცხეთისაკენ... მოიცა! გიორგის? ა?.. გიორგის...“

ტეინის შორეულ კუნჭულში რაღაც შეიცვალა, იქ მორია-
ლე მშფოთვარე ქაოსს თითქოს ოდნავ მოწესრიგების ნიშნები
გაუჩნდა, გულის სილრმეში რომ ჭია ფუთფუთებდა, თითქოს
ისიც გაყუჩდა წამით... მოიცა... ამ ორი კვირის წინ იყო, გიო-
რგისთან რომ შეიარა ნოშრევანმა. მაშინვე არ მოეწონა მე-
გობრის განწყობილება, აღზნებული, შინაგანად დაძაბული

ეჩვენა. ადგა და იმ ღამეს მასთან დარჩა. უპ, რამდენი იყო აკ-
რაკეს, რამდენი იქორავეს, რა არ მოიგონეს! თან თუ მარტინი იყო
ყსა და ხილს შეეძლეოდნენ ნება-ნება... გიორგის მცხვარებული
ისევ დაუბრუნდა ჩვეული მელანქოლია, ისევ გაიხსენა თავისი
ბავშვობისძროინდელი ტკივილი, ვაუკაცობისას განცდილი
ტრაგიული სიყვარული, ასეთი ტკბილ-მწარე ნაიარევი რომ
დაამჩნია შის სულსა და გულს... გავთავდი კაცი, ნოშრევან,
ალარ შემიძლიაო, — საფეხქლებზე ხელები მიიჭირა გიორგიმ,
— მეგონა, დრო ყველაფრის წამალია და მეც განმკურნავს-
მეთქი, გაივლიდა შეგონა ჩემი სატკივარი, მაგრამ არა, შევც-
დი, რაც დრო გადის, პირიქით, უფრო და უფრო აუტანელი
ხდებაო... ახლა ერთადერთი გზაღა დამრჩენია და თუ იმ გზამ
არ გამიმართლა, ან საგიურში მოვხვდები უეჭველად, ან ეიდევ
მორგშიო...

ჰო, ასე თქვა მორგში ან საგიურშიო...

მერე კიდევ ილაპარაკეს ამაზე თუ იმაზე, უფრო ზუსტად,
გიორგი ლაპარაკობდა, ნოშრევანი კი... ნოშრევანი გათიშული
იყო სანახევროდ — წინა ღამეს გვიანობამდე იმუშავა და ახლა
ცალკერდ უძილობამ იმოქმედა, ცალკერდ — თუთის არაყმა
და ქუთუთოები ისე დაუშძიმდა, თვალები თავისით ეხუჭებო-
და. „ე ბიჭო, თენდება და თვალი ერთი საათით მარნც მოვატ-
ყუოთო“, — შეევედრა მეგობარს. მართლაც, გარეთ უკვე
ფერმკრთალდებოდა ღამე... არ უნდოდა მასპინძლის წყენინე-
ბა და ამირანივთ ებრძოდა ძილს, მაგრამ ამაოდ, საუბრის და-
სასრულიდან მეხსიერებაში თითქმის არაფერი დარჩენია...
გიორგი ტახტზე ლოგის უშლიდა, თან ლაპარაკს განაგრძობ-
და, და აი, სწორედ მაშინ თქვა რაღაც ისეთი, მნიშვნელოვა-
ნი... რაღაც ისეთი, რისი დავიწყებაც ნოშრევან ბატონო, არ
შეიძლებოდა! არა და არა!..

ისევ შეეკუმშა გული, ისევ აუფუთფუთდა აბეზარი მოლო-
დინი ტვინის შორეულ უჯრედში... კიდევ ერთი პატარა ბიძგი-
რა იყო საჭირო... კიდევ ერთი...

სწორედ ამ დროს დაიწკრიალა ტელეფონმა.

თუ მისმამი პრაული არ მოგვაწონეს...

„როლანდ ჭ. საიმაქს, კომერსანტის.

ბელანო, 3-19, ქანაძა.

სერ!

დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია იმ ცნობას, რომელიც ამას წინათ მოგაწოდეთ. ნუთუ მან თქვენამდე ვერ მოაღწია? გავიმეორებ მთავარს:

ჯორჯს თითქმის ყოველდღე ვხვდები. მასთან დამეგობრება ჯერჯერობით ვერ მოვახერხებ და ვეჭვობ, რომ მოკლე ხანში შევძლო ეს — გულჩათხრობილი, საკუთარ თავში ჩაკეტილი პიროვნებაა, ძნელად თუ დაიახლოებს ვინმეს.

მიუხედავად ამისა, ღრმადა ვარ დარწმუნებული: ჯორჯი სულ ახლოსაა იმ პრობლემის გადაჭრასთან, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. უფრო მეტიც — მალე იგი გადამწყვეტი ექსპერიმენტის დაწყებასაც აპირებს. დეტალები ჩემთვის უცნობია (თუ არ ჩავთვლით თარიღს — 10 აგვისტოს), მაგრამ ექსპერიმენტის შედეგს რომ შევიტყობ, ამაში ეჭვი თითქმის არ მეპარება (უკვე გატყობინებდით, ჯორჯის მეზობელი მარტოხელა ქალიშვილი ჩემი მეგობარია-მეთქი). ეს შედეგები კი დაგვანახებს, ლირს თუ არა რისკის გაწევა ჯორჯის ჩანაწერთა (თუკი ისინი არსებობს) ხელში ჩაგდებისათვის. ვშიშობ, ვაითუ საქმე მათი ავტორის გატაცების აუცილებლობამდე მივიდეს (შესძლოა, ეს უფრო ადვილი საქმე გამოდგეს, ვიდრე ჩანაწერთა მოპოვება — თუკი ისინი არსებობს), ამიტომ იქნებ დაკავშირებოდით ცენტრს და მოგეთხოვათ შესაბამისი ინსტრუქცია?

თუ მანამდე არაფერი შეიცვალა, შემდეგ ცნობას დღეის სწორს, 17 აგვისტოს ელოდეთ“.



რეზო ლალიაშვილმა ამომრთველის ლილაქს თითო დააჭირა, ცითა ჯალკულატორი მხრებზე მოხურული თხელი პიჯაკის

გულისგიბეში ჩაიცურა, სარდაფის კარი გამოიხურა და გასა-
ღები ორჯერ გადაატრიალა. შემობრუნებისას მარცხენა კოდა-
იდან ლიტრიანი მურაბის ქილა გამოუცურდა. რეზომ სწრაფად
ჩაიჩოქა, ქილას ბარძაყი და მარჯვენა ხელი შეაშველა, თეთრი
ბლის მურაბაც გადაარჩინა და ნახევარლიტრიანი არაყიც, მარ-
ცხენა ხელის საჩვენებელი და შუა თითებით რომ ეკავა დაუ-
დევრად. წამით დასცხა, „აუპ, გადავრჩი ლენოჩას ბუზლუნ-
სო.“ — ჩაიცინა და ის დაძაბულობა, რომლითაც წელან სარ-
დაფში იყო გათანგული, უცებ მოეხსნა.

ლიფტთან, პირველ სართულზე, კიდევ ელოდა ერთი ხი-
ფათი: მიუახლოვდა თუ არა, კარი უცებ გაიღო და კაბინიდან
ხუთი თუ ექვსი თმააბურძგნული და მაისურამოჩაჩული ბიჭუ-
ნა გამოვარდა ველური ყიუინით. დროზე უტია გზა, თორემ წა-
სული იყო იმ დათარსული არაყის საქმე.

— უპ, თქვენი... — უბოროტო ლიმილი მიადევნა ბავშ-
ვებს.

კაბინა რწევა-რწევით ასრიალდა მეშვიდე სართულზე. ლე-
ნოჩას ერთოთახიანი ბინა ლიფტის პირდაპირ იყო. რეზომ ზა-
რის ლილაქს თითი დააჭირა და მარცხნივ მიიხედა. თეთრად
შეღებილ სტანდარტულ კარზე მიქრულ პატარა ოქროსფერ
პარალელოგრამს შავი ასოებით ეწერა: „ექიმი გიორგი ჩინა-
რიძე“.

— სად დაიკარგე? — უსაყვედურა ლენოჩამ, კარი ფარ-
თოდ გააღო და გაატარა. — შეგხვდა ვინმე?

— არა, მურაბას ვეძებდი. — რეზომ ფეხსაცმლები წაიძ-
რო და ფეხები ფლოსტებში წაჰყო. — შენ ეგ მითხარი, ეს შე-
ნი მეზობელი არ გამოჩენილა? ექიმზე გეუბნები.

— გჭირდება, თუ? — რატომლაც ეშმაკურად ჩაიცინა ლე-
ნოჩამ.

— არა, ისე... კარგა ხანია, თვალი არ მომიქრავს.

— რა ვიცი, შეიძლება მივლინებაში იყოს სადმე. ანგარი-
შებს მე კი არ მაბარებს! რამდენიმე დღეა, არც მე დამინა-
ხავს. ერთი მაგისი...

რეზომ ჩაიცინა.

— დღემდე ვერ მოგინელებია, გეტუობა, რომ ვერ მოხიბ-
ლე და კოვში ნაცარში ჩავივარდა, არა? რთული სიტუაციაა,
რთული...

ლენოჩამ ზურგი შეაქცია.

•

შორს ხმადაბლა დაიგუგუნა საყვირმა. რონალდ ჭ. საიმაკ-
მა დილის მზის სხივებით ალაპლაპებული ჰუძონის უბიდან
ოდნავ მარცხნივ გადაიტანა შერა. ნავსადგურში დინჯად შე-
მოდიოდა ვეება თეთრი საოკეანო ლაინერი. საიმაკმა ზურგი
შეაქცია ფახვარას.

„ჯონ ადამსი“ მოვიდა ნიუ-იორკიდან.

სავარძელში მოსვენებით მჯდარ, ფეხიფეხგადადებულ, სა-
მკლაურებზე ხელებდალაგებულ, პირში სიგარაგარჭობილ წი-
თურ კაცს თვალი არ გაუხელია.

— მომიკიდე.

— წაიკითხე? — ჰკითხა საიმაკმა.

— არ ჩაეგძინოს...

როლანდ ჭ. საიმაკმა აალებული სანთებელა მიუმარჯვა:
სიგარის ბოლოს ცისფერი სურნელოვანი კვამლი აუვიდა.

— წავიკითხე.

— მერე?

— როგორ ფიქრობ, გამოვა რამე ამ ჯორჯის იდეისაგან? უფრო ზუსტად, გამოუვა ვითომ რამე?

— აბა რა ვიცი... წინასწარ და დარწმუნებით ძნელი სათქ-
მელია, მაგრამ ჩიტი რომ ნამდვილად ღირს ბდლვნად, ამას დი-
დი ლარი და ხაზი არ სჭირდება. ჰოდა, თუ იქ ყველაფერმა კა-
რგად ჩაიარა და ჩანაწერები თუ მოვიგდეთ ხელში... თუ ის
ჩანაწერებიც საქმაო ინფორმაციას შეიცავს...

— ძალზე ბევრი ხომ არ დაგიგროვდა ეს „თუ“, რონ? —
ჩაიცინა სავარძელში მჯდომმა. — როგორც მახსოვს, წინათ

კაი მტკიცე ოპტიმისტი იყავი. ახლა რაღა მოგივიდუალისტი

— თუ კაცი რეალისტი არა ხარ, ოპტიმისტი ფუჭი პო-
ზაა მხოლოდ, — არცთუ გარევევით, მაგრამ შევიდად მოუჭრ
საიმაჯმა. — მე არასოდეს მავიწყდება, ვისთან მაქვს საქმე.
ჯორჯი სამხრეთ აფრიკის კავშირის ან ახალი ზელანდიის მოქა-
ლაქე რომ იყოს, დოლარით ვიყიდდი, ამ შემთხვევაში კი... თუ-
მცა რას მალაპარაქებ, თავადაც მშეენივრად გესმის ყველაფე-
რი, ჰენრი!

— ერთი რამის გარდა... — საგარელში მჯდომა, ბოლოს-
დაბოლოს, თვალი გაახილა. — საფერფლე მომაწოდე, თუ შე-
იძლება, ეს კი, — მუხლები დაფენილ, ციფრებით აჭრელებულ
ქაღალდის ფურცელზე ანიშნა, — შევიძლია შეინახო... გმად-
ლობ. — საფერფლე გამოართვა და სავარძლის სამკლაურზე
დაიდო. — ერთი ეს მითხარი, რონ, რას მოგვცემს სახელ-
დობრ ჩვენ — მე და შენ — იმ ჯორჯის ფანტასტიკური პრეპა-
რატი? ცოტა რაღაცას ვხვდები, მაგრამ მეტი მინდა ვიცოდე,
ტვინის განძრევა კი მეზარება. — ჰენრიმ ჩაიცინა. — ეტყობა,
ისევ დაცხება დღეს. ჩემი ტვინი, ხომ იცი, ბარომეტრივითაა.

რონალდ ჭ. საიმაჯმა მხრები აიჩეჩა და შემწყალებლური
ლიმილით გადააქნია თავი.

— ვინც არ ვიცნობს, ერთი მიამიტი და უბირი ვინმე
ევონები... მაგრამ ეეთილი, შენი ნება იყოს. — საიმაჯი მაგი-
დის კიდეზე ჩამოჭდა და ფეხი ააქანავა. — წარმოიღვინე,
რომ რევისორი ხარ და ერთი გმირის ვიდეოთვილმი გადაიღე.
ვთქვათ, დაამონტაჟე ფირი და რაღაც არ მოგეწონა, გმირის ხა-
სიათი ისე არ ვითარდება, როგორც ჩაფიქრებული გქონდა.
დაატრიალებ უკან მთელ ფირს, მიხევალ იმ ეპიზოდამდე, რო-
მელმაც შენი პერსონაჟის ხასიათში ასეთი ცელილებები გა-
მოიწვია და საბოლოოდ ფირი გავითუჭა. აღვები და ხელახ-
ლა გადაიღებ ამ ეპიზოდს. მერე მომდევნო ეპიზოდებში შეი-
ტან შესაბამის კორექტივებს. ასე შევიძლია იმეორო მანამ, ვი-
დრე ფილმის ოპტიმალურ ვარიანტს არ მიიღებ. — რონალდ
ჭ. საიმაჯი მაგიდას მოსცილდა, ნელი ნაბიჯით მიუახლოედა

მეგობარს, დაიხარა, სავარძლის სამკლაურებს ხელისგულუნიში დაეყრდნო, ჰენრის თვალებში ჩახდა და შეთქმულივით დაუწია ხმას. — დავუშვათ, მე და შენ, რონალდ ჯორჯ საიმაკა და ჰენრი კლიფორდ ადამსს, არ მოგვწონს ვინმე მისტერ ბრაუნი და მისი შეხედულებანი თავისუფალ სამყაროზე. დავადგინეთ, რომ ეს შეხედულებები ამ ჭკუის კოლოფს კოლეჯში სწავლისას, მისი პატივცემული მასწავლებლის, მისტერ ევანსის გავლენით ჩამოუყალიბებია. როგორ ვიქცევთ მე და შენ, ჰენრი? როგორ და უკან ვატრიალებთ მისტერ ბრაუნის განვლილი ცხოვრების ვიდეოფირს იმ მომენტამდე, ვიდრე იგი კოლეჯში მისტერ ევანსს შეხვდებოდეს, შევიტანთ საჭირო კორექტივს და ყველაფერი იწყება თავიდან... თავიდან იწყება, მაგრამ უკვე სულ სხვა გზით, სულ სხვა მიმართულებით წირიმართება... ახლა გასაგებია, უბირო და მიამიტო კაცო?

ჰენრი ადამსმა ისევ დახუჭა თვალები.

— მერე, — იყითხა დაღლილი ეაცის ხმით, — მე და შენ უნდა ვატრიალოთ ხოლმე ეს ფირი, რონ?

— რატომ? ჯორჯის პრეპარატის საიდუმლოს ჩვენ სარფიანად გავასაღებთ, თუ მეტად არა, ორ-სამ მილიარდ დოლარად მაინც მიყვიდით ერთ დაწესებულებას, რომელსაც... — საიმაქმა ისევ შეთქმულივით მიიხედ-მოიხედა, — რომლის სახელსაც, მაპატიე და, ხმამაღლა ვერ ვიტყვით. თვითონვე კარგად ხვდები, ვისაც ვგულისხმობ, ჰენრი.

— ჩემგან რაღას თხოულობ კონკრეტულად, რონ?

— კომპანიონობას — კომპანიონობას ფინანსურ საქმე-ებში. მერწმუნე, ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ნამდვილად ღირს კაპიტალის დაბანდება. მოგება ასმაგი იქნება. ინტუიციას არასოდეს მოვუტყუებივარ, ჰენრი ადამს, შენ ეს კარგად მოგეხსენება!

და უცემ განათლა ჟველაზერი

— ალო!

— გისმენთ!

— ბოდიში, მარიხიას ბინაა, ბატონო?

— დიახ!

ხმა უცნობი იყო, ამიტომ ნოშრევანმა „დიახ“ სიტყვაში კითხვიანი ძოლოდინის ინტონაცია ჩააქსოვა.

— პატივცემული ნოშრევანი, თუ შეიძლება...

— მე ვარ, ნოშრევანი ვლაპარაკობ.

— გამარჯობათ, ძია ნოშრევან!

— გამარჯობათ! — ეს სიტყვაც კითხვიან მოლოდინს გამოხატავდა, ისეთს, დაუყოვნებელ პასუხს რომ ითხოვს. — ვინ ბრძანდებით?

— მე გიო ვარ, ძია ნოშრევან.

— გიო? რომელი გიო?

— გიო, ჩინარიძე.

— რაო?

— გიო ჩინარიძე გაწუხებთ, ბატონო.

— ხუმრობ, ყმაწვილო? შენ, ალბათ, ოთარის ამხანაგი იქნები...

— ოთარის?.. არა, ძია ნოშრევან... არც კი ვიცი, ოთარი ვინ არის. თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ... პირადად თქვენთან მაქვს საქმე.

— იცი, რას გეტყვი, ყმაწვილო? ასეთი ხუმრობისათვის ტოლი უნდა მოძებნო ხოლმე! გასაგებია? დაიმახსოვრე ეს და კარგად იყავი ახლა!

„ტუ...ტუ...ტუ...“

ნოშრევან მარიხიამ ორი ნაბიჭის გადადგმაც ვერ მოასწრო, ისევ შოაბრუნა ტელეფონის ზარმა.

— გისმენთ! — გალიზიანებულმა ჩასძახა ყურმილს.

— მაპატიეთ, ძია ნოშრევან, ისევ მე გაწუხებთ. მომისმი-

ნეთ, თუ შეიძლება. თქვენს სახელზე წერილი მაქვს აგერ
— რაო? რა წერილი?

— არ ვიცი. სქელი დაბეჭდილი კონვერტია, „ნოშრევან
მარიხიასო“, — აწერია ზედ.

— კი მაგრამ, ვინ მწერს?

— არ ვიცი, ძია ნოშრევან. დარო მამიდამ დამავალა,
თქვენთვის დამერტება და მეთქვა...

— ვიინ! — ნოშრევანს უცებ დასცხა, ხახა გაუშრა და
ყურებმა წუილი დაუწყო. „რას ამბობს ეს ბიჭი? — გაიფიქრა
განცვიფრებულმა. — სრულ ჭეუაზეა, ნეტავი?!“

— დარო მამიდამ, — გაიმეორა ბიჭმა. — გაცილვიძე და
ამ კონვერტთან ერთად მისი წერილი დამხვდა მაგიდაზე.
თქვენი ტელეფონის ნომერი ეწერა შიგ. დაურეკე და ისე
შოიქეცი, როგორც მე და ძია ნოშრევანი გირჩევთო. სთხოვე,
აუცილებლად მოვიდესო... ალო, ალო! მისმენთ, ძია ნოშრევან?
ალო!..

ნოშრევან მარიხიამ ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. ტვინის
შორეულ-უგრედში უცებ იელვა თვალისმომჭრელად და მაში-
ნვე ყველაფერს ნათელი მოეფინა.

„აი, თურმე რა მაწვებოდა გულზე მაჯლაჭუნასავით!“

— ჰო... გისმენ, გიო, გისმენ!.. გასაგებია ყველაფერი!..
შენ საიდან რეკავ?

ხაზის მეორე ბოლოში შეყოვნდნენ, პასუხი დააგვიანეს:

— არ ვიცი... ამ ოთახში პირველად ვარ, წინათ არასო-
დეს ვყოფილვარ აქ... არ ვიცი...

„რა თქმა უნდა! — დაირხა ფიქრი — საიდან ეცოდინე-
ბოდა, რა ძნელი მისახვედრი ეს იყო! რა თქმა უნდა!“

— ალო! ძია ნოშრევან! ალო!

— ჰო, გიო! მისმენ, გიო?

— ღიახ, გისმენთ, ძია ნოშრევან!

ნოშრევან მარიხიამ საბოლოოდ სძლია თავს:

— დამელოდე, გიო! გესმის? მე ახლავე წამოვალ. დამი-

ცადე, ოთახიდან არ გამოხვიდე, გიო! გასაგებია? აისაუბრებია?
— კარგი, ძია ნოშრევან. მაგრამ... თქვენ იცით... იცით,
მე სად... ვცხოვრობ? — ეტყობა, ბიჭის გაუძნელდა ბოლო
სიტყვის თქმა.

ნოშრევანი წამით დაფიქრდა. მართლაც, ახლავე მოვალო,
რომ ჰპირდება, იცის კი, სად უნდა მიეთდეს? რა მისამართზე?

უცებ ისევ იელვა გონების სიღრმეში და მიხვდა, რა უნ-
და ექნა:

— ეს მითხარი, საწერი მაგიდა თუა მაგ ოთახში, გიო?

— ღიახ, არის. ახლა ამ მაგიდასთან გდგავარ.

— ტახტი?

— ღიახ. სწორედ ამ ტახტზე გამომეღვიძა.

— ფანჯრის რაფაზე კაქტუსი თუ დგას?

— ღიახ. და ჰყვავის.

— ჰოო?.. ტახტის მოპირდაპირე კედელზე რამე სურათი
ხომ არ ჰყიდია?

— ჰყიდია...

— ვეზუვი, ზღვა, ნავი, ხომ? ჭილისქუდიანი იაპონელი
მენავე, პაწია მწვანე ქუნძული, ქოჩორა პალმა...

— ღია...ახ...

— მაშინ დამიცადე! — თითქმის იყვირა ნოშრევანმა. —
მოვდივარ! ახლავე მოვდივარ!

ლოჟაზე დამჩეული ნაიარევი

ერთი წელი იყო, რაც გიო თბილისში, დარო მამიდასთან
ცხოვრობდა. მანამდე თითქმის არ გასცილებია თავის მშობ-
ლიურ სოფელს, რინდას, აქ დაიბადა, აქ აეხილა თვალი და
აიდგა ფეხი, აქ ჩაიარა მისმა გოლეულივით ტკბილმა და ბალ-
ლამივით მწარე ბავშვობამ... თავდაპირველად ყველაფერი
შხისფერი, ცისფერი და ვარდისფერი იყო. მერე ჩამოქურუხ-
და ცა... ცხრა წლისა პირველად შეესწრო დედ-მამის ჩეუბს,
ახლაც ნათლად ახსოვს, ახსოვს კი არა, თითქოს თვითონვე

ხედავს საკუთარ თავს იმ წუთში — თვალებში საშინეულოს მიერთავთ ჩატარებულს, სახემოქცეულს, ყბაჩამოვარდნილს... თმაგაწეწილი, ყაბაჩაჩული დედა პირქვე ჩამხნილა საწოლზე, მამას ისევ შეუმართავს ხელი დასარტყმელად, ეზოდან კივილი ისმის, ძალლი ყეფს გაავებით, ქათმები კრიახებენ ყურისწამლებად, ვილაცა კიბეზე ამორბის ბრახაბრუხით... გონის რომ მოვიდა, ვირანი დილა იყო, ლოგინში იწვა სიცხით გათანგული, შუბლი შეხეეული ჰქონდა. ბებია შემოფრატუნდა ოთახში, „გაიღვიძე, ნება, ბებია შემოგევლოს?“ — დაიჩიტეჩითა და თავსაფრის ყური, ამოისვა დაწითლებულ თვალებში.

ბებია იმ ზაფხულს გარდაიცვალა. თურმე ცოტათი მისი რიდი ჰქონდათ შვილსა და რძალს, თორემ ორმოცი გადაუხადეს თუ არა, განახლდა და გახშირდა ჩინარიძეების ოჯახში ჩხუბი და დავიდარაბა. თანდათან მიზეზიც გაიგო გიომ — ზოგ რამეს თვითონ მიხვდა, ზოგიც ავმა ენებმა გააგონხეს: აქეთ მამა დადიოდა თურმე უკუღმართი გზით აღმა-დაღმა, იქით კიდევ დედამ, სეირნობა და დროსტარება ასე არ უნდაო, მოლალატე ქმრის გულის გასახეთქად რაიონულ ცენტრში მოუხშირა სიარულს, მოდურად იცვამდა, თმა ახალ ყაიდაზე შეიკრიჭა, წვეულებებს არ აკლდებოდა, არცერთ ახალ სპექტაკლსა და კინოფილმს არ გამოტოვებდა. საოცარი ის იყო, მაინც, ასე თუ ისე, ნორმალურად უვლიდა და პატრონობდა ორივე შვილს, გიოს და მასზე სამი წლით უმცროს თალიკოს, კიდეც ეხურათ და კიდეც ეცვათ ბავშვებს, არ შიოდათ და არ სწყუროდათ... ოლონდ ეგაა, სკოლაში არცერთი არ კრეფდა ციდან ვარსკევლავებს, თუმცა არც მაჩანჩალები იყვნენ... გიო მოწყენილი, გაუცინარი, გულჩათხრობილი ბიჭი იზრდებოდა, ბოლო ორ-სამ წელიწადში ისე შეიცვალა, ახლობლებსაც კი უჭირდათ დაჯერება — ნუთუ ეს არის ის გიო, დილიდან ღამემდე მაგის მოსვენება რომ არ იყოო, ამ წამში გვერდით რომ გჯდომდა, მეორე წამში სოფლის ბოლოში ამოკუოფდათ თავს, ხის ძირში რომ დაგესვა, თვალის დახამხამებას ეერ მოასწრებდი, იმ ხეს კენწეროში მოექცეოდაო...



შარშან დარო მამიდამ კატეგორიულად დასველზემოვნება
გიო ქალაქში უნდა გამატანოთო. თავისი მოსაზრება სამი არ-
გუმენტით დაასაბუთა: 1. თქვენთვის ასე ჯობს, ნაკლები საწ-
რუნვავი გექნებათ, ჩხუბისთვის მეტი დრო დაგრჩებათ და თუ-
ნდაც ერთმანეთი დაგიჭიათოთ; 2. გიოსთვისაც ასე ჯობს,
მშვიდ გარემოში იცხოვრებს, მშვიდად ისწავლის, თქვენ კი კი-
სერიმც გიტეხიათო; 3. ჩემთვისაც ასე ჯობს, შინაბერა ვარ,
გიოს ვიშვილებ, რაცა მაქვს მისი იქნება, თქვენ კი თუნდაც
წყალში გადაცვენილხართო.

საოცარი ძალა და წონა აქვს დარო მამიდას ნათქვამს.
რასაც იტყვის, მორჩა, კანონია, იმას დასტური და ბეჭდის და-
სმა აღარ სჭირდება.

ჰოდა, აპა, ერთი შელი გავიდა უკვე, რაც გიო თბილისშია
და მამიდასთან ცხოვრობს.

იანვარში, ნაახალწლევს, ჩამოაკითხეს დედამ, მამამ და
თალიკომ. ცივი იყო შეხვედრა. დასაც კი ვერ მიეთბო გიო...
მერე, რომ გაემგზავრნენ, ისე შეეცოდა ფერმქრთალი და კა-
ფანდარა თალიკო, ისე, რომ თვალები ცრემლით აევსო... მაგ-
რამ უკან ხომ ვერ გამოეკიდებოდა.

ზაფხული დადგა თუ არა, დარო მამიდამ პირდაპირ დაუს-
ვა კითხვა — გინდა სოფელში წასვლაო? გიოს ხმა არ ამოუ-
ლია, მარტო თავი გააქნია უარის ჩიშნად. მაშინ არც მე წა-
ვალ, მარტო არ დაგროვებო, — დააიმედა მამიდამ.

...არ წავალო და აპა, მაინც წასულა. კი მაგრამ, რა საქმე
გამოუჩნდა ასე მოულოდნელად? თან როდის იყო, სიტყვას
ტეხდა დარო მამიდა?..

წასვლა — ეგ კიდევ არაფერი... საოცარი ისაა, ამ უცხო
ბინაში საიდან გაჩნდა? მძინარეს ვერ გადმოიყვანდნენ — ფხი-
ზელი ძილი იცის და უთუოდ გაეღვიძებოდა; ანკი რა აუცი-
ლებელი იყო ვითომ მძინარის გადასვენება? ეტყოდნენ და თა-
ვისი ფეხით წამოვიდოდა.

არადა, რა ნათლად ახსოეს, გუშინ საღამოს, ბანაობით შე-

ხურებული, სიამოვნებით რომ ვაეხვია გრილ ზეწარში .. ცისამიმდევრობა
გუშინ?..

იქნებ ეს გუშინ კი არა, სამი, ხუთი, ათი დღის, იქნებ ასი
აღის წინათაც იყო?.. იქნებ მძიმე სხეულებამ დიდი ხნით გაა-
კრა ლოგის, იქნებ მთელი ეს დრო ვონს არ მოსულა, ამასო-
დაში დარო მამიდამ ახალი ბინა მიიღო და...

კი მაგრამ, თუ ახალი ბინის მიღებას ელოდა, ერთხელ
შაინც რატომ არ ახსენა ეს თავის ძმისწულთან?

ან კიდევ: ავადმყოფი, კერაც გონებამიხდილი ბიჭი ვი-
თომ ასე მარტოდ-შარტო, თავისანაბარა შიატოვა და თვითონ
კი არხეინად გაუტია სოფლისაკენ?

არა და არა! დარო მამიდა არაა ასეთი საქმის ჩამდენი ქა-
ლი! ვერ გაიმეტებდა ასე უღმერთოდ საყვარელ ძმისწულს...

სარკეს წაწყდა მზერით. ნაცნობმა სახემ შემოხედა: მა-
ღალი შუბლი, ფიქრიანი თვალები, კეხიანი ცხვირი, ოდნავ
წინწამოწვდილი ნიკაპი... სარკეში საკუთარ ანარეკლს თუ ხე-
ლავ, ცხადში ყოფილხარო, — გაუგონია ბებიასაგან. მაშასადა-
შე, ყველაფერი ეს სინამდვილეში ხდება.

კართან შეჩერდა, საკეტი შეათვალიერა. პირველად ხედა-
ვდა ახეთ საკეტს, მაგრამ ალბათ არ გაუჭირდებოდა მისი გა-
ღება. „მალე მაინც მოვიდოდეს ის ძია ნოშევანი...“ კარის
შუაში, თითქმის თავისი თვალების დონეზე, მრგვალი ხვრელი
შენიშნა, შიგ მინა იყო ჩასმული. ახლოს მივიდა და გაიკვრი-
ტა. საჭვრეტში კიბის მოედანი, აგრეთვე მოპირდაპირე ბინისა
და ხელმარცხნივ მდებარე ბინის კარები მოჩანდა — ოდნავ
დეფორმირებული, მრუდე სარკეში დანახულივით. მხრები აი-
წურა და გამობრუნდა. ნელი ნაბიჯით გაიარა ოთახი. ფანჯა-
რასთან მივიდა, გააღო და გადაიხედა. სიმაღლემ ისევ შეაკრთო
ერთი წამით (ამ სიმაღლეს სხვა ელდა ჰქონდა, თორემ რამდენ-
ხერ მოქცევია კენწეროში ამსიმაღლე ხეებს!), მაგრამ სწრაფა-
დვე გაუარა თავბრუხევევამ.

ეზოს შეთვალიერება ხეირიანად ვერც კი მოასწრო, რომ
ზარის წკრიალი შემოესმა. გვიან იაზრა, წკრიალი ოთახში ის-

მისო. კარს მიაშურა, ფრთხილად მიუახლოვდა და საჭიროებული გაიხედა. მოულოდნელობისაგან კინალამ შეჰყვირა ცავირგებული ძაღლის ძაღლის მახინჯი, თვალებდაჲყეტილი, ცხვირგაბუშტული და ტუჩებამობრუნებული, ნესვივით წაგრძელებული თავ-პირი მეორე მხრიდან თითქმის ზედ მობჯენოდა კარს. წელან დანახული კიბის მოედნის სურათი გაახსენდა და მიხვდა — როგორც ჩანს, გამოსახულებას ასე ძლიერ საჭირეტის ლინზა ამახინჯებსო ერთხანს ჩუმარ აკვირდებოდა სტუმარს, ისე, რომ საკუთს არ შეხებია. კაცი მცირე ხანს იდგა, აქეთ-იქით იხედებოდა, საჭირეტს თითქოს განგებ არიდებდა თვალს (გიომ იგუმანა, გარედან შიგნით, ალბათ, შეუძლებელია რამეს დანახვა, ასე რომ არ იყოს, საჭირეტის დაყენება უაზრობა იქნებოდაო). მერე ხელი ასწია და როგორც ჩანს, რაღაცას თითი დააჭირა. პირდაპირ გიოს თავზემოთ ისევ დაიწერიალა ზარმა. „ეს, ალბათ, ძია ნოშრევანია“, — დაასკვნა გიომ გონებაში და საკუტი ბერეტი გადასწია.

— ყავა ოლარა გვაქვს?

რეზომ კარგად იცოდა, რომ ყავა ორი დღის წინ გაუთავდათ. ისე, ყასიდად იყითხა.

— აყი გუშინაც მოგაგონე, — ყველრებით უთხრა ლენოჩამ და თვალები მოჰუტა. — მაგრამ შენ ცხრაჭერ უნდა გითხრას კაცმა, რომ ერთხელ გააკეთო რამე!

— მე ყველაფერს ასხერ ვზომავ და ერთხელ ვჭრი ხოლმე, — ჩაიფრუტუნა რეზომ. — ვხუმრობ, ლენოჩა, ვლებულობ შენიშვნას... აუ, სიგიურდე მინდა ყავა, ამის ღმერთი არ იყოს... გავალ ახლა და აგერ, ჩვენს ექიმს გამოვართმევ ერთ მუჭას. ხვალ ვიყიდი და დავუბრუნებ.

ლენოჩამ სიგარეტი საფერფლებე დაგდო და ტელევიზორი ჩართო. — „დილის ფოსტა“ იწყებოდა.

— შენ იცი... ისე, ფინჯან ყავას ახლა მეც სიამოვნებით
შევსვამდი.

— შით უმეტეს, თუ მე მოგიმზადებ, არა? ომ, შე წარ-
დარო გოგო, შეხა! ძალიას გამიზარმაცდი იმ ბოლო ხახს...

რეზომ ერთხელ დარეკა გიორგი ჩინარიძის ბინის ზარი და
შეიცადა. იგრძნო (კი არ გაიგონა, სწორედ იგრძნო!), რომ კარ-
თან ვიღიაც მოვიდა. რეზომ თავს ძალა დაატანა და საჭირეტს
თვალი აარიდა, ჯერ კიბეს მოავლო შეერა, მერე დახრუქული
ასათის ღეროებით შეჯაგრული ჭერი შეათვალიერა. ბოლოს
ხელი ასწია და მეორედ დარეკა.

საკეტმა გაიტაცუნა და კარი ნელა გაიღო. რეზოს გაკვი-
რვებისაგან თვალები გაუფართოვდა: ზღურბლზე სავსებით
უცნობი ბიჭი იდგა. ასე, თხუთმეტიოდე წლისა იქნებოდა.
თვალი და ტასადი ყავილი იყო, უხდებოდა მუქ-ლურჯი,
თეთრკანტჩაყოლებული სპორტული კოსტიუმი და ახალთახა-
ლი კოემისფერი ბოტასები.

— გამარჯობა! — მხიარულად გაულიმა რეზომ.

— გამარჯობათ, — ხმადაბლა შიუგო ბიჭმა და კარი უფ-
რო ფართოდ გააღო. — მობრძანდით.

— აჲ, არა, შიგ არა! — ხელები გაასავსავა რეზომ. — ბა-
ტონი გიორგი თუ ბრძანდება შინ?

ბიჭმა წარბები შეჰყაო, შუბლი, შეიჭმუხნა.

— ვინ? — უკან მიიხედა, ვითომ იქ მდგარიყოს ვინმე.

— ბატონი გიორგი-მეთქი... იცი, რა, შენ ალბათ სტუმარი
ხარ, ამიტომაც არ ვიცნობთ ერთმანეთს. ჩვენ მეზობლები
ვართ, აქვე, გვერდით, ერთოთახიანში ვცხოვრობთ, საერთო
ერდელი გვაქვს. მე და ლენოჩკას ყავა გაგვითავდა და ვიფიქრე,
პატივცემულ ექიმს შევაწუხებ-მეთქი. კი მერიდება, მაგრამ...

ბიჭმა მხრები აიწურა.

— ვინ ექიმს, რომელ ექიმს? აქ ექიმს რა უნდა? აქ მე და
მამიდაჩემი ვცხოვრობთ!

— შენ და მამიღაშენი?

— ღიას. მე და დარო მამიდა.

რეზოს სახეზე ნელ-ნელა ჩაქრა ღიმილი.

— კი მაგრამ... — თითქმის დამარცვლით თქვა და თითო კარზე მიკრულ ოქროსფერ პარალელოგრამს შეიხო. — აი, აქ ხომ გარკვევით წერია, „ექიმი გიორგი ჩინარიძეო“.. ამას რაღა ვუყოთ? ასე რომ... თუ შეხუმრები, მითხარი პირდაპირ.

შიგმა თავი მიაბრუნა და ძეგრა წარწერას მიაყინა. კარგა ხანს იდგა ასე, ოქროსფერ პარალელოგრამზე თვალმიწრერუბული.

— არ ვიცი, ბიძია... — სიზმარში მყოფივით თქვა ბოლოს. — გიორგი ჩინაოძე მე ვარ...

— შეენ?

— დიახ. უფრო სწორად, გიო ვარ, ჩინარიძე. — ბიჭმა რეზოსკენ მოაბრუნა თავი. — თქვენ კი... მე მეგონა, თქვენ ძია ნორჩევანი იყავით...

რეზომ დაკირვებით შეხედა ბიჭს სახეში და უცებ ისეთი რამ შენიშნა, მის ადგილს ვინწე სუსტ ნებისყოფიანი კაცი რომ ყოფილიყო, გაოცების შეძახილისაგან თავს ვერ შეიყავებდა: ძარჯვენა ლოყაზე ყვრიმალის ძვალს ქვემოთ, ბიჭს გოჭის სიგრძე ნაჭრილობევი აჩნდა.

რეზომ ნაბიჯით უკან დაიხია.

— ჰოო, კარგი აბა... — ნაძალადევად გაუღიმა გიოს. — შენ... თქვენ ხუ გეშინიათ, მალე ყველაფერი გაირკვევა ალბათ. — კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი უკან. — რა გიერყობა, გავძლებთ ფინჯანი ყავის გარეშე... აბა, ჯერჯერობით! — ბიჭს ხელი დაუქნია და ლეხოჩქას ბინის კარი შეაღო.

გიო ცოტა ხანს დაფიქრებული იდგა ზღურბლზე, მერე კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ოქროსფერ პარალელოგრამს და იმანაც შეიხურა კარი.

იმ წამსვე კიბის მოედანზე თავპირის მტკრევით გამოვარდა რეზო ლალიაშვილი. ლიფტის ნათურა წითლად ენთო, კაბინა დაკავებული იყო. რეზომ მხრებზე წამოსხმული პიჯაპის კალთა მუქში მოიქცია და კიბეზე დაეშვა. ციდა კალაულატორი თითქმის არ ამიმებდა პიჯაპს.

სადარბაზოს შემოსასვლელში ორ უცხო მამაკაცს შეეფე
თა. გვერდი აუქცია, ათიოდე საფეხურიც ჩაირბინა და საცეკვების და
ფის რკინის კარი შეაკრიალა. არ შეუნიშნავს, ერთმა უცნობთა-
განმა, შედარებით ტანძორჩილი რომელიც იყო, ჩუმი მზერა
რომ გააღვენა.

©

ნოშრევანმა თითი მეშვიდე სართულის ღილაკს მიაღო და
ვიდრე დაჭერდა, სანახევროდ შებრუნდა კაბინაში შემოსული
უცნობი მამაკაცისაკენ:

— თქვენ რომელი სართული გნებავთ?

— მეც მეშვიდეზე მივდივარ, ბატონო ჩემო.

კაბინის კარი ხრივინით დაიხურა.

სადღაც შორს, ზემოთ, უჩინარი ძრავა ჩაირთო და ლიფ-
ტის კაბინაც მაშინვე ამოძრავდა.

— მაპატიეთ, — უცნობი მსუბუქად შეეხო იდაყვზე ნოშ-
რევანს. — თქვენ ვისთან მიბრძანდებით?.. თუ, რა თქმა უნდა,
საიდუმლო არ არის...

— ნოშრევან მარიბიას გაკვირვება არ დაუმალავს.

— კი მაგრამ... — თუმცა მაშინვე თავი შეიქავა და თანა-
მგზავრისკენ შეტრიალდა. — ექიმ გიორგი ჩინარიძესთან მივ-
დივარ.

— როგორი დამთხვევაა, ერთი გზა გვქონია! ისევ პატიე-
ბას გთხოვთ: პაციენტი ბრძანდებით თუ ნათესავი?

— არც ერთი და არც მეორე. — მიუხედავად თავშექა-
ვებისა, ნოშრევანის ხმას მაინც დაეტყო გაღიზიანება.—თქვენ
თავად ვინ ბრძანდებით? ან რატომ დაინტერესდით ასე?

— რატომ? — მოულოდნელად უცნობმა თითი მიაჭირა
წითელ ღილაკს, რომელსაც „სდექ“ ეწერა. კაბინა სადღაც მე-
ხუთე და მეექვსე სართულებს შორის შეჩერდა. — ნუ ღე-
ლავთ, ნუ მიგავრდებით და ყურადღებით მომისმინეთ. — უც-
ნობი ხმაღაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა. ჯიბიდან

პატარა წითელყდიანი წიგნაკი ამოილო და ნოშრევანს დაახლოება.
ცოტა შეიცადა და როცა მიხედა, ჩემმა თანამგზავრმა წერულმა
წაიკითხაო, მოწმობა უკანვე გულის ჭიბეში შეინახავას მც
ვიცი, რომ მწერალი ნოშრევან მარიხია ბრძანდებით, ისიც ვი-
ცი, რომ თქვენ და ექიმი ჩინარიძე დიდი ხნის მეგობრები
ხართ. ცოტა რამ შისი მეცნიერული ქვლევის მიზანზედაც მსმე-
ნია, ვიმეორებ — ცოტა რამ. მაგრამ ეს არ კმარა, აუცილებე-
ლია ვიცოდეთ ყველაფერი. ამიტომ, ბატონო ნოშრევან, ვიდრე
იტლიფტე მოვიდოდეს და აქედან დაგვიხსნიდეს, — უცნობძა-
მოკლედ ჩაიცინა, — გთხოვთ ორიოდე სიტყვით მიამბოთ, რა
იცით ექიმის ბოლოდროინდელი ექსპერიმენტების შესახებ.

ნოშრევანმა საათს დახედა.

— თქვენი სახელი? — მანაც თითქმის ჩურჩულით ჰკითხა
თანამგზავრს.

— ირაკლი დამიძახეთ.

— ირაკლი ბატონო, მინდა იცოდეთ, რომ მე ძალიან მეჩ-
ქარება, რადგან ნახევარი საათის წინ გიორგი ჩინარიძის ბინი-
დან დამირეკა ბავშვმა, რომელმაც საკუთარ თავს გიო ჩინარი-
ძე უწოდა, და მთხოვა სასწრაფოდ მივსულიყავი მასთან. —
მთელი წინადაღება ნოშრევანმა თითქმის სულმოუთქმელად
დაიჩურჩულა. — საქმარისია თქვენთვის ეს ინფორმაცია, ბა-
ტონო ირაკლი?

— რას ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს ეს გიო ჩინარიძე, ბა-
ტონო ნოშრევან?

„ალო, ალო, რომელი ხართ მანდ, რა დაგემართათ; გაიჭე-
დეთ?“ — მოისმა უცებ მელიფტე ქალის ხმა.

— გავიჭედეთ, ქალბატონო, გავიჭედეთ! — ხმას აუწია
ირაკლიმ.

„სხვადასხვა ლილაკებს დააჭირეთ თითო რიგ-რიგობით,
იქნებ ამოძრავდეს კაბინა!“

— ვსინჯეთ, ქალბატონო, და არაფერი გამოდის. მოგვი-
შველეთ, თორემ დავიხუთეთ! — თავი მოისაწყლა ირაკლიმ,
„ჰო, კარგი, დაიცადეთ, მოვალ... გააჭირეს, რა, საქმე!..“

— კეთილი, ქალბატონო, დაგიცდით. — ირაკლიმ დაუწია ხმას. — რას იტყვით, ბატონო ნოშრევან? — ნოშრევან მარიხიამ მხრები აიჩეჩა. — შემატყობინეს, რომ ექიმს ჩემს სახელზე წერილი დაუტოვებია, დაღუძული კონვერტი.

— პო-ო?

— დიახ. მე ასე მგონია, ჩინარიძის ექსპერიმენტი წარმატებით უნდა იყოს დაგვირგვინებული. ყველაფერს ალბათ იმ წერილით შევიტყობთ.

მვევით ვიღაცამ ლიფტის კარზე დააბრახუნა.

— თუ ეს მართლაც ასეა, მე და თქვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ბავშვს მძიმე და გამოუსწორებელი ტრავემა არ მივაყენოთ. — ირაკლი წამით ჩაფიქრდა. — მოდით, ასე მოვიქცეთ: ერთად ვესტუმროთ გიოს. ბიჭს, თუ საჭიროდ ჩათვლით, თქვენ გაესაუბრეთ, წერილიც წაიკითხეთ და, საერთოდ, თქვენი შეხედულებისამებრ იმოქმედეთ. მე, თუ აუცილებლობამ არ მოითხოვა, არაფერში ჩაგერევით. მოვნახავ რამე გასართობს, ბოლოსდაბოლოს, სურათების ალბომი ხომ ექნებათ ამ ოჯახში? რას იტყვით. თანახმა ხართ?

— კეთილი, — თავი დაუქნია ნოშრევანმა, — ოღონდ, ლვთის გულისათვის, ვიჩქაროთ. არ მინდა, რომ ბავშვი დიდნანს დარჩეს მარტოდმარტო საკუთარ თავთან.

— მაშინ, რაკი ასეა, წავედით! — ირაკლიმ ხელი ასწია და მკვეთრად მიაჭირა თითო მეშვიდე სართულის ღილაკს.

— მობრძანდით! — გიომ კარი ბოლომდე გააღო და სტუმრები ფართო უესტით შეიპატიჟა ოთახში.

— გამარჯობა, გიო! მე ძია ნოშრევანი ვარ. ეს კი ირაკლია, ჩემი მეგობარი.

— მობრძანდით, — გაიმეორა ვიომ.

ნოშრევანმა ჯერ ირაკლი გაატარა, მერე თვითონ გადააბიჯა ზღურბლს. გიოს რომ გაუსწორდა, მხარზე მსუბუქად ჩამოადონ ხელი. ბიჭმა ფიქრიანი მზერით ამოხედა. და თუმცა ნოშრევან მარიხია ამ შეხვედრისათვის, ასე თუ ისე, შემზადებული

იყო, უცებ ხახა გაუშრა და ქბილი ებილს დააჭირა: მარჯვენა
ლოყანე, ყვრიმალის ძვალს ქვემოთ, ბიჭს გოჭის სიგრძეულზე
რევი აჩნდა...

ერთი გედიერი შანსი...

გიორგი ნოშრევანის ქბილა იყო. ერთმანეთი სტუდენტო-
ბისს გაიცნეს, ორპიცდაათიანი წლების მიწურულში.

შეა ოქტომბერი იდგა. ეს დრო, თუ მაინცდამაინც გაზაფ-
ხულზე არა ხარ შეყვარებული, წლის ულამაზესი დროა თბი-
ლისში, მშვიდი, ილერსიანი, ხავერდოვანი. ნოშრევანი და ფა-
ტი იმ საღაძოს ერთად გამოვიდხენ ლიტერატურული წრის
სტდომიდან, რუსთაველის შოედხაბდე ერთი გზა ჰქონდათ (ნო-
შრევანი ბესიეს ქუჩაზე ცხოვრობდა, ფატი — ძამოზე, მარჯა-
ნიშვილის სახელობის თეატრის სიახლოეს) და ფეხით აუყ-
ვნენ მელიქიშვილის ქუჩას. ფატი ერთი სიფრიფანა გოგო იყო,
ისეთი ბროწეულის ყვავილის ფერი ტუჩები ჰქონდა, ისეთი
ბრიალა კესანესფერი თვალები და სალუქი ცხვირი, თან ისეთი
თვალისმომგრელი ღიმილი იცოდა, შეხედავდი და გულში დაი-
კვესებდი — ღმერთო, ათი სიცოცხლე მოშეცი და ათივე ამის
უურებაში დამახარჯვინეთ. „ბედი რომ მქონოდა, შენს ნათესა-
ვად არ გავჩნდებოდიო“, — ხუმრობით ამოიოხრებდა ხოლმე
ხოშრევანი (გარე ბიძაშვილებად ერგებოდნენ ერთმანეთს) და
ლოყაზე ეამბორებოდა, ფრთხილად, სულ ოდნავ შეახებდა ბა-
გეებს — თითქოს ღვთისმშობლის ხატს კოცნისო. „პირიქით,
— ჩაიცისკისებდა ფატი, — ბედი შენი, ნათესავები რომ ვართ.
თორემ საგუეთის საგზური გამოწერილი გქონდაო...“

რუსთაველის ძეგლს რომ მიუახლოვდნენ, დღე მთლად
დაილია და ქუჩაში ლამპიონები აინთო.

— წამო, მიმაცილე ბარემ სახლამდე, — მკლავში ჩაეჭი-
და ნოშრევანს ფატი. — რა უნდა აკეთო მარტომ ანლა შენს
ბუნაგში? ნახე, რა საღამოა, მომაჯვდავს შემოაბრუნებს საა-
ქაოსკენ. წამო, რა!

ვაჟს გაეცინა.

- გაძმტყდი, ხილზე გადასვლის გეშინია, ხომ?
- მეშინია კი არა... რის უნდა მეშინოდეს? უბრალოდ, მიხარია, ჩემს გვერდით რომ ხარ.

ნოშრევანმა სიყვარულით მოხვია მხარზე ხელი.

ელბაქიძის დაღმართზე კანტიქუნტად ჩანდნენ გამვლელები. ქალ-ვაჟი აუქეპებელი ნაბიჯით დაუყვა მარცხენა ტროტუარს. ფატი მოსწავლეობისდროინდელ სასაცილო ამბებს ისსენედა და ეისკისებდა. ნოშრევანს გოგონას მხრებიდან ხელი არ ჩამოუღია, თითქმის ჩახუტებული მიჰყვებოდა და მისი ხმის მუსიკით ტკბებოდა. რა მშვენიერი საღამო იყო...

ქვემოდან აღმართში ოთხი შეზარხოშებული ბიჭი ამოდიოდა. ნოშრევანს გულში ცუდი არაფერი გაუვლია, მან კარგად იცოდა ძევლისძევლი თბილისური კაცურკაცური ადათ-წესი: გოგო, თუკი ის ბიჭს ახლავს, ხელშეუხებელია, მას არამცუ ხმა არ უნდა გასცეს, სახეზეც კი არ უნდა უხედო „სხვანაირად“. თვალიც კი არ უნდა გააყოლო ჩავლილს. ამიტომ წამით გაოგნდა კიდეც, როცა ხელიხელგადახვეულმა მთვრალებმა ქალ-ვაჟს ტროტუარი გადაუკეტეს და ლირფად შესცინეს პირში.

- გოგნი-გოგნი გოგონა და... — წამოიწყო ერთმა.
- ცაანგალა გოგონა და... — მხარი აუბეს სხვებმა.
- ფატი და ნოშრევანი შექერდნენ.

— გაუშვი, რა მაგრა ჩასჭიდებიხარ, დაკარგვისა ხო არ გეშინია? — გაიღრიჭა შავტუხა გრუზა ბიჭი. ისე, კარგი ნაჭერი კია, აი, ჩემმა მზემ! რო რამე იყოს, რამდენად დაგვიფასებ, ა, ძმაყაც?

ნოშრევანმა მართლაც ჩამოიღო მარცხენა ხელი ქალიშვილის მხრიდან, მარჯვენა კი მოყლედ მოიქნია და ცხვირში სთხლიშა ავყია ლრეჭიას. ბიჭი წაბარბაცდა და ამხანაგებს ხელი რომ არ შეეშველებინათ, ტროტუარზე გაიშლებოდა.

ანაზდად, თვალის დახამხამებაში აირია მონასტერი. ვიღაცამ ფატი გვერდზე მიაგდო. გოგონა ბეტონის გედელს მიეხე-

თქა და კინაღამ იქვე ჩაიყეცა. მთერალები ნოშრევანში ჭრილები ვიცნენ. უახლოესი ლამპიონი გადამწვარი იყო, ფართოდ გადა-
ულილი ჭადრის ხშირი ტოტები კიდევ უფრო აბნელებდა
იქაურობას, მაგრამ ნოშრევანის კვართი თეთრად კიაფობდა და
მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდა გამერებით მოქნეული მუ-
შტებისათვის.

ფატიმ ხმადაბლა შეჰკივლა. სწრაფად მიმოატარა მშერა.
ახლომახლო არავინ ჩანდა, რომ საშველად მოეხმო. უნებურად
თავის პაწია ხუსტი ხელებზე დაიხედა. აბა, რა შეეძლო... უცებ
გაახსენდა, წელან, „სამაიას“ სკვერს რომ ჩამოუარეს, ჭადრის
ხორჯლიანი ტოტის მონატეხი დაინახა ბალახიან ფერდობზე.
წმიც აღარ დაუყოვნებია, შებრუნდა და უხმოდ გაიქცა ალ-
მართში. ოცდაათიოდე ნაბიჯიც არ გაევლო, ვიღაცამ ქარივით
ჩაურბინა გვერდით. ყურადლება არ მიუქცევია, ქოშინით გა-
ნაგრძო გზა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ მაინც არ შე-
უნელებია სირბილი. იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, თვალები
დაცეცა. „სადღაც აქ იყო... — აქეთ-იქით აწყდებოდა ფიქ-
რით.—თუ ცოტა იქით, მოსახვევში.. სად ჯანდაბაში დაიკარ-
გა!.. მოკლავენ.. აი, აგერ ყოფილა!.. დამაცადეთ მე თქვენ!..“

ჭოხს ხელი დაავლო, ფიცხლად შემოტრიალდა და თავქვე
დაეშვა. ორ-სამჯერ წაიფორხილა, ძლივს შეიმაგრა თავი. რო-
გორც იქნა, გალია დაღმართი. ჩაბნელებული ლამპიონის ქვეშ
ისევ ისმოდა ქშენა, ხმადაბალი ლანძღვა-გინება და ყრუ ხთქა-
ხუთქი. თეთრევართიანი ტარაბუასავით ტრიალებდა, ბევრი
ხვდებოდა, მაგრამ თვითონაც ბარაქიანად უბრუნებდა ხურ-
დას. ერთერთი თავდამსხმელი ჭადრის ტანს მიყრდნობოდა
მხრით, წელში მოხრილს მუცელი ხელებით ეჭირა და, ეტყო-
ბოდა, სულს ძლივს იბრუნებდა. ფატიმ მიირბინა თუ არა,
სწორედ იმ წამს ერთი მოჩხუბართაგანი მუთაქესავით გავორ-
და ქვაფენილზე. გოგონამ კეტი შემართა, უახლოეს მომხდურს
ბეჭებში უთავაზა და ააღრიალა. მაშინვე მოუნაცვლა და რომ
დაინახა, გარბისო, ახლა მეორეს გადაუშეუილა მთელი ძალით.
ჭოხი კარგა მძიმე იყო, ფატისაც გაათკეცებოდა ლონე. დარტ-

ყმას ისევ ღრიალი მოჰყვა. გოგონამ კბილს კბილი და კურიავდა, ისევ მოიწნია თავისი ხელებტი, მაგრამ ვიდრე დაჲკრავდა, ნოშრევანმა ერთი ისეთი ამოსცხო ნიკაპში თავის მოპირდაპირეს, რომ ისიც კვახივით დააგორა. ახლა ნოშრევანის გვერდით კიდევ ერთი უცხო იდგა და მოქნეული ხელებტი ფატიმ სწორედ იმას უსწორა. უცხომ ხელი იფარა, მაგრამ მაგრად მოქნეული ჯოხი ვერ შეაყავა, „უჰ-ო!“ — შესძახა და ჩაიქეცა.

— შეეშვი! — ამოიხრიალა ნოშრევანმა. — რას შვრები, შეეშვი... ამ ბიჭს... მეხმარებოდა.,.

ოთხივე მთვრალი (ალბათ საკმაოდ შეფნიზლებული) უკანმოუხედავად გარბოდა თავქვე. მეხუთე კი... „საიდან გაჩნდა ეს აქ?..“ მეხუთე ქვაფენილზე იჯდა და სახეზე ხელი მიეკირა, გახეთქილი ლოყიდან სისხლი სდიოდა. „აკი ოთხი იყვნენ?!.“

— ეს... შენ გეხმარებოდა?

— ვა.

— რატომ?..

ფატიმ კეტი გადააგდო, მჯდომარის წინ ჩაიჩოქა და ცხვირი ლამის ცხვირთან მიუტანა.

— მართლა ეხმარებოდი?

იმან თავი დაუქნია და გაუღიმა.

— ნაცნობია? — არ ეშვებოდა ფატი, თან თვალს არ აშორებდა. — ძმაყაცია?

— არა... ფატი... შენ ფატი ხარ?

— ფატი ვარ... — გაუკვირდა ქალიშვილს. — მიცნობ? საიდან?

— რამდენი ხანია... ბავშვობიდან... — ბიჭს ჯერაც არ დაწყნარებოდა სუნთქვა. — შენ არ გახსოვარ?

— მეხუმრები? კარგი ერთი... ეს მითხარი, მართლა მიეჟველე ნოშრევანს? თუ...

იმან ისევ გაუღიმა.

— მაღლობის მაგიერია? — ისე მხიარულად უთხრა, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს.



ფატიმ ისე მიუახლოვა სახე, რომ ბიჭის სუნთქმა და გადასაცემა თითქოს თბილმა სიომ დაუქროლაო. უცებ მისი მოთინათინე თვალები დაინახა. გაუკვირდა — თურმე არცთუ ისე ბნელო და ჭადრის ქვეშ.

— ეჭ, მართალი უთქვამთ: მიმშველებელს უშველებელიო, — მძიმედ დააქნია თავი ბიჭმა.

ის ბიჭი გიორგი ჩინარიძე აღმოჩნდა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. კოქრიანი ჭადრის კეტით მიყენებული ჭრილობა გაუღიზიანდა და კარგახანს არ მოშუშებია, ხოლო როცა, ბოლოსდაბოლოს, შეუხორცდა, თვალშისაცემ ნაიარევად დააჩნდა. მაგრამ მომავალ ექიმს ნამეტნავად არც ის ჭრილობა აწუხებდა და არც ნაიარევი აღარდებდა, წამითაც კი არ უნანია, ელბაქიძის დაღმართხე უთანასწორო ჩხეუბში ჩათრეულ სრულიად უცნობ ჭაბუქს რომ მიეშველა... იმ ღირსსახსოვარ საღამოს ხომ მან ორი უახლოესი და უერთგულესი მეგობარი შეიძინა...



ამ ამბიდან სამიოდე თვე იქნებოდა გასული, როცა ნოშრევანი ინსტიტუტთან დაუხვდა გიორგის.

მძიმე, შავი ღრუბლებით დატვირთული დღე იყო. ნოშრევანსაც საავდროდ შექმუხნოდა შუბლი.

— იცი, რას გეტყვი, — რაღაცნაირი მოგუდული ხმით უთხრა, — ფატის არც მამა ჰყავს და არც ძმა, დედის შემდეგ შე ვარ მისი ყველაზე უფრო ახლო ნათესავი და ღვიძლ დასავით მიყვარს. გაიგე? ამიტომ მაგ გოგოს არავის დავაჩაგვრინებ, გინდ შენ იყავი და გინდ ალექსანდრე მაკედონელი, სულერთია ჩემთვის, გაიგე? ესეც არ იყოს, იცი, როგორი გული აქვს და რა ფაქიზი სულის პატრონია? ყველა კი ვერ გაუგებს. — ნოშრევანი კიდევ უფრო მეტად მოიღუშა. — ბედი შენი, რომ ნათესავები ვართ, თორემ საქუთარ იდავყვს უფრო აღვილად მისწვდებოდი კბილებით, ვიდრე მაგ გოგოს... ხომ



გამიგე, რისი თქმაც მინდა?.. პოდა, — წინ გადაუდგა, თუ არ უშენებელია, ბში ჩატედა და მხრებზე ხელები ჩამოაწყო, — თუ არ ჭირდა, ჩვენი ძმობა წაიშალოს, მაგ გოგოს არ შიშუენინო, უბრალოდ და უმიზეზოდ გული არ ატკინო და სიმწარე არ ანახო, გეს-მის? ა, გესმის, თუ არა?!

გიორგიმ უცნაურად გაიღიმა. მეგობარს უყურებდა და ვერ ხედავდა — სადღაც შიორს, ცისფერ და ვარდისფერ ოცნებათა მხარეში ქროდა მისი გონება.

— ვისა, ბიჭო, ფატის?.. ფატის?.. ფატის?.. — სხვა ვეღარაფერი თქვა.

ნოშრევანს უცებ გულზე მოეშვა, გიორგი მიიზიდა, მაგრად ჩაიხუტა და მაშინვე მკვეთრად მოიშორა.

— ჰე, წაღი ახლა. გელოდება.



ბოშამ მხოლოდ ერთი სიტყვა იცოდა ქართული — „მარ-ჩიელი“. გიორგი ცოტა მოშორებით იდგა და უნდო ღიმილით ათვალიერებდა ამ, როგორც ეტყობოდა, ოდესლაც თვალადსა და ტანადს, ახლა კი სახედალარულსა და სიმსუქნეშეპარულ დედაյაცს. ბოშას ფატის ნაზი თითები მარცხენა ხელით ეპყრა, მარჯვენის საჩვენებელ თითს ხელის გულზე უსვამდა და აგზებულ, თვალებგაფართოებულ ქალიშვილს დაბალი, შთამა-გონებელი ხმით ეუბნებოდა წინასწარმეტყველურ ფრაზებს. გიორგის სმენამდე მარტო თითო-ორთლა სიტყვა აღწევდა, მთლიანად მხოლოდ ერთი კითხვა და მისი პასუხი გაიგონა:

— ეგ ვინ არი, შენი ქმარია? — რუსულად ჰქითხა მარჩიელმა.

— არა... ჯერ არა... მაგრამ მალე იქნება, — უპასუხა ფატიმ და სახე წამოენთო.

გიორგის გული შეუჩქროლდა.

— დაიკმაყოფილე ცნობისწადილი? — ღიმილით ჰქითხა ფატის, როცა მკითხავმა მიღებული გასამრჯელო თავისი ფაშ-



ფაშა კაბის სილრმეში ჩაიჩურთა და ახალ კლიენტს გადასცა
— რაო, გითხრა რამე საინტერესო?

ფატიმ ნერვულად ჩიცინა:

— მაგას თუ დაუჭერე, უახლოეს წლებში რაღაც მძიმე
განსაცდელი მელის თურმე. შენს საქმროს უთხარი, გავი-
ფრთხილდესო, დამარიგა. — ფატიმ გიორგის ახედა, მაგრამ
შაშინვე მზერა აარიდა და წელზე ხელი შემოსალტა. — მომ-
ხვიე მხრებზე ხელი შენებურად... ასე მითხრა, ძალზე მძიმე
შშობიარობა გექნებათ, მაგრამ თუ ერთხელ გადარჩი, მერე
ნულარ გეშინიაო...

— მერე, დაუჭერე? — გულიანად, ბეღნიერი კაცის სი-
ცილით გაეცინა ვაჟს.

❸

გიორგის გაგიუებით უყვარდა ბავშვები.

— თვითონ ბავშვი ვიყავი, ჯერ კიდევ პირველ კლასში
დაედიოდი, როცა საკუთარ შვილებზე ვოცნებონდიო, —
უთხრა ერთხელ ფატის.

ფატის შვილოსნობა აუკრძალეს.

— ასიდან მხოლოდ ერთი შახსი არსებობს, ალბათ უფ-
რო ნაკლებიც, რომ მშვიდობიანად იმშობიარებთ, — გააფრთ-
ხილა ექიმმა. ექიმს სერიოზული სახე ჰქონდა. — ასე რომ, ვი-
დრე რამეს გადაწყვეტდეთ, კარგად მოიფიქრეთ და აწონ-და-
წონეთ ყველაფერი. თუ გნებავთ, მე მოველაპარაკები თქვენს
ქმარს. გნებავთ?

ფატიმ უარი უთხრა.

— რაო, ექიმმა? — ჰქითხა გიორგიმ მაღალი სახლის სა-
დარბაზოდან გამოსულ მეულლეს. — რაღაც შეფიქრიანებუ-
ლი მეჩვენები. რაო?

— არაფერი ისეთი, — ნაძალადევად გაუღიმა ქალმა. —
შევიძლია მშვიდად იყოო, დამაიმედა, ასიდან მხოლოდ
ერთი პროცენტისა გეშინოდესო, — შეაბრუნა ექიმის ნათქ-
ვამი.



— ერთისაო? — ჩაეცინა გიორგის. — კაი ჰელის კოლო-
ფი კი ყოფილა ეგ შენი ექიმი! ერთი პროცენტი ზოგადობა
დენაა, მაგით უნდა შეგვაშინონ ვაჟკაცები? ჰიპ! წამო ერთი,
წავიდეთ, გული გავიგრილოთ, ფუნიულიორიდან გადშოვხე-
ლოთ თბილის...»

ბოშა მარჩიელის დავიწყების ფერფლწაყრილი გაფრთხი-
ლება იმ წუთს ერთსაც გაახსენდა და მეორესაც. გიორგიმ ეს
დამთხვევა ბრძანა შემთხვევითობად მიიჩნია და გაჩუმდა, ფა-
ტის კი საღლაც შორს, მკერდის სილრმეში გულის ნაწილი მო-
ეწიწვნა, მაგრამ ახლა არც იმას ამოუღია ხმა... ეჭ, ცხრათვალა
შეე ჩახჩახებდა უსასრულოდ ამაღლებულ თბილისის ცაზე,
ოქროს ჩანჩქერში ბანაობდა ფირუზი და ზურმუხტი, იდუმა-
ლი ალერსით ჩურჩულებდა კოჯრიდან მონაქროლი გრილი
სიო...»

ფატიმ სიმართლე დაუმალა ქმარს, გარისკა და ერთი
წლის შემდეგ მშობიარობას გადაჰყა. ექიმებმა უერც ბავშვი
გადაარჩინეს.

გიორგიმ მოგვიანებით შეიტყო, ფატის თურმე მისი გუ-
ლისთვის რომ შეუგდია საკუთარი სიცოცხლე ბედის სასწო-
რის პინაზე. „ასიდან ერთადერთი ბედნიერი შანსი...“ როგორ
სურდა, გაეხარებინა თავისი გიორგი, იეხდინა მისთვის ბავშ-
ვობისღროინდელი ოცნება, ამან კი, ამან... ოთხმოცდაცხრა-
შეტი კი არა, მართლაც ერთადერთი პროცენტი რომ ყოფი-
ლიყო საფრთხილო და საშიში, მაშინაც კი უნდა აეკრძალა
გიორგის მისთვის რისკზე წასვლა!.. კარგი, ვთქვათ და, მარ-
ჩიელობისა არაფერი სწამს და მკითხავის ნათქვამი არაფრად
ჩაავდო. მაგრამ როცა ფატი ექიმისაგან უგუნებოდ გამოვიდა,
მაშინ რატომ არ დაეჭვდა, თვითონ რატომ არ მივიდა ექიმ-
თან, რატომ არ გამოვითხა ყოველივე, რატომ დაანება, რატომ,
რატომ, რატომ?!

ჭრილობა, ამ ამბავმა გულისგულში რომ დაუტოვა, გაცი-
ლებით უფრო ღრმა და მოურჩენელი გამოდგა, ვიდრე ის, რო-

მელიც ფატიმ კოურიანი კეტით დააჩნია ლოკაზე იმ დროის სამოსაში სოვარ საღამოს.

პიროვანების გადვითილი

— ეშე! შენ, ჩემო ძმაო, სულ მთლად მისტიკაში გადავარდნილხარ! — ნოშრევანს ნალიდ გაყვირვება ეწერა სახეზე. — მართალი გითხრა, სხვისგან რომ გამეგონა, არ დავიჭერებდი!

— მისტიკაში?..

მაგიდაზე ორი ყავის ფინჯანი, შოკოლადის ქანფეტებიანი მომცრო ვაზა და ნაკლული „ენისელი“ იდგა. კონიაკს ნოშრევანმა მოაკლო. გიორგი, რაც საავადმყოფოდან გამოეწერა აგერ უკვე შეორე წელი მიიწურა, სასმელს აღარ ეკარტოდა.

— შისტიკაში? — გაიმეორა გიორგიმ. იგი მაგიდასთან გვერდულად იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და არაფრისმხედველი მწერით ცარიელ კედელს მისჩერებოდა. — შენ მისტიკა უძახე,, მე კი... თავის დროზე იმ კაბაჭრელი მარჩიელის წინასწარმეტყველებას სერიოზულად რომ მოვკიდებოდი, ჩემი ფატი დღეს ცოცხალი მეყოლეობოდა.

— მაინც შენსას ამბობ!

— ასეა...

ფატის სიკვდილის შემდეგ გიორგი ტრანსის მძიმე ფორმით დაავადდა. ამას მერე ჰალუცინაციებიც დაემატა. ნელ-ნელა სასმელებსაც შეეჩერა და მალე ისეთმა დეპრესიამ შეიძყრო, რომ სამსახურზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა (ენდოკრინოლოგიისა და ჰისტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგის მოადგილე იყო და საინტერესო საღისერტაციო თემაზე მუშაობდა). შეგობართა ჭვეფის გადაწყვეტილებით გიორგი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მთელი წელიწადი დაპყო. პირველ ხანებში ისევ აწამებდა ყმაწვილობისდროინდელი მოგონებები, შავი კოშმარები, რომლებიც დაუკითხავად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე შეხსი-



ერების სილტმიდან: მშობლების გაუთავებელი ჩხუბი და მუჭათა პირის მტვრევა; ფერად-ფერადი ყვავილების ზღვაში შემცველებელი ნებული, ბამბის ქულასავით სახეგათეთრებული დაი (ანემიით გარდაცვლილი, თექვსმეტი წლის კალმით ნახატი ანგელოზი); ორმოცი დღის შემდეგ იმავე ოთახში, ერთსა და იმავე ტახტზე გვერდიგვერდ დასვენებული, სანადირო თოფის ტყვიით მცერდშენგრეული დედა და იმავე თოფის მეორე ტყვიით თავისქელააზღიული მამა; საყვარელი მამიდის უკანასკნელი ცრემლიანი მზერა; და ბოლოს — ფატი, სახეზე ღიმილშეყინული ფატი, მისი ცით მოვლენილი, დაუჯერებელი, არაამქვეყნიური სიხარული და ასევე არააღამიანური, მოურჩენელი და მოუთავებელი სატკივარი...

მერე ნელ-ნელა გამკრთალდა ამ ულმერთოდ მტანჯველი, ძარღვებში სისხლის გამყინვაი სურათების კალეიდოსკოპი, თითქოს ნისლის ფარდა გადაეფარაო შორეულ პეიზაჟს. ბოლო ხანებში ყმაწვილობისღროინდელი მოგონებები უკვე ალარ იწვევდნენ აუტანელ ტკივილს, გოორგი თითქოს შეეგუა მათ. შეიძლება იმიტომ, რომ იმ უბედურებათა ჭაჭვში თავად მას არავითარი ბრალი არ მიუძლოდა, რაც მოსახდენი იყო, ყოველრე თავისით მოხდა, მისი ჩარევა ვერაფერს შეაჩერებდა, ვერაფერს შეცვლიდა... რაც შეეხება ფატის... ამ შემთხვევაში იგი უპირატესად საკუთარ თავს აღანაშაულებდა და, ეტყობა, ამ აზრს ვერავითარი შეგონება ველარ შეაცვლევინებდა. არადა, მართლაც, მეითხავისთვის რომ დაეჯერებინა, მართალია, გაუძნელდებოდა კი, მაგრამ მაინც როგორმე შეძლებდა, გადაეთქმევინებინა ფატისთვის შვილის ყოლის გადაწყვეტილება... სადღაც, გულის სილრმეში, თუნდაც შეუცნობლად, მაგრამ წამით მაინც ხომ შეაშფოთა მაშინ ბოშა მარჩიელის ნათქვამმა! ან ექიმთან მისულიყო პეშმარიტების გამოსარცვევად — აյი მაშინაც შეაეჭვა (ისევ გულის სილრმეში, ისევ ერთი წამით!) ფატის ინფორმაციამ!.. მაგრამ არა, მან ორივე შემთხვევაში შეგნებულად ჩაახშო და ჩააქრო მბორგავი ეჭვის ნაპერწყალი — რა მკითხავი, რის მკითხავი, ან ექი-



მი რას მიქვია, წყალსაც წაულია ერთიც და მეორე უსულით უნდოდა, შეიღი, გიორგი ჩინარიძეს! ბავშვობის ოცხების ასრულება სწყუროდა, საკუთარი ძის ან ასულისათვის სურდა თვალისა და ხელის შევლება! და ი, ამ გიორგი ჩინარიძემ — უსულგულო თავკერძამ და უსინდისო ეჩოკაცმა — თვეისი სიხარულის გულისათვის სიცოცხლე წაართვა ფატის — საყვარელი შეუღლის სიხარულზე მეოცნებე ანგელოზს.

ფატი...

როგორ იცნო იმ საღამოს ჭადრის ჩრდილში მის წინაშე დაჩიქილი, თავისივე უნებლივ სისასტიკით შეწუხებული ქალიშვილი... არა, არ უცრუვნია მაშინ: მართლაც დიდი ხნის წინათ (არც კი ასსოვს, როდიდან, იქნებ დედის საშოდანვე?) გაჩნდა მის წარმოდგენაში კაფანდარა, პაეროვანი, ლაინის-ფერთვალება გოგის ხატება, რომელსაც იმთავითვე ფატი დაარქვა. იყო რაღაც ფატალური ყოველივე ამაში... თუმცა ახლა ფიქრობს ასე, თორემ იმხანად როდი ჩაღრმავებია მათი შეხვედრის უცნაურობას, სად ეცალა საამისოდ, სახეზე ლიმილდა-ფენილი ლაღად მიცურავდა ბეღნიერების მზით განათებულ უკიდეგანო ოკეანეში...

— ჰო, მაინც ჩემსას ვამბობ და ვრტყვი ეიდეც, — ჭიუტად (მშვიდი, თავის სიმართლეში მტკიცედ დაჯერებული კაცის სიჭიუტით) გაიმეორა გიორგიმ.

ნოშრეებანმა „ენისელი“ დაისხა, იღნავ შეახო ტუჩები ქარვისფერ სითხეს. ჭიქა მაგიდაზე დადგა, მაგრამ ხელი არ გაუშვია, ხელა ატრიალებდა თითებით.

— ყავაზე მარჩიელობისა ხომ არ ირწმუნე ამ ბოლოს? — ქვეშ-ქვეშ გახედა მასპინძელს. — ჩვენთან, სამსახურში, შესვენების დროს ყველა ქალი, ქალიშვილია თუ შინაბერა, ქრივია თუ წვრილშვილიანი, ნიადაგ ყავის ფინგანს ჩაკირკიტებს ხოლმე. თუმცა მარტო ჩვენთან კი არა, მთელ ქალაქს მოედო ეპიდემიასავით ყავით მარჩიელობა.

— არა, ყავა სხვა საქმეა!

— პოროსკოპზე რაღას იტყვი? ძველისძველი, ნაცადი

„მეცნიერული მკითხაობის“ მეთოდია, მე და შენ კი არა, უარის გადასაც ბილ სწავლულებსაც კი სწამდათ. ა? შენც ხომ არ... აიაზიოროვა — ჰოროსკოპიც სისულელეა. თავადაც კარგად იცი ეს.

— მაშინ ბანქო...

— ეარგი ერთი. ბანქოსი უკვე ბოშა მარჩიელებსაც კი აღარა სჯერათ. წმინდა წყლის აბსურდია.

— აბა ამ ქირომანტიაში რაღა ჭეშმარიტება აღმოაჩინე, ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ? ხელისგულზე თითის სრიალით რანაირად უნდა განკვრიტოს კაცმა სხვისი თუ თავისი წარსული თუ მომავალი? სიცოცხლის ხაზიო, გონების ხაზიო, გულის ხაზიო... კარგი ერთი... ქირომანტიაც ისეთივე სისულელეა, როგორიც ჰოროსკოპი, ისეთივე აბსურდია, როგორიც ბანქო... მორჩი, თუ ძმა ხარ! — ნოშრევანმა ისევ შეახო ბაგე-ები „ენისეცლს“.

— მწერალი კაცი ხარ, ფანტაზიასთან წილნაყარი, — მოუხედა გიორგიძ. — შენ მაინც არ უნდა ამბობდე ამას.

— მე რა ვყოფილვარ ვითომ? ან მწერლობა და ფანტაზია რა შეუაშია?

— არის. — გიორგი ნოშრევანისკენ შემობრუნდა. — მომისმინე, არის შეუაში. ერთი მითხარი, თუ გახსოვს, ოდესმე დავავირვებივარ მე შენი ხელისგულის ხახაზს? აბა, მოიგონე!

ნოშრევანი მცირებნით ჩაფიქრდა. მერე მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია.

— მეონი, არა. მერე რა?

— აი, შენ მწერალი ხარ, — გაიმეორა გიორგიმ. — ეს ხომ ფაქტია? ჰოდა, აბა ერთი დაიხედე ხელის გულზე. ისე, რომ შე წუ დამანახებ. ახლა გონების, ანუ თავის ხაზს დააკვირდი. ხომ იცი, რომელია? აი, ეს, — საკუთარ ხელის გულს დაადო თითი, — შუათანა ხაზი, რომელიც გულისა და სიცოცხლის ხაზებს შორის გადის. აგრე, ამ ადგილს, ნეკის ქვევით გულის ხაზამდე რომ უწევს, მერქურის ბორცვი ჰქვია, მის ქვემოთ მდებარე პატარა შემაღლებას (გულის ხაზსა და გონების ხაზს შორის) — მარსის ბორცვი, ხოლო იმის ქვემოთ, ვიდ-


რე მაჯამდე, მთვარის ბორცვია გადაჭიმული. თუ შენ მწერალი
ხარ — მოაზროვნე, შემოქმედი, ფანტაზიის უნარით და
დოებული პიროვნება, გონების ხაზი მაჩისის ბორცვის მიღა-
მოებში მთვარის ბორცვისაკენ უნდა იყოს გადახრილი...
დააკვირდი, არის თუ არა?

— არის, — მცირე დუმილის შემდეგ, ცოტა არ იყოს,
გაკვირვებით უპასუხა ნოშრევანმა.

— გარდა ამისა, — განაგრძო გიორგიმ, — თუ შენ მწე-
რალი ხარ — მოაზროვნე, შემოქმედი, ფანტაზიის უნარით
დაგრილდოებული პიროვნება, გონების ხაზი მრავალი წვრილი
ბერპენდიკულარული ხაზით იქნება გადაკვეთილი... ასეა თუ
არა?

— ასეა. — ნოშრევანი აშკარად დაინტერესებული ჩანდა.
— კიდევ? კიდევ რას მეტყვი?

— რაას? ახლავე. იი, მოიწი აქეთ, ახლა ჩემს ხელის
გულს დახედე. მოდი, სიცოცხლის, ანუ ბედის ხაზით დავიწ-
ყოთ, რომლითაც ცერის ფუძეა შემორკალული. ხედავ, აქ, ერთ
ადგილას, გაწყვეტილი რომ არის? მერე კი ისევ ჩნდება და
გრძელდება? ეს მძიმე ავადმყოფობის ნიშანია და ასაკობრი-
ვად იგი დაახლოებით 25 წელს თანხედება. რას იტყვი, გადა-
ვიტანე თუ არა მძიმე ავადმყოფობა? გადავიტანე. ეს ერთი.
ახლა გულის ხაზს დახედე, რომელიც შუათითის გასწვრივ, სა-
ტურნის ბორცვიდან იწყება, ქვეეით მოემართება და მტევნის
წიბოსთან ქრება. ხედავ, როგორი ლრმაა და როგორ მკვეთრა-
დაა გამოხატული იგი ჩემს ხელის გულზე? ეს — ლრმა და
ძლიერი სიყვარულის ნიშანია. სხვათა შორის, ზუსტად ასეთი-
ვე ხაზი ჰქონდა ფატისაც — ერთხელ როგორლაც შევადარეთ
ერთმანეთს ერთიმეორის ხელის გულები... მეც და იმასაც გუ-
ლის ხაზი სატურნის ბორცვიდან გვეწყებოდა, რაც უბედური
სიყვარულის მომასწივებელი ყოფილა... პო, ამავე ხაზზე ორი-
ვეს გვესვა ჭვარი — სიყვარულიანი ქორწინების ნიშანი... ყვე-
ლაფერ ამას ახლახან დავუკვირდი, მაშინ მხოლოდ გვაკვირვე-

ბდა ეს მსგავსება, მათ მნიშვნელობაზე კი წუთითაც ატარებული ფიქრებულვართ...

— ხომ შეიძლება, შემთხვევითი დამთნევა იყოს, — შე-
პაუქება სცადა ნოშრევანშა.

გიორგიმ ხელის აწევით შეაჩერა, იმ უესტით, რომლითაც
მომხსენებელი ახმაურებული აუდიტორიისაგან სიჩუმეს მო-
თხოვს ხოლმე.

— მოიცა, ბოლომდე მომისმინე... შენ კარგად მოგეხსენე-
ბა, რომ მე მსუბუქი ჰიპერმნეზია მჭირს, სხვანაირად რომ
ვთქვათ, თითქმის ავაღმყოფური მეხსიერება მაქვს. — გიორგი
გაჩუმდა, წამით ისევ გაუშტერდა მზერა. — ჰოდა, აი, რას გე-
ტყვი. ნათლად მაგონდება ფატის ხელის გულებზე სიცო-
ცხლის ხაზი შუაში — სატურნის ბორცვთან თავდებოდა, რაც
ასაკობრივად დაახლოებით 20-25 წელს თანხვდება. გარდა
ამისა, მაგაზე მხოლოდ ერთი „სამაჯური“ ჰქონდა მქვეთრად
გამოხატული — მაქსიმუმ 30-წლიანი ორსებობის გარანტია. და
ბოლოს, ნიშანი, რომელსაც იმ კაბავრელმა მარჩიელმა მყისვე
დაადგა თავისი ავბედითი თვალი: გონების ხაზის ბოლოს, მერ-
კურის ბორცვზე, მაჯის მხრიდან ამომავალი ღვიძლის ხაზის
გადაკვეთასთან, ფატის ხელს აშეარად აჩნდა გარსკვლავისებუ-
რი ფიგურა — მძიმე, სიცოცხლისათვის სახითო მშობიარო-
ბის ნიშანი...

ნოშრევანს გააურეოლა. ჭიქაში კონიაკი ჩაიმატა და ერთ-
ბაშად გადაერა. სულის მოთქმა გაუჭირდა, მაგრამ კბილი
კბილს დააჭირა და არაფერი შეუტახებია. თითები უთროთოდა
ოდნავ. შენიშნა ეს და ხელი მაგრად მომუჭა.

— მაშასაღამე.... — თქვა და გაჩუმდა. ისე, რაც მართა-
ლია — მართალია, სათქმელი ორც კი ჰქონდა ხეირიანად გააზ-
რებული, ამიტომ დაკმაყოფილდა ამ „მაშასაღამეთი“.

გიორგი წამოდგა, ფანჯარასთან მივიღა. თხელი, გამჭვირ-
ვალე ფარდა არ გადაუწევია. იქნებ, თავის ფიქრებში გართუ-
ლი, არც აპირებდა ეზოში გადახედვას და წელანდელი, კეღელს
მიციებული შეერისა არ იყოს, არაფრისმხედველი თვალებით



გაპყურებდა წყნეთის თავზე ჩამომხობილ ნაცრისფერი ქადაგი
ჩემი სიმპათია ქირომახტის მიმართ მარტო იმავალი ფერების ფერები
ვას არ გამოუწვევია, — თქვა ბოლოს, ისევ მავიღას დაუბრუ-
ხდა, სკამზე გვერდულად დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. —
აბა გაიხსნე, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ როგორი უნდობ-
ლობით გვეიდებოდით ჯენ-ძიუს, ანუ აეუპუნქტურას, ანუ
ნემსთერაპიას; თითქოს გუშინ იყო, ზღაპრულ ფანტასტიკად
რომ გვეჩვენებოდა გულისა და ტვინის გადანერგვაზე ოცნება;
სულ ახალხან ანტიმეცნიერულ ლაყბობიდ ვთვლიდით გენსა
და გენოტიპზე ლაპარაკს... თუმცა, ეს ყველაფერი შენც კარ-
გად იცი, რაღა ბევრი გავაგრძელო. დაიცა, ერთი მომავინე რო-
გორა თქვა ლესიხვმა სასწაულის შესახებ? მგონი შენ მითხა-
რი სწორედ...

— ყველაზე დიდი სასწაული ცნობილ სასწაულთაგან
ისაა, რომ სასწაულები არ არსებობს, — შეახსენა ნოშრე-
ვანმა.

— აგაშენა ღმერთმა! ნალდია! მართლაც, ბუნებაში არავი-
თარი სასწაული არ არსებობს, შეიძლება აბსოლუტურად ყვე-
ლაფრის, უკლებლივ ყველა მოვლენის მეცნიერული ახსნა,
ოღონდ მისითვის მდ მოვლენის არსში ჩაღრმავებაა აუცილებე-
ლი, მაშასაღამე, დრო და შრომაა საჭირო, მეტ-ნაკლები ხან-
გრძლივობისა და მოცულობის დრო და შრომა. რა, ასე არ
არის?

— ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ...

— აჲ, არა, ჩემო ნოშრევან, „მაგრამისთვის“ ადგილი აქ
აღარ რჩება. შენ რომ ერთი ვინე უბირი და გაუგებელი კაცი
იყო, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ მწერალი ხარ, თვალმახვილი
და გამჭრიახი კაცი, ლრმად და მრავალმხრივად ერუდირებუ-
ლი შემოქმედი... შენ ხომ კარგიდ იცი, რომ ბუნება უმიზნოდ
და ტყუილუბრალოდ არაფერს ქმნის, უაზროდ და სასხვათა-
შორისოდ თითსაც კი არ დააკარებს ხოლმე თითზე. — ნოშრე-
ვანმა რაღაცის თქმა დააპირა, გიორგიმ ხელზე ხელი დაადო
და შეაჩერა. — მაღროვე, დავამთავრო. შენ ალბათ აპენდიქსს



მომავონებ, მაგრამ სწორი არ იქნები: ოდესლაც მას ჰუმინულა
თავისი ფუნქცია — ადამიანის ცხოველურ წინაპარს უხუალულობა
კვების მოხელებაში ეხმარებოდა, დროთა განმავლობაში კი ეს
ფუნქცია მოეშალა და გადაგვარდა. ან იქნებ ნუქისებრი ჯირკ-
ვლები გინდა გამახსენო, მაგრამ აქაც სცდები, იცოდე: ეს ჯირ-
კვლები, ზოგიერთის მცდარი ჩწმენის ჯიბრზე, სულაც არ
არიან რუდიტენტები და დღესაც საუცხოოდ ყველებეს თავიანთ
საქმეს — ბუნებრივი ფილტრის როლს ასრულებენ, სხვადა-
სხვა სახის ინფექციისაგან იცავენ ორგანიზმს, თავისთავე
იღებენ პირველ დარტყმას: ყოველი ფილტრი, მოგეხსენება,
ხშირი ხმარების შედეგად ჭუჭყით გაიჭედება და გაუვარგის-
დება ხოლმე, და რა ვუყოთ, რომ პოლოსდაბოლოს ნუშისებრი
ჯირკვლებიც გადასაყრელნი ხდებიან... იქნებ, ერთი შეხედ-
ვით ყველაზე ძლიერი არგუმენტი მოიშველიო და მითხრა,
ტვინში ათ მილიარდზე მეტი უჯრედია, მათგან კი მხოლოდ
რაღაც ერთი მილიარდი მუშაობსო. ჰო, ეს მართლაც ასეა, მა-
გრამ ინფორმაცია ხომ, კაცობრიობის განვითარების კვალდა-
კვალ, უფრო და უფრო სწრაფად მატულობს და ბუნებას რომ
რეზერვი არ შეექმნა, სად გინდოდა მოგეთავსებინა ეს ახალ-
ახალი და კოლოსალური მოცულობის ინფორმაცია? გარდა
ამისა, როგორც ვარაუდობენ, იმ ცხრა მილიარდი უჯრედის ერთ
ნაწილში, შესაძლოა, კოდირებული იყოს ადამიანის გონებისა
და ორგანიზმის ჯერ კიდევ შეუცნობელ და გამოუყენებელ შე-
საძლებლობათა რეზერვები, რომელიც ჰომო საპირნს მომა-
ვალში დასჭირდება და გამოადგება...

— ეს ყველაფერი ნათელია, — ნოშრევანმა წამიერა პაუ-
ზით ისარგებლა. — მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას
ქირომანტიასთან, ვერ გამიგია და რა ვქნა!

გიორგიმ წარბები აზიდა და მძიმედ დააქნია თავი.

— რა კავშირი აქვს? — გაიმეორა. — ახლავე მოგახსენებ.
რაკი ამბობ, ყველაფერი ნათელიაო, გამოდის, რომ რაც ვილა-
პარავე, იმისი გჯერა, ხომ ასეა? კეთილი და პატიოსანი. მაშინ
აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა: ხელის გულის



ნახაზი სულაც არ არის შემთხვევითი რამ და სულაც არ არის
რაღაც უაზრობათა ზედახორა; მასში კოდირებული ხელშემომსახული
ცემულია ამა თუ იმ პიროვნების გონებრივ შესაძლებლობათა
არეალი, მისი ხასიათის ძირითადი თვისებები და ცხოვრებისე-
ული გზის მთავარი მომენტები. ყველაფერი ეს მიკროსკოპულ
ჩანასახშიერეა ჩაწერილი, ხოლო ქირომანტია და ფიზიოგნომიკა
(ადამიანის თავის ქალის აღწერილობა) ამ ჩანაწერის გარეგანი
გამოხატულება გახლავს.

ნოშრევანმა მავიღაზე თითები აათამაშა და მცირე ხანს
დაფიქტებული შეპყურებდა მასპინძლის მაღალ შუბლს.

— თამამი დასკვნაა, — თქვა ბოლოს.

— ეს კიდევ ცოტაა, — გიორგის ნოშრევანის სიტყვები-
სთვის ყურადღება არ მიუქცევია. — არც ის დროა შორს, რო-
ცა ადამიანი შეძლებს, თავისი შეხედულებისამებრ ცვლილება
შეიტანოს ჩანასახის სტრუქტურაში, მაგალითად, წაშალოს კო-
დი მიოკარდის ინფარქტისა, რომელიც აღებულ ინდივიდს
ორმოცი წლის ასაკში ელის, კიბოსი, რომელიც ორმოცდათი
წლის ასაკში ჩასაფრებია მშეერი აფთარივით, გააქარწყოლოს
ხიფათიანი მშობიარობის მუქარა, მოსპოს დიაბეტის საშიშრო-
ება (სხვათა შორის, სულ ახლახან აღმოაჩინეს, რომ საჩვენებე-
ლი თითის ანაბეჭდით შეიძლება დავადგინოთ, აქვს თუ არა ამ
თითის პატრონს დიაბეტისადმი მიღრეკილება)... ერთი სიტყ-
ვით, მოვა დრო და ადამიანი შეძლებს, თავის გემოზე აფათუ-
როს ხელები გენეტიკური კოდის იდუმალი ბურუსით მოცულ
ხვეულებში.

— ბრწყინვალე პერსპექტივაა, — ფიქტიანად დააქნია თა-
ვი ნოშრევან მარიხიამ და „ენისელისაკენ“ გიმოდა ხელი. —
მაგრამ მანამდე, ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის.

— მერე რა, ჩაიაროს ბევრმა წყალმა! — ხელები გაშალა
გიორგიმ. — ჩაიაროს... თუმცა, — ხმადაბლა დაუმატა შემდეგ,
— იქნებ არცთუ ისე შორსაა ის დრო... ჩვენ რომ გვვონია,
არც იმდენად შორს.

ნაცენზ-უცენზი სახეები

— საოჯახო სურათების აღბომი არა გაქვთ? — სავარდე-
 ლში მოსვენებით ჩამჯდარმა ირაკლიმ ფეხები გამართა, გადააჭ-
 ვარედინა და დაკვირვებული მზერა მოავლო ოთახს. ნოშრევა-
 ნი ფანგარასთან იდგა, მხრით წირთხლს მიყრდნობოდა და წი-
 რილს ჩაღრმავებოდა. გიო დატუქსულ მოწაფესავით ატუზუ-
 ლიყო კედელთან, იაპონური პეიზაჟის გვერდით, ხელები
 ზურგსუან დაეწყო და, ოდნავ თავდახრილი, იატაკს დაპყუ-
 რებდა. — მოძებნე, დავათვალიყროთ, თორემ ვიდრე ძია ნოშ-
 რევანი წერილს წაიკითხავდეს, მე და შენ დავმუნჯდებით კი-
 დევაც.

გიო შეირჩა, თავი ასწია და ნაბიჯის გადადგმა დააპირა,
 მაგრამ უცებ გადაიფიქრა და მხრები აიჩეჩა.

თუმცა ნოშრევანი გულისყურით კითხულობდა იღუმალ
 წერილს, ირაკლის ნათქვამი მაინც მისწვდა მის სმენას. გიოს
 გვერდულად გახედა და ბიჭის დაბნეულ გამოხედვას წააწყდა.
 „ამას საიდან ეცოდინებაო“, — კინალამ ხმამაღლა წამოცდა,
 მაგრამ გონს დროზე მოეგო, ფრაზა ენის წვერზე დაიჭირა და
 ძალისძალად გაიღიმა.

— გიო, აბა ერთი კარი გამოაღე და ქვედა უჯრა
 გამოსწიე! — მიეშველა უმწეოდ მოღიმარ ყმაწვილს. — თუ
 არ ვცდები, მანდ უნდა იყოს სურათების აღბომი... ჰო, ჰო,
 ეგაა! მიუჯექი ახლა ძია ირაკლის და ერთად დაათვალიერეთ.
 შე ჯერ კიდევ ბლომად დამრჩი წასაკითხი.

ბიჭმა გულწრფელი გავირვებით შეატრიალ-შემოატრია-
 ლა ხელში სქელი ნაცრისფერგარეკანიანი აღბომი.

— ეეს? — ხმადაბლა იყითხა და ჯერ ნოშრევანს გახედა,
 მერე ირაკლის. ირაკლი იმ წამსვე მიხვდა, რომ სურათებიანი
 აღბომის მოთხოვნით სარისკო შეცდომა დაუშეა, მაგრამ რა-
 ლას იზამდა, რაკი ამ ბილიკს დაადგა, ბოლომდე უნდა გაეცლო
 კიდეც.

ნოშრევანმა სკამი მიიჩეჩა და დაჭდა.



წერილი, მართლაც, ვრცელი იყო. წერილს ასოებით ჩატიქშიებული რამდენიმე თაბახის ფურცელი ეკავა. არც გარეგნულად და არც შინაარსით არ ჰგავდა აღელვებული კაცის ნაწერს, პირიქით, თითქმის ყოველ წინადადებაში შშვილი, თავისთავში დაჯერებული კაცის ლოგიკა იგრძნობოდა. იშვიათად თუ გამოქონავდა ოდნავ შესამჩნევი ეჭვი თუ მოუსვენრობა.

ნოშრევანი ისევ ჩაუღრმავდა ბარათს. საოცარ რამეებს ჰყვებოდა ავტორი...



გიომ გაჭირვებით შეუშვა ხელი მძიმე ალბომს, თითქოს მისაცემად არ ემეტებათ. ამ ნივთსაც (ისევე, როგორც ყველა-ფერს ამ ოთახში) პირველად ხედავდა. დარო მამილის ალბომი ცისფერი იყო, ხშირი ზმარებისაგან ყუაგახეხილი და კიდეებგაცრეცილი, მარჯვენა კუთხეში ცხენზე ამხედრებული ბოგდან ხმელნიცკი ეხატა. ეს კი ახალთახალი იყო, თითქოს ჯერ კაცის ხელი არ უხებიათ. არც ნახატი ამშვენებდა. „ესე იგი, დარო მამილას ყველაფერთან ერთად ალბომიც გაუახლებია. მაგრამ ამ... ამ ძია ნოშრევანმა საიდან იცის ასე ზუსტად ჩვენი ნივთების ასავალ-დასავალი?“ — გიოს თავი ასტკივდა.

— მოიტა სკამი, აგერ გვერდით დამიჩექი, — ხმა დაითაფლა ირაკლიმ. — ჩემთვის, ალბათ, უცნობი იქნება აქ ყველა...

გადაშალა თუ არა ირაკლიმ გარეკანი და თავფურცელი, გიომ მაშინვე იცნო პირველივე ფოტოსურათი, ოდნავ ფერნაცვალ ყავისფერ ქალალდზე დაბეჭდილი: ულვაშებგაწკიპული, მოკლეწვერიანი, წელში გაჯგიმული ხმელ-ხმელი მოხუცი ამაყად ზის ბამბუკის სავარძელში, მუხლებს შუა ხელჯოხი გაუკვეხებია, ხელები ჩამოუსვენებია ზედ, მყაცრი მზერა აქვს, გამსჭივალავი. გვერდით (მხარმარცხნივ) გრძელ, სადა თეთრ კაბაში გამოწყობილი ლამაზი ქალი უდგას, მარჯვენა ხელი ბერიკაცის მხარზე უდევს. მარცხნა ჩამოშვებული აქვს, გამართუ-



ლი. ტუჩის კუთხეები ოდნავ შეტეხია, ეტყობა, ღიმილის შეცვალა
ვებს ცდილობს.

— ვინ არიან? — იქითხა ირაკლიმ.

— ჩემი ღიღი პაპა და ღიღედა არიან, — თითქმის ჩურ-
ჩულით უპასუხა გიომ.

— დედის თუ მამის მხრიდან?

— მამის მხრიდან.

ირაკლიმ ფურცელი გადაშალა.

— ესენი?

სურათზე სამი მოწიფული ვაჟკაცია აღბეჭდილი. ეტყობა,
შეზარხოშებულები არიან, ხელიხელგადახვეული დგანან, ბო-
ხოხები გვერდზე მოქცევიათ, შავ ბლუზებზე ვერცხლის ქამ-
რები აქვთ მჭიდროდ შემოქერილი, თითებში პაპიროსი გაურ-
წვიათ, იღიმებიან, პირი ლაშის ყურებამდე გახევიათ.

— ესენი ბიძაჩემები არიან, მამაჩემის ძმები... ომში და-
ღუპა სამიე. არცერთი არ მახსოვს.

— ჰო... — ლრმად ამოისუნთქა ირაკლიმ. — რა ბეღნიე-
რი ღიმრლით იღიმებიან... ეჭ, რას იზამ, რამდენი ასეთი სიცო-
ცხლე წაიღო ომმა... ესენი? — მომდევნო სურათს დაადო თი-
თი.

ნახევარანაფასი. სხედან. მამაკაცი: ოდნავ გრძელი სახე,
მაღალ შუბლზე ჩამოშლილი ხეეული თმის აულული, ოდნავ
კენიანი ცხვირი, ოდნავ წინწამოწვდილი ნიკაპი. ჩანს, ზემო
ტუჩი მაღალი აქვს და ამის დასაფარავად სქლად დაუყენებია
ულვაში. გამოხედვა პაპისეული აქვს — მეაცრი, შემტევი, გა-
მსჭვალავი... ქალი: თეთრი პირისკანი, ჩრდილოური თხელი სა-
ხე, სწორი ცხვირი, ჭროლა თვალები (ალბათ ცისფერი სჭარ-
ბობს). ეტყობა, ტანმაღალია — მხარი მამაკაცის მხრისთვის
მიუტოლებია, თავი კეკლულად გადაუხრია მისკენ.

— ეს დედაჩემია, ეს — მამაჩემი, — ყრუ ხმით თქვა გი-
ორვიმ და სათითაოდ დაადო შუათითი სურათზე გამოხატულ
კაცსა და ქალს. — ეს დროს მე ერთი წლის ვყოფილვარ თურ-



მე. მაგრამ დედა სულ ისეთი იყო, როგორიც ამ საქართველოში ახლაც თითქმის ასეთია.

— ახლაც? — დასცდა ირაკლის და მყისვე დაუმატა: — გეჩვენება აღბათ. თვალი გაქვს შეჩვეული.

— არა, რატომ, მარტო შე კი არა, სხვებიც ამას ამბობენ.

— მამა?

— მამა უფრო შეიცვალა. ბევრს სვამს და ალბათ იმიტომ... ეს ღარები ჩაუღრმავდა, შუბლზეც მოეძარა ნაოჭები, შერებშიაც საგრძნობლად მოიხარა.

ირაკლიმ ინტერესით შეავლო თვალი გიოს.

— დაკვირვებული ბიჭი ყოფილხარ.

— რა ვიცი...

სამთვლიან ველოსიპედზე ბიჭუნა გადამჯდარა ყინჩიად. სამი თუ ოთხი წლისა იქნება, თვალები ეშმაკურად უბრწყინავს. ამ წუთში მასზე ბედნიერი არავინაა აღბათ.

— ეს, ცხადია, შენ ხარ.

— დიახ, მე გახლავართ.

— ესა?

სიმსუქნეშეპარული, მაგრად ტუჩებმოკუმული, ხშირწარბებიანი ბაღალი ქალი, ფართო სახე, დიდი შკერდი, ტლანქი, თითქმის მაძაქაცური ხელები...

— ეს ჩემი დარო შაბიდაა,— გიოს სახე გაუნათდა. — სურათში ჩანს მყაცრი, თორებ ისეთი კეთილი გული აქვს, ბარეორი ვერ დაიტრაბახებს.

— ეტყობა, — დაეთანხმა ირაკლი.

ისევ დარო მამიდა. მერე — თალიკო და მშობლები, გიო და დარო მამიდა. ბავშვების ჯგუფი. ვიღაც კაცები. ვიღაც ქალები. გიოს თანაკლასელი კიკინებიანი გოგონა. გიო და ნიშა ხბო. დარო მამიდა და ვიღაც ორი ქალი. გიო და დარო მამიდა ფუნიკულიორზე. ვიღაც უცხოები. ძოლიშარი თალიკო....

— ამას იცნობ? — თითო დაადო ირაკლიმ ერთ პორტ-რეტს.

გიო დააკვირდა. სურათს პირველად ხედავდა, მაგრამ

თითქოს ეცნაურა: მაღალი შუბლი, შეთხელებული თმა, უფრო მარტინი ცხვირი, ფიქრიანი თვალები, ოდნავ მომსხო ტუჩები, ენერგიული ნიკაბი.

— ნაცნობი სახეა, მაგრამ.. არ ვიცი...

— არასოდეს გინახავს ეს კაცი?

გიომ მხრები აიჩეხა.

— რა ვიცი.. ნახვით — შეიძლება ნანახი მყავდეს საღმე. მაგრამ ვინ არის, რა ჰქვია და რა გვარია, ნამდვილად ვერ გიყვით.

— ჰოო?..

— რა არ გჯერათ ჩემი?

— მჯერა, როგორ არ მჯერა! — სწრაფად მიუგო ირაკლიმ. — უბრალოდ, ძალზე ნაცნობი სახე აქვს და რაყი თქვენს ალბომშია, ვიფიქრე, იქნებ გიომ იცოდეს-მეთქი ვინაობა. ხომ შეიძლება, კაცი საღმე შემხვდეს, ერთმანეთი მოვიყითხოთ და მე კი სახელი ვერ გავიხსენო, სირცხვილი არ იქნება?

გიომ თავი დაუჭნია და ისევ დახედა პორტრეტს. კი, თითქოს უნახავს სადღაც, მაგრამ... არა, ნამდვილად არ იცნობს. იქნებ ამსგავსებს ვინმეს...

სურათზე ორმოცდახუთიოდე წლის გიორგი ჩინარიძე იყო აღბეჭდილი.



— ვერ გამიგია, რას დარბიხარ აღმა-დაღმა! — ჩაიბურტუნა ლენოჩქამ და ისე, რომ კომბისტოს ქეპვა არ შეუჩერებია, გვერდულად გახედა რეზოს. — წელან არ იყავი სარდაფში?

რეზომ ღია ონკანს ცარიელი რძის ლიტრიანი მიუშვირა, აავსო და სულმოუთქმელად ჩაიცალა ხახაში.

— უჲ! — თქვა და სველი ტუჩები ხელის ზურგით შეიმშრალა. — რა გინდა, ქალო, შენ? — მერელა მიუბრუნდა ლენოჩქას. — სარდაფში ვიყავი, რესტორანში ხომ არა? წე-

ლან ნათურა დამრჩა ჩართული და ის გამოვთიშვე. შენ კი... — რესტორანიო... ჰე! — ათვალწუნებით ჩაიცინა ლენო-
 ჩკამ. — რესტორნის ფული კი არა, ასფალტზე დაყრილი მზეს-
 უმზირის ჩენჩიო აბაზიანებად გეჩვენება, შე საწყალო! ისე, მა-
 რთლა, ჩვენში ორმ ვთქვათ, — უცებ გაგულისებულმა მიაგ-
 დო დანა, რეზოს მოუბრუნდა და ხელები თეძოებზე შემოიწ-
 ყო, — ამდენი ხანია, ერთადა ვართ, რაო, ერთხელ მაინც არ
 უნდა წაგევანე რესტორანში? ა? სხვებზე ნაკლები ვარ? გა-
 რევნობით შეგარცხვენდი თუ ყოფაქცევით? ამოიღე ხმა, რას
 გაჩუმებულხარ?! ა? გემწვავა სიმართლე?!

რეზო ნელა მიუახლოვდა, ერთ ნაბიჯში გაუჩერდა და
 თვალებში ჩახედა. შემდეგ ხელი ასწია და ლოყაზე მოუთა-
 თუნა.

— ტყუილად მეფერები, — გაიბუტა ლენოჩკა. — მაგით
 ვერ მომთაფლავ.

— დამაცადე ცოტა, ლენოჩკა, მალე იმდენი ფული მექ-
 ნება, შამპანურში გაბანავებ, — ჩუმი, იდუმალი ხმით უთხრა
 რეზომ. — თუ გირჩევნია, — ირმის რძეში. შენ ცოტა დამა-
 ცადე...

ნოშრევანმა წერილი ჩაათავა. მცირე ხანს გარინდებული
 იქდა და, გაბრუებული, უაზროდ იყურებოდა ფანჯარაში. მე-
 რე თავი მოაბრუნა და ასევე უაზროდ შეხედა გიოსა და ირაკ-
 ლის. ბოლოს მუხლებზე დაფენილ ფურცლებს დასწვდა, და-
 ალაგა და ხელახლა გადაიკითხა ზოგიერთი ადგილი.

საოცარ რამეებს ჰყვებოდა წერილის ავტორი...

„მიზარს მს გიში... მიმიხედვი...“

„ჩემო გიო!

ამას ყოველი შემთხვევისათვის გწერ — იმ შემთხვევისა-
 თვის, თუ ცდუნებას ვერ სძლევ და კონვერტს მაინც გახსნი.
 თუმცა არა მგონია, ასე მოიქცე, რადგან კარგად გიცნობ (დე-
 დამიწის ზურგზე არავინ გიცნობს ასე კარგად!) და ვიცი შენი

ხასიათის თვისება — რაც შენ არ გეკუთვნის, იმას არაუკანისშეუვა
დიდებით არ ახლებ ხელს.

მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისათვის:

მე ახლა წარმოუდგენლად შორსა ვარ შენგან (არა იმდე-
ნად სივრცით, რამდენადაც დროით), ისე შორს, რომ ერთმა-
ნეთს ვერასოდეს შევხვდებით; მაშასადამე, თუ ქონვერტს გახ-
სნი, არ მოგიწევს ჩემს წინაშე სირცხვილით გაწითლება. მიუ-
ხედავად ამისა, გთხოვ: გარდა ამ ერთი ვერდისა, რომელიც
(ყოველი შემთხვევისთვის) უშუალოდ შენდამია მომართული,
სხვებს ნუ წაიკითხავ.

საჯეო ისაა, რომ მე ზუსტად არ ვიცი, რით დამთავრდება
ჩემი ექსპერიმენტი. ამიტომ დაე, ჩემმა უახლოესმა მეგობარ-
მა, ნოშრევან მარიხიამ გადაწყვიტოს ისე, როგორც ჭობდეს—
ყველაფერი გიამბოს თუ კეთილი ტყუილი გითხრას და იმით
დაგამშვიდოს. მე მას მთელი არსებით ვენდობი და, გირჩევ.
შენც ასევე მიენდო — როგორც უფროს შეგობარს, უფრო
მეტიც — როგორც ღვიძლ ძმას.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ მტკიცედ გვეროდეს:
ის, რაც გავაკეთე, შენი სიკეთისათვის, შენი ულრუბლო და
უცრემლო მომავლისათვის ჩავიდინე. რა თქმა უნდა, ყველა-
ფერ ამას მეცნიერული ინტერესებიც ახლდა, მაგრამ მთავარი
მაინც შენი სიკეთისათვის ზრუნვა იყო.

ამიტომ დიდსულოვნად მაპატიე, თუ ყველაფრის შეტ-
ყობის შემდეგ დამაშავედ ჩამთვლი.

მაპატიე, გიო!

გიორგი ჩინარიძე.

7 აგვისტო, 1985 წელი.

„ჩემო ნოშრევან, ძმაო!

თუ ჩემმა ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა, თუ გიომ
დაგირეკა და თავისი ვინაობა გითხრა და, ამასთან, თუკი წინა
ფურცელი წაიკითხე, მაშინ ახლა, როცა ეს წერილი ხელში
გიშირავს, უკვე მიმხვდარი იქნები, რაც შობდა.

(მიმხვდარი იქნები-მეთქი... მხოლოდ მიმხვდარი, თორემ

მთელი სიგრძე-სიგანით თვით მეც კი არა მაქვს გაცნობიერებული ჩემი ექსპერიმენტის შესაძლო შედეგები. მარტო ზოგადად თუ წარმოვიდგენ, ზედაპირულად. მთავარი, სილრმისეული მოვლენები კი მხოლოდ მომავალში იჩენენ თავს. მაგრამ მე მათ ვეღარ ვიხილავ.

...გახსოვს, ამ ათიოდე დღის წინანდელი ჩვენი საუბარი? — ლამე, ეს ჩემი ოთახი, ხილი და თუთხი არაყი, მუდამ რომ ძაქს ხოლმე შენთვის გადანახული (ახლაც მიღვას აიგნის კარადაში ერთი კვარტიანი ბოთლი)... გვიანობამდე ვისაუბრეთ. შეიძლება, შემატყვე კიდეც (თუმცა არაფერი გიყითხავს) — კალაპოტიდან ვიყავი ამოვარდნილი, დაძაბული და აგზებული ვიყავი, მაგრამ არ გაიკვირვებდი, მიხეზი რომ გცოდნოდა: წინა დღეს ერთ ღონიერ თავს სისხლში ჩემს მიერ მიღებული ენდოკრინული პრეპარატი შევუშხაპუნე და მეორე დილით იმ გალიაში იმ თავვის ნაცვლად პაწაწყინტელა წრუწუნა დამხვდა! თვალებს არ დავუჭრე, მაგრამ წრუწუნა ნალი იყო, გალიასაც ნამდვილად არვინ შეხებია ჩემს მეტი... ერთი სიტყვით, ენდოკრინული დეგრესიის რეაქციამ ბრწყინვალედ ჩაიარა... მე და სანახევროდ ენადაბმულმა განკოფილების გამგემ ძლივს დავარწმუნეთ ჩვენი აკადემიკოსი, რომ ეს ამბავი ბლეფი კი არა, ჰეშმარიტი ფაქტი იყო. დავარწმუნეთ, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშეირა, როცა გადამწყვეტი ექსპერიმენტის ნებართვა ვთხოვე (ცდის ობიექტი ჰომო საპიენსი უნდა ყოფილიყო). აქაოდა, ერთი წარმატება ბევრს არაფერს ნიშნავსო, — გამიბა, — რა გარანტია გვაქვს, რომ ყოველთვის ერთხაირ შედეგს მივიღებთო, ამას გარდა, მორალურ სპექტჩედაც უნდა ვიფიქროთო და რა ვიცი, მოედო ღობეყორეს... გამოსულიც არ ვიყავი კაბინეტიდან, გადავწყვიტე, ცდა საკუთარ თავზე დამეყენებინა...

სწორედ იმ დღეს იყო, რომ გითხარი: 10 აგვისტოს, კვირას, შინიდან არსად გახვიდე, ტელეფონის ზარს დაელოდე, საინტერესო ამბავს შეიტყობ-მეთქი... მაინც სამუშაო მაქვს და შინ ვიქნები, აბა სად წავალო, — მიპასუხე.



...ხომ ადრევე მითქვამს შენთვის რამდენჯერმე — მომ-
ლა ჩემი გამწარებული სიყმაწვილის მოგონებებმა, ფატიშებულის
ბავმა ხომ ერთიანად მომითავა-მეთქი ხელი... ბევრჯერ თავის
მოკვლაც კი მიფიქრია, მაგრამ მაშინვე უკუმიგდია, რადგან ვა-
ჟკაცობად არასოდეს მიმაჩნდა ასეთი საქციელი...

ახლა კი მომეცა ამ გაუთავებელი სატანჯველისაგან განთა-
ვისუფლების საშუალება და მაშ არ უნდა გამომეყენებინა ეს
დიდებული შანსი?

ჩემს პრეპარატზე და მისი მოქმედების ეფექტზე დაწვრი-
ლებით მოგიყვებოდი — შენ ბიოლოგიაში ჩახედული კაცი
ხარ და ექსპერიმენტის არსის გაგება არ გაგიჭირდებოდა, მაგ-
რამ, ჯერ ერთი, ახლა ამის ადგილი და დრო არ არის და მეო-
რეც, პრეპარატზე მუშაობა დავიწყე თუ არა, თითქმის მაშინ-
ვე კივრძენი, რომ ვიღაც ზედმეტად დაინტერესდა ჩემი მუშა-
ობით. რამდენჯერმე შევნიშნე: ხან საქალალდე არ იყო ისე შე-
კრული, როგორც მე მჩვევია, ხან უჯრა დამიხვდა გამოწეული,
ხან ქაღალდები — არეულ-დარეული... როცა მივხვდი, ჩემს
ჩანაფიქრს რეალური საფუძველი აქვს და საქმე გამომდის-მეთ-
ქი, ჩემი ეპვის შესახებ მაშინვე ვაცნობე იქ, სადაც, როგორც
იტყვიან, ჯერ არს... ძირითადად სწორედ ამ მიზეზით არ ვწერ
აქ არაფერს ჩემს პრეპარატზე — ვინმე უცხოს არ ჩაუვარდეს
ხელში, სიტროთხილეს თავი არა სტკივა...).

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მქვლელი ვარ, მქვლელი
თუ არა, თავისმკვლელი მაინც... მაგრამ ჩემი დარჩენილი სი-
ცოცხლის წლების ნაცვლად რომ სხვას (?!). მივანიჭე ახალი სი-
ცოცხლის ნიჭი და უფლება, ნუთუ ეს არ მათავისუფლებს იმ
დანაშაულისაგან (?), რომელიც საკუთარი თავის მიმართ ჩავი-
ღინებ?

შენ შეიძლება მისაყვედურო, თითქოს ხალხსა და ქვეყანას
(ჩემი სახით) წავართვი მეცნიერი, რომელიც მომავალში კიდევ
ბევრს რასმე გააკეთებდა მათ საქეთილდღეოდ. არ ვიცი! არც
არავინ იცის!.. მე მგონია, ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე,
ის ახალი გიო ჩინარიძე კი, რომელსაც, ვიდრე ჩემს ასაკამდე


მოაღწევდეს, ოცდაცამეტი გრძელი წელიწადი აქვს გასაცლელი
(მესამედი საუკუნე!), გაცილებით მეტ წაშსახურს უკუნისამდე
ერსაც, მამულსაც და მეცნიერებასაც. მით უმეტეს, რომ მთე-
ლი მისი დრო, გონება და ენერგია თავისუფალი იქნება იმ მძი-
მე საფიქრალისა და დამთრგუნავი სატანჯველისაგან, რაიც წი-
ლად მხვდა მე — პირველ გოორგი ჩინარიძეს...

არ ვიცი, იქნებ არცა ვარ მართალი... არ ვიცი... გვერდი-
ლან და შორიდან ყველაფერი უფრო კარგად ჩანს და, დაე,
სხვებმა განსაჯონ ჩემი ნაბიჭის მცდარობა თუ მართებულობა...

ჩემი რწმენით, პრეპარატის დოზა და კონცენტრაცია სწო-
რად განცასაზღვრებ. მე დავიძინებ 1985 წლის 7 აგვისტოს, ხუთ-
შაბათს. უნდა გამოვიდვიძო კვირას, 10 აგვისტოს, დილის საა-
თებში. გამოლვიძებულს, რა თქმა უნდა, აღარაფერი მემახსოვ-
რება (მე კი არა, გიოს არ ემახსოვრება არაფერი, პირველ პი-
რში ინერციით ვლაპარაკობ... თუმცა, ანკი, რა უნდა ახსოვდეს:
ჩემს ტვინში უკანასკნელი ოცდაცამეტი წლის მანძილზე აღჭე-
ჭდილი ყოველგვარი ინფორმაცია ხომ უკვალოდ წაიშლება!).
ამ სამ დღეში ოცდაცამეტი წლით გავახალგაზრდავდები... ეს
წლები უკანასკლიო თვალის დახამხამებაში ჩაიქროლებს... რაღა
თქმა უნდა, გარემოს ველარ ვიცნობ, ჩემთვის ყველაფერი ახა-
ლი იქნება, თითქოს ამდენი წელი ლეთარგიულ ძილში გამე-
ტარებინოს... უცებ ელდა რომ არ ეცეს, გიოსთვის მისი ზო-
მის სპორტული კოსტიუმი და ფეხსაცმელები შევიძინე და
საწოლთან დავულაგე; დიდი წვალებით მივამსგავსე ჩემი ხე-
ლი დარო მაშიდისას; კალენდარი 10 აგვისტოს, კვირის ფურ-
ცილშე გადავშალე...

დანარჩენი — შენზეა.

ვიცი, ძმაო, ნოშრევან, — რთული პრობლემის წინაშე
დაგაყენე. ის არაფერია, რომ გიოს გაუკვირდება, ლაწვზე ნაია-
რევი საიდან მაქვსო, ან ის, რომ აპენდიციტიც გაკეთებული
აქვს და ნუშისებრი ჭირკვლების ოპერაციაც (ცხადია: ენდო-
კრინული დეგრესიის პროცესში არ შეიძლება აღდგეს მექანი-
კურად დაზიანებული უჯრედი ან ქირურგის დანით მოკვეთილი

ორგანო). საშიში სხვაა: ახალი გიოსათვის ჭერაც ციფრული მოდელი არიან დედ-მამა, თალიკო და დართ მამიდა. აი, აქ იჩენს თავს მთავარი სიძნელე... როგორ გინდა, შეაჩვით და შეაგუთ იმ აზრს, რომ ბიჭი, რომელსაც მათი სიქვდილი არ უნახავს, ვერა-სოდეს იხილავს მათ, რომ ისინი რაღაც სასწაულით უკვალოდ გაქრნენ?.. არ ვიცი, ეს შენ უნდა მოახერხო, თავად გადაწყვიტე — როგორ... მე ის მანუგეშებს, რომ გიოს მოგონებებს ველარ მოწამლავს აფექტის მომენტში სანატორო თოფით განგმირული დედის, თავისმკვლელი მამის, უდროოდ გარდაცვლილი თალიკოს, მომაკვდავი დართ მამიდის უკანასკნელი ცრემლიანი გამოხედვის მტანჯველი სურათები... ისინი მისთვის ცოცხლად განქარდებიან (ვითომ ზუსტია ეს სიტყვა?)... რაც მთავარია, გიოს მომავალ ცხოვრებაში აღარ იქნება ფატი — უდანაშაულოდ განწირული კეთილი ანგელოზი... ხოლო თუ მერე, მოგვიანებით, გიოს მაინც შეხვდება თავისი ეკა, დალი თუ მაგდა, იგი აღარ დაუშვებს იმ მძიმე და გამოუსწორებელ შეცდომებს, რომლებიც მე მომივიდა (ზოგი — ნებსით, ზოგიც — უნებლიერ): მას ხომ ახლა შენ ეყოლები — წინდახედული და ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული უფროსი მეგობარი, ეაცი, რომელმაც წინასწარ იცის, სად შეიძლება აუცდეს ფეხი მის სამეურვეოს და ამიტომ შეძლებს, ღროულად შეაშველოს ხელი...

ერთი სიტყვით, შენს იმედად ვტოვებ ჩემს (!) გიოს, ჩემო ნოშრევან! მიყვარს და მებრალება ეს ბიჭი... მიმიხედვე...

შენი გიორგი ჩინარიძე.
7 აგვისტო, 1985 წელი.

P. S. ყველაფერი შეატყობინე იყადემიქოს ციაშვილს და ჩემი განკოფილების გამგეს, პროფესორ თარაძეს. მან იცის, სად ინახება ჩემი ჩანაწერები.

გ.ჩ.“

„გიცნობ... დიდი ხანია...“

ნოშრევანი ყურადღებით აკვირდებოდა ალბომში თავზარგულ ბიჭს. მისი წელანდელი გამოხედვა გაახსენდა — ფიქრიანი, სევდიანი, ოდნავ დაბნეული... აი, თურმე როგორი ყოფილა ყმაწვილობისას მოძავალი ბრწყინვალე მეცნიერი და ექსპერიმენტატორი, შესანიშნავი მეგობარი, უბრალო და ტანჯული კაცი — გიორგი ჩინარიძე! ეს ისეთი გონიერი და დინხი ბიჭი ჩანს, ახლავე რომ უამბო მთელი სიმართლე, ბოლომდე გაგიგებს ალბათ... მაგრამ არა, ასე უცებ არ შეიძლება, არ ივარგებს, ცოდვაა ბიჭი...

ირაკლიმ ალბომი დახურა და თავი ასწია.

— დაამთავრე? — არ დავიწყებია, ისა და ნოშრევანი „მეგობრები“ რომ იყვნენ და ამიტომაც მიმართა შინაურულად. — ჩვენც საფუძვლიანად შევისწავლეთ ეს მშვენიერი ალბომი. ახლა კი, თუ გიო ნებას მომცემს, ერთ მეგობარს დავურექავდი. შეიძლება, გიო?

— რა თქმა უნდა, — ბიჭი რატომლაც გაწითლდა, წამოდგა, მაგიდასთან მიყიდა და ტელეფონის აპარატი ირაკლისკენ შიაჩინა. — ინებეთ...

ირაკლიმ გრძელი, რვა თუ ცხრა ციფრიანი ნომერი აქრიფა.

— ალო! მე თაბორიძე ვარ, — ირაკლი ჩვეულებრივზე უფრო ხმადაბლა ლაპარაკობდა. — დიახ, თუ შეიძლება, შემაერთეთ... დილა მშვიდობისა. მე გახლავართ. მოხდა ის, რასაც ვვარაუდობდით. ყველაფერი რიგზეა. ჩვენი საერთო მეგობარიც შემხვდა... მართლა? მაშ, უკვე მოასწრო გასაუბრება? გასაგებია, არ შევაწუხებთ... გეახლებით და ყველაფერს დაწევრილებით მოგახსენებთ. კეთილი, ხუთ წუთში გამოვდივარ. გასაგებია. რა თქმა უნდა, არ მივატოვებთ.

ირაკლიმ ყურმილი დადო და ნოშრევანს მიუბრუნდა.

— რას ვაპირებთ? — ჰქითხა.

ნოშრევანმა მხრები აიჩეჩა.

— ქალბატონი დარო მთხოვს, ათიოდე დღით, ვიდოშაც კომისარი
ფლიდან დავბრუნდები, გიო შენთან წაიყვანეო. შენ რას
იტყვი? — მიუბრუნდა ბიჭი. — ხომ წამოხვალ? სახლში არა-
ვინაა, ცოლ-შვილი დასასვენებლად მყავს გაგზავნილი და
ვეებერთელა ოთხოთახიან ბინაში ბაიყუშივთ მარტო ვარ ვა-
ძმოშვიდეული. გარდა ამისა, ტელეფონის ზარს ველოდები,
ლენინგრადიდან უნდა დამირეკონ. თან შენთვის ბევრი საინტე-
რესო ამბავი მაქვს მოსაყოლი. მაში, წავიდეთ, ხომ?

გიომ სპორტულ კოსტუმზე დაიხედა.

— ასე? — გაუბედავად იყითხა.

— ქვევით მანქანა მელოდება, — მაშინვე შეეშველა ირა-
კლი. — სადარბაზომდე მიგიყვანთ. იქ კი არავინ გიცნობს, ვი-
ღასი მოგერიდება?

გიომ მორჩილად გაშალა ხელები.

— წავიდეთ...

ლენოჩქას ბინას რომ ჩაუარეს, ირაკლიმ თვალი შეავლო
კარს, თავი მიაბრუნა და უხმოდ ჩაიცინა.



პირველ სართულზე, ლიფტთან, ერთი სიფრიფანა გოგონა
იდგა, ბიჭური ჯიბეებიანი კვართი და ტრაპეცია-ქვედაკაბა
ეცვა, კესანესფერი თვალები უჟუჟუნებდა. ბაგეებზე ქუჩიდან
შემოყოლილი ღიმილი უთამაშებდა, მაგრამ ლიფტიდან გამო-
სულებს შეხედა თუ არა, მზერა გიოზე შეაჩერა და ის ღიმი-
ლი უცებ შეაჩერა.

გიოსაც რაღაც უცნაურობა დაემართა. ლიფტიდან კი გა-
მოვიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გოგოსთვის გზა დაეთმო,
წინ აესვეტა და თვალებში ჩახედა.

— ფატი... შენ ფატი არა ხარ? ფატი ხარ, ხომ?


გოგონა განცვიფრდა:

— ჰო, ფატი ვარ... საიდან მიცნობ?

— გიცნობ... ღიღი ხანია..

კესანესთვალებიანი გოგონა ოდნავ გაფიტრდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჩანს, უფროსებისა მოერიდა, მხრები აიჩეჩა როგორლაც დაბნეულად, საცოდავად, ღილაკს თითი დააჭირა და ლიფტში გაუჩინარდა.

ნოშრევანს უცებ უსაშველოდ გაუშრა ხახა. გაოგნებული, გაქვავებული ირაკლისაკენ არ გაუხედავს, სწრაფად მარჯვე-ნაზე წავლო ხელი გოოს, ხელისგული გაუშალა და წამით დააკვირდა. რასაკვირველია, იგივე იყო ნახაზი... ბიჭისთვის ხელი აღარ გაუშვია, მოქაჩა და ისე აჩქარებით წაიყვანა მანქანისა-კენ, თითქოს ეშინია, ვინმემ არ წამართვასო...



සැන්ටාරූප

මුදාප්‍රංශ පාඨම්පෙන්	3
මෝරුවේ මෙහෙයුම්	26
Ab irato	35
සැන්ටාරූප	52
කළමනාකෘති ජ්‍යෙෂ්ඨ	85



Абхазава Нугзар Чичикоевич
ГЛАВНАЯ УЛИКА
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, ул. Гогебажвили, 24

1986

ს. ბ. 467

რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი
მხატვარი გ. ფოცხიშვილი
სამხატვ. რედაქტორი რ. ლომაძე
ტექნ. რედაქტორი ნ. ჭყონია
ცორექტორი ნ. ჯიგავაძე
გამომშვები კ. ხოფერია

გადაეცა წარმოებას 7.2.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.4.86,
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/32$, № 1. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6,12, საა-
ღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5,98, პირობითი სალებავგატარება 6,82,
შეკვ. № 571, ემ 01738, ტირაჟი 20.000

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აკადემია“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
ვაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное
объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

୨୭/୭

